

659  
1967

ԶԱՐՅԱՆԴ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ՀԱՅԱՍՏԱՆ

19467

# ବ୍ୟାପାର ମେଲ୍

ଲୋକରହାତଶରୀଳ-ପ୍ରଦାତାଶରୀଳ ୧୫  
ବ୍ୟାପାରଚାଲନାକାଳି - ପ୍ରଦାତାଶରୀଳ  
ଶରୀଳ  
ପ୍ରଦାତାଶରୀଳଙ୍କ ପଢାଇଲାଯା  
ପାଇବାରିଲା ପଢାଇଲା  
ପାଇବାରିଲା ପଢାଇଲା

୩୦୬୧୧୬୮୦

୧୦.୪୫୧

୪

୧୯୬୭

୦୩ ମୁଖ୍ୟ  
୧୩ ମୁଖ୍ୟ

୧. ଗ୍ରେଲେବିଶନ୍‌ବିଲ୍ଡିଂ — ଅନ୍ତର୍ମଧାରିତ ଆଲାର୍- ଦିନ୍‌ବିଭାଗିତା .....	. ୩
୨. ବ୍ୟାପାରଚାଲନାକାଳି — ଲେଜ୍‌ସେବା .....	୮
୩. କିବିଦିପ — ଶିଳ୍ପି ଓ ମନ୍ତ୍ରିର ପାଇଁ ପାଇଁ (ବ୍ୟାପାରଚାଲନାକାଳି) .....	୧୧
୪. ବ୍ୟାପାରଚାଲନାକାଳି — ଲେଜ୍‌ସେବା .....	୨୬
୫. ବ୍ୟାପାରଚାଲନାକାଳି — ମନ୍ତ୍ରିର ପାଇଁ ପାଇଁ (ବ୍ୟାପାରଚାଲନାକାଳି) .....	୩୦
୬. କାଲ୍‌ପାନାମାର୍ଗ — ଲେଜ୍‌ସେବା .....	୩୯
୭. ରାଜ୍ୟବିଭାଗ — ସିଫାରିଶିଲ୍ଲାର ପାଇଁ ପାଇଁ (ବ୍ୟାପାରଚାଲନାକାଳି) .....	୪୨
୮. ବିଲ୍ଡିଂବିଲ୍ଡିଂ — ବିଲ୍ଡିଂବିଲ୍ଡିଂ (ଲେଜ୍‌ ସେବା) .....	୪୬
୯. ଶିଳ୍ପିର — ଶିଳ୍ପିର (ଲେଜ୍‌ସେବା) .....	୪୮
୧୦. ବ୍ୟାପାରଚାଲନାକାଳି — ବ୍ୟାପାରଚାଲନାକାଳି (ଲେଜ୍‌ ସେବା) .....	୫୨
୧୧. ବ୍ୟାପାରଚାଲନାକାଳି — ବ୍ୟାପାରଚାଲନାକାଳି (ଲେଜ୍‌ ସେବା) .....	୫୩



დღევაში და ადამიანები

რ. გორგაძე — დღეს სოფელ ოქტომბერ- ში (ნარკვევი) . . . . .	60
ნ. მოდებაძე — კაი კაცი (ნარკვევი) . . .	64
<b>პრიტიკა და პუბლიცისტიკა</b>	
პ. ნაცვლიშვილი — სოციალისტური გარ- დაქმნების ასახვა აჭარის ლიტერატუ- რაში . . . . .	70
ს. ჩხატიშვი — გორგი მცირის „გოდება გო- რგი მთაწმინდელისა“ . . . . .	75
<b>პრარის წარსულიდან</b>	
ნ. ინჯგირველი — ქარხნის დაბადება . . .	81
<b>წიგნის თარი</b>	
შ. ძურიძე — ივანე გომართელის თხზუ- ლებათა გამოცემის გამო . . . . .	90

—♦—♦—♦—♦—♦—

რედაქტორი შოთა ქურიძე  
სარედაქციო კოლეგია:

- ბ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. გარშანიძე (პ/მგ. მდივანი),
- პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივანის — 33-72.

## აღმსანდნე თხილაგვილი

საქართველოს კომისარის აპარატის საოლქო კომიტეტის  
პირველი მდივანი

## ოქტომბრით აღორძინებული

მეტად სასიხარულო ცნობა მოვიდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წარმატებებისათვის, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს სახალხო მეურნეობის განვითარებასა და კულტურულ მშენებლობაში, აჭარის ასრ დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ეს უმაღლესი ჯილდო ჩვენმა რესპუბლიკაშ მოიპოვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილესათვის მზადების დღეებში. იგი იმ დიდი შრომის შედეგია, რომელსაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ეწევიან ჩვენი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, კულტურისა და მეცნიერების მუშაკები.

ეს დიდი ჯილდო არა მარტო აჭარის ას რესპუბლიკის, არამედ მთელი საქართველოს მშრომელთა შემოქმედებითი შრომის მარადსახსოვარი, მაღალი შეფასებაა. ეს ერთხელ კიდევ იმის დადასტურებაა, რომ საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში აჭარა მოწინავე ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა. შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში ეს შეიქმნა მძლავრი მრეწველობა, დიდად განვითარებულ მრავალდარებული სოფლის მეურნეობა, აყვავდა და კიდევ უფრო განვითარდა ქართული სოციალისტური კულტურა. აჭარაში, საღაც რევოლუციამდე ყველაზე დიდ საწარმოდ ითვლებოდა ნახევრად შინამრეწველური ნავთობჩამოსახმელი სადგური, აშენდა ნავთობგადასამუშავებელი, ეგმთსაშენებელი, მანქანათსაშენებელი, ელექტროტექნიკური, ელექტრომექანიკური, მანქანის, ტუნგოს ზეთსახდელი ქარხები, სამკერვალო, ფეხსაცმლის, თამბაქის, ფაბრიკები, 12 ჩაის გადასამუშავებელი ფაბრიკა, ციტრუსების, ხორცის კომბინატები, აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური და სხვა სამრეწველო საწარმოები.



ლენინური კომპერაციული გეგმის წარმატებით განხორციელებული და დაფინანსირებული რაიონები ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს, დაფინანსირებული რაიონები სასოფლო-სამეურნეო კულტურების აყვავებულ პლანტაციებად გადაიქცა. 1921 წლის 850 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და 397 ჰექტარი ციტრუსი. მეტწილად ეს პლანტაციები კაპიტალისტებისა და მემამულეებს ეკუთვნოდათ. დღეს აჭარის ჩაის პლანტაციებს უკავიათ 7.320 ჰექტარი, ციტრუსებს — 5.518 ჰექტარი.

სოციალისტური ხუთწლედების წარმატებით შესრულებამ სახე უცვალა. აჭარის ქალაქებსა და სოფლებს. საწარმოო ძალების, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დარგში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე აჭარაში გაცილებით მეტი რამ გაკეთდა, ვიდრე მისი არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში. ახლა ავტონომიურ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები ერთ წელიწადში უშვებენ ასეულ მილიონობით ლირებულების პროდუქციას და ჩვენს ქვეყანას აძლევენ დიდად ნავთობპროდუქტებს, წყალშვეშაფრთიან კატარლებს, სარეცხ მანქანებს, ელექტროკარებს, კვების მრეწველობის მანქანებს, კოფეინს, ტუნგოს ზეთს, კონსერვებს, ბაიხაო ჩაის, თაბაქოს ნაწარში და სხვ. ჩაის ნედლეულის წარმოება საბჭოთა ხელისუფლების წლებში 1921 წლის 359 ტონიდან 1966 წელს გაიზარდა 35.376 ტონამდე, ესე იგი თითქმის 100-ჯერ, ციტრუსებისა — 150 ტონიდან 30 ათას ტონამდე, ანუ 200-ჯერ. მნიშვნელოვნად გადიდდა ვენიხების, ხეხილის ბალების, დაფინანსირებული რუსების მოსავლიანობა.

განსაკუთრებით სავალილო იყო რევოლუციამდელ აჭარაში ტრანსპორტის მდგომარეობა. ქალაქებსა და სოფლების მცხოვრებთა მიმოსვლის ძირითადი საშუალება იყო ურემი, უკეთეს შემთხვევაში — ფაიტონი. ახლა აჭარაში არ არის სოფელი, სადაც არ მიდიოდეს საავტომობილო გზა. ფართოდ განვითარდა რკინიგზის, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტი: აჭარაში ყველა სახეობის ტრანსპორტის შემდგომი განვითარების დიდი პერსპექტივებია დასახული ხუთწლიანი გეგმით. ამას წინათ ბათუმში შეიქმნა საქართველოს საზღვაო სანაოსნო. რევოლუციამდელი აჭარის შავიზლვის სანაპირო გაუვალი ჭაობებით და ულრანი ტყეებით იყო დაფარული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამოშრობილი ჭაობების ადგილას აშენდა ისეთი სახელგანთქმული კურორტები, როგორიც არის ქობულეთი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი. კეთილმოწყობილ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ყოველწლიურად ათასობით მშრომელი ისვენებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან.

პატიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხოობელი ზრუნვით აჭარის ქალაქები და სოფლები სამედიცინო დაწესებულებათა ფართო ქსელით დაიფარა. თუ 1919-1920 წლებში აჭარაში სულ ერთი 100-საწოლიანი საქალაქო საავადმყოფო, სამალარიო სადგური, 4 სამედიცინო უბანი და 14

ექიმი იყო, ახლა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 264 კულტურული ძეგლის დაცვის სამსახურის 44 სამუშაოს მუნიციპალიტეტის დაცვის სამსახურის 3.000 ადგილია, 3.300-ზე მეტი ექიმი და მედიცინის და. ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის შემდგომ გაფართოებას.

სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებამ, დაავადებათა კერების ლიკვიდაციამ ხელი შეუწყო მოსახლეობის სწრაფ ზრდას. 1926 წელს აჭარაში 126 ათასი მცხოვრები იყო, 1966 წელს კი მოსახლეობის რიცხვი 285 ათასამდე გაიზარდა.

დიდი წარმატებებია მიღწეული კულტურის დარგში. რევოლუციამ-დელი აჭარა მთლიანი უწიგნურობის მხარედ ითვლებოდა. 1921 წელს მოსახლეობის სამ პროცენტზე ნაკლებმა იცოდა წერა-კითხვა. უმთავრესად ესენი მდიდრების შვილები იყვნენ. ოქტომბრის რევოლუციამ ფართოდ გაულო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების კარი აჭარელ მშრომელებს. დიდი ხანია აღმოიფხვრა უწიგნურობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რიცხვი 38-დან 414-მდე გაიზარდა. მოზარდი თაობის აღზრდას ემსახურება 2 სასოფლო-სამეურნეო, პროფესიულ-ტექნიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, მუსიკალური, საზოგაო, საგაჭრო, სამედიცინო სასწავლებლები და ტექნიკუმები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი და სხვა სასწავლებლები. მცსწავლეთა რიცხვი 1921 წლის 2.684-დან 66.235-მდე გაიზარდა 1966 წელს. აჭარელ სტუდენტთა დიდი ნაწილი სწავლობს თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში. წარსულში აჭარის მშრომელ ხალხს ოცნებაც კი არ შეეძლო იმაზე, რომ ესწავლა მეოთხე მოქალაქეს.

წინათ აჭარაში არ იყო არც ერთი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, ახლა კი მათი რიცხვი ათს აღმატება. ამ დაწესებულებებში დღეისათვის ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევა სამასამდე კაცი. ხალხის ცხოვრებასა და ყოფაში მტკიცედ დამკვიდრდა წიგნი, ურნალი, გაზეთი, რადიო, ტელევიზორი. მამაპაპური ჭრაქის ნაცვლად მშრომელთა ოჯახებში ბრწყინვას „ილიჩის ნათურა“.

ყველა ლიტერატურა და ხელოვნება. აჭარელ მწერლებს, მხატვრებს, თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების მუშაკებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქართული კულტურის განვითარებაში. გარდა ბათუმის

დღამატული თეატრისა და აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლისა, რესპუბლიკური პუბლიკაში მუშაობს სახალხო თეატრები, თვითმოქმედი მხატვრული ფოლექტივები, რომელთა საშემსრულებლო ოსტატობა საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. აჭარის თვითმოქმედი კოლექტივები მუდამ წარმატებით გამოდიან და პირველ დღიოს იყვებენ რესპუბლიკურ დათვალიერებებზე. რომლებიც თბილისში იმართება.

ოქტომბრის დიადი დღესასწაულის ზღრუბლზე არ შეიძლება უღადესი სიამაყის გრძნობით არ აღვნიშნოთ, რომ არ დარჩენილა აჭარის სამეურნეო თუ კულტურული ცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც არ მომხდარიყოს ძირეული ძვრები, რომ აყვავდა და თანასწორთა შორის თანასწორი გახდა წინათ ჩაგრული აჭარა.

მაგრამ აჭარის მშრომელები არ კმაყოფილდებიან მიღწეულით. ვან-საკუთრებით მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობით აღინიშნება დიდი ოქტომბრის 50 წლისთვის სახელოვანი იუბილესათვის მზადებისადღეები. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომუაგშირული და სემეურნეო ორგანიზაციები ფართოდ რაზმავენ მშრომელებს სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.


ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა მიმღინარე წლის პირველი ნახევრის პროდუქტის გამოშვების დავილება 104,3 პროცენტით შეასრულეს და დედასამშობლოს მისცეს თითქმის 3.5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქტია. წარმოების მოცულობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ხუთი პროცენტით გაიზარდა.

ჩვენს სახელოვან მუშებთან ერთად საიუბილეო ვახტზე დგანან სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომელთაც სამეურნეო გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ჩინებული ტრადიცია აქვთ. განსაკუთრებით გმირულად შრომობენ ჩვენი მეჩაიერები. შარშან მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს მიყიდეს 35.577 ტონა ხარისხისი ჩაის ფოთოლი, საშუალო საპექტრო მოსავალი გაზარდეს 5.616 კილოგრამამდე და მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. წელს ჩვენი მეჩაიერები ძლევენ ყველა დაბრკოლებას და, არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ. გერ კიდევ 20 ივნისისათვის მათ მოკრიფეს 16.659 ტონა ხარისხისი ჩაის ფოთოლი და ამით მაის-ივნისის გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს. ასევე გადამეტებით შესრულდა ივლისის დავილებაც.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შევასრულოთ ერთი თვით ადა  
რე — ასეთია ჩვენი მეჩაიერების გადაწყვეტილება.

თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ჩვენი მეციტრუსეები, მევენახე-  
ები, მეთამბაქოები, მეცხოველეები. გადაჭარბებით შესრულდა სახელ-  
მწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა  
პროდუქტების მიყიდვის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა.

ამიერიდან აჭარის ასსრ ლენინის ორდენისანია: ეს საპატიო სახელი  
დიდ მოვალეობას გვაკისრებს, ჩვენც არ დავზოგავთ ენერგიას, ცოდნას და  
გამოცდილებას, რათა შემდგომში ვამრავლოთ წარმატებები, ახალ-ახალი  
გამარჯვებებით ვუპასუხოთ პარტიისა და მთავრობის მაღალ შეფასებას —  
დიდი და საპატიო ჯილდოს მიღებას.



## ნანა გვარიშვილი

### დიდება ღამტობა გარე

წითელი ფერებით  
 და მწვანე ღერებით  
 მოვიდა ოქტომბერი.  
 სინათლით, სიწრფელით  
 და მუშის დაყოფრილ ხელებით.  
 მოუტანა მამულს იმედები  
 საოცრად ბევრი.  
 ხორბლად აქცია ცხოვრების ყანა,  
 ქალები მზეში გამოიყვანა,  
 მისცა სიხარული, სიყვარული,  
 და თავისუფლება.  
 არც ქალები დაურჩენ ვალში —  
 თესვაში, მკაში, აკვნის რწევაში.  
 ომში სამშობლოს გადასარჩენად  
 სულ ტრიალებდა მათი მარჯვენა,  
 გამრჩე ხელები...

მათთვის მოვიდა ოქტომბერი  
 წითელი ფერებით და  
 მწვანე ღერებით,  
 მზე მისცა თვალებს...  
 დიდება მის მოსვლას!  
 აფერუმ ქალებს!

ხომ ლამაზია ეს საქართველო,  
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა.

ლადო ახათიანი.

გახედე სერებს, ყაყაჩოს ველებს,  
კიბარისს, მაღალ ყელს რომ  
იღერებს,

თვალს ვერ მოსტაცებ  
ტალღარებს მზიანს,  
გაფიცებ ლურჯ ზღვას: ხომ  
ლამაზია?

ახედე ლაუგარდს, კიდეში თეთრად  
წეროებიგით ლრუბლები სხედან,  
აიშლებიან და გავონებენ  
თეთრი ნისლების გაფრენილ  
ქედანს.

დახედე ბალახს უცოდველ ნამში  
გალუმპულსა და ტუჩებზე რძიანს.  
ხომ ლამაზია ეგ ბალახები,  
ხომ ლამაზია?

შეხედე თეთრ ქალს, თუ ტრფობა  
გწამდეს,

თვალებს ნუშიანს, აფრენილ  
წარბებს,  
ხელხვავიანებს შეხედე ქალებს,  
ცეცხლს რომ დაგინთებს მაგ  
გულთან ზიარს.

გახედე თამარს, შეხედე მზიას,  
ხომ ლამაზია?

ბედნიერი ვართ, ვეკუთვნით  
შვილად

ხალხს გულადს, პურადს და  
თავაზიანს.  
გისა აქვს ქვეყნად აგრე ლამაზი  
დედა-სამშობლო, გაფიცებ დედას:  
ხომ ლამაზია?

## ჩ ა რ ი ...

ლრუბელ-ლრუბელ მინადენი,  
ჩამომხმარი ლერწმის ფშენა,  
თოვლით მიყრილ ცივ კარებთან  
სიმარტოვის ჩუმი სტვენა,  
ველის ენა, კორდის ენა,  
ვერხვის მთრთოლავ ფოთლის  
ფრენა,

ქარი... ქარი... ნიავქარი.

უხილავი ლურჯი ლურჯა  
ათამაშებს ნისლის ფაფარს.  
დააქროლებს სულს მშფოთვარეს

## ჩ ა რ ი ...

უსახლკაროს, მიუსაფარს,  
ქარი, ქარი, ლურჯი ქარი.  
თბილ თქეშიდან გაქცეული,  
ბალახებში წაქცეული,  
კენწეროზე აპარული,  
ფოთოლ-ფოთოლ გაპარული  
ხან ლრუბლების აქლემს აზის,  
ხან ნაკადულს მისდევს ფენით,  
ნარგიზებზე მოქნეული  
ცრემლიანი წვიმის შხეფი,  
ქარი, ქარი, ლურჯი ქარი.

## ა ა ფ რ ი ნ ე ო ლ ა ლ ი

რაც არ არის, არ არის,  
ააფრინე ალალი,  
ატმის ყვავილს მიეზღოს  
ჩემი გულის ზარალი.  
ცისკრის ცელქმა ტოროლამ  
აპრილს მისცეს ვალები.  
რა ვქნა, იას რადა აქვს  
ასე ლურჯი თვალები!  
იისთვალს ვეტრფოდი?  
ეს ხომ მისი ბრალია.  
ჰოდა, გადაიხადოს  
სიყვარულის ვალია.  
ცოტა-ცოტა წყალობა

ყველამ გულს უწყალობა:  
წმინდა წყარომ — გალობა,  
ჩიტბატონამ — ჭიკჭიკი,  
კვირტის წვერზე წვიმებმა  
წაწწავი და წიკწიკი.  
სალამურად აქციეს  
ერთი ციცქანა ქალია,  
ახლა გადაიხადე  
ამოღენა ვალია,  
გაზაფხულის ზარალი....  
ააფრინეთ ალალი,  
რაც არ არის, არ არის...

## გოგო, გოგო!

გოგოვ, საით გარბოდი  
შენი ჭრელი გარმონით?  
გოგო, გოგო, კისკისა,  
აქ ჩამოდი წყლის პირსა,  
აქ ტირიფმა ჩრდილები

იღუმალი იცისა,  
დაიჭერე, გინდ არა  
ფიცი ლამაზ ბიჭისა,  
არ დაგირჩეს გარმონი,  
ჭორაობა იცისა.

## ფ ვ ი თ ე ლ ი ფ რ ი თ ე ლ ი

ფოთოლი მუდამ მომაგონებს  
კაცის ხელის გულს,  
სულ მთლიად დაძარლვულს...  
სხეულზე ყვითლად დაფიტული  
დარღვები წვანან.

ხელის გულივით უცებ გაგიმხელს:  
იწვა, იწვალა,  
წუთისოფელი იყო წამი და...  
იყო... წავიდა...



## ალექსანდრე ჩხაიძე

### ზღვა და ოთხი ქალიშვილი

მწერალმა ალექსანდრე ჩხაიძემ სამამულო ომის მონაწილე ქართველ მეზღვაურ ქალებზე დაწერა ღოყუმენტური მოთხრობა „ზღვა და ოთხი ქალიშვილი“.

მოთხრობა საინტერესოა იმითაც, რომ ამ მამაცი ითხეულიდან ერთ-ერთი აქარის მკვიდრია.

შემოთ ვპეტდავთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ მოთხრობიდან.

— თუ იცი, იგორ, დღეს რა რიცხვია? — ჰყითხა იულიამ მესაჭის და სეჭიტანტი მაგიდაზე დადო.

იგორ ბურმისტროვს რომ მორიგე შტურმანის მოლიმარი სახისათვის შეეხედა, შეიძლება მიმხვდარიყო, რატომ აძლევდა იგი ასეთ უცნაურ კი-თხვას. მაგრამ „მინსკის“ მესაჭის ვახტზე დგომისას ჩეცულებად არ ჰქონდა თვალის აქეთ-იქით ცეცება, იგი მხოლოდ წინ იყურებოდა, ხან ზღვას გასცეროდა, ხან კიდევ — კომპასს.

- როგორ თუ რა რიცხვია! — მხრები აიჩეჩა. — 22 ივნისია.
- შენ ასე ფიქრობ?
- რა თქმა უნდა.
- მე კი გეუბნები, რომ დღეს 21 იენისია.
- როგორ გეკადრებათ, იულია ალექსანდროვნა! — იგორმა ერთი წუთით მოწყვიტა თვალი ზღვას და შტურმანს გაოცებით მიაჩერდა.
- არ გვერა?
- ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დღეს ჩემი დღეობაა. — იგო-



რმა გაიღიმა და იულია ახლა მიხვდა, რატომ გაეპარსა მას ლოკებულ დანიელს  
საგარეო პერანგიც ჩაეცა.

— მომილოცავს, მაგრამ დღეს მაინც 21 ივნისია, — გაიცინა იულიამ.  
იგორი სულ დაიბა.

იულიამ აღარ აწვალა მესაჭე:

— ხუთი შუთის უკან შეიძლება მართლა იყო 22 ივნისი, მაგრამ ახლა  
21 ჩიცხვია. სწორედ რამდენიმე შუთია გადავცურეთ 180-ე მერიდიანი.  
გეოგრაფიაში, ალბათ, ისწავლე, რომ ამ ადგილს კალენდარი იცვლება,  
მერიდიანის ერთ მხარეს 22 ივნისია, ხოლო მეორე მხარეს — 21.

იგორი გაწითლდა და თავისითვის ჩაილაპარაკა:

— ვიცი, როგორ არ ვიცი. გეოგრაფიაც მისწავლია, ასტრონომიაც  
და უიულ ვერნიც წამიკითხავს.

— იღბალი გქონია, იგორ, ორჯერ გადაიხდი დღეობას, დღეს და  
ხვალ ხვალაც ხომ 22 ივნისია.

ამ დროს კარები გაიღო და გაფითრებული პერედერი შემოვიდა.

— ომი დაიწყო... — თქვა მან ჩამწყდარი ზმით.

თბომავალ „მინსკზე“ კალენდარის მიხედვით ომის დაწყება შეიტყვეს  
ერთი დღით აღრე, 21 ივნისს.

„...მინსკი“ ივნისის პირველ რიცხვებში გამოვიდა ვლადივოსტოკიდან.  
რამდენიმე დღით აღრე იულია ფაილოებე ამ გემზე გადაიყვანეს მეოთხე  
შტურმანად. მასთან ერთად „არქტიკა“ დატოვა ბოკმანმა ხანოვმაც. ტრა-  
პის აკეცვამდე ერთი საათით აღრე კი იგორ ბურმისტროვი გამოცხადდა  
გემზე.

„მინსკის“ მარშრუტი ასეთი იყო: პირველად ჩუკოტკის ნახევარკუნძუ-  
ლის სანაესადგურო ქალაქ პროვიდენიაში უნდა ჩაეტანა პროდუქტები და  
ქვინანაშირი. იქიდან კი გეზი უნდა აეღო ამერიკის კონტინენტისაკენ. გემი  
ის იყო კომანდორის კუნძულებს უახლოვდებოდა, ომის დაწყება რომ  
შეიტყვეს.

ზღვა იყო საოცრად ლურჯი და მშვიდი, აქედან შორს კი პქუბდნენ  
ქვემეხები, ინგრეოდა ქალაქები, იხოცებოდნენ აღამიანები და ამაზე ფიქ-  
რი აუტანელს ხდიდა ირგვლივ გამეფებულ სიწყნარეს.

კურსის შესაცვლელად არავითარი საბაზი არ პქონდათ, მაგრამ პერე-  
დერი მაინც შეეკითხა ვლადივოსტოკს, როგორ მოვიქცეთო. მალე მოვიდა  
პასუხი: განაგრძეთ გზა თავდაპირველი კურსით, ელოდეთ დამატებით  
მითითებას. საღამომდე კიდევ ერთი რადიოგრამა მიიღეს. უნდა წასულიყ-  
ვნენ ალეუტის კუნძულებისაკენ და შეჩერებულიყვნენ ამერიკის შეერთე-  
ბული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზაში — დატრ-პარბორში.

ბევრს არ მოეწონა ასეთი ბრძანება, რა დაგვრჩენია ამერიკაში, როცა  
საკუთარ ქვეყანას მტერი დაესხა და ჩვენს ოჯახებს ბომბებს აყრიანო.  
კურსის შეცვლას, სამშობლოში დაბრუნებას მოითხოვდნენ.

კაპიტანმა პერედერმა შეკრიბა ეკიპაჟი და ერთ დღეში გამოცვლილი  
ხმით მკაცრად გააფრთხილა ყველა:

— ჩვენს სამშობლოს შემოესია ძლიერი და ვერაგი მტერი. ოქვენ  
მოისმინეთ საბჭოთა მთავრობის განცხადება. ახლა მთავარია სულის სიმ-  
ტკიცე და დისციპლინა. მთელი ქვეყანა სამხედრო ბანაკებია გადაქცე-  
ული. ჩვენი გემი დიდი საბჭოთა კავშირის ერთი ნაწილია ამ კეთილშე.  
ეს იმას ნიშნავს, რომ დღეიდან ვცხოვრობთ და ვშრომობთ ომის კანონე-  
ბით. ვაფრთხილებ ყველას, ვინც არ დაემორჩილება საერთო დისციპლი-  
ნას, დაისჯება ომის კანონების მიხედვით.

...დატრ-პარბორის სამხედრო-საზღვაო ბაზაში არასოდეს არ შედიო-  
დნენ საბჭოთა სავაჭრო გემები. ამიტომ „მინსკის“ გამოჩენას დიდი ინტე-  
რესით შეხვდნენ ამერიკელები. კრეისერებიდან, ნაღმოსნებიდან, წყალ-  
ქვეშა ნავებიდან ესალმებოდნენ საბჭოთა მეზღვაურებს. ომის დაწყების  
შემდეგ პირველად ხედავდნენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს და მათ-  
გან ელოდნენ ახალ ამბებს.

როგორც კი ჩაუშვეს ტრაპი, გემზე ამოვიდნენ ბაზის უფროსი —  
კონტრ-ადმირალი და რამდენიმე ოფიცერი.

კაიუტ-კომპანიაში გაიმართა მოკლე საუბარი.

— ჩვენ ყველანი აღშფოთებული ვართ ჰიტლერის ასეთი ვერავობით. —  
— თქვა კონტრ-ადმირალმა. — იგი ძალიან გათამამდა და ჰელიკონია, რომ რუ-  
სეთსაც ისე აღვილად მოთრგუნავს, როგორც ევროპის სახელმწიფოებს. მე ვწინასწარმეტყველებ, რომ ფაშისტური გერმანია ისევე წააგებს ომს  
რუსეთთან, როგორც ნაპოლეონმა წააგო. დღეს მხოლოდ სტალინს შეუ-  
ძლია ჰიტლერის განაფლებება. ამ ბრძოლებში მთელი ცივილიზებული  
მსოფლიო თქვენს მხარეზეა, ბატონებო, და დარწმუნებული ვართ, ამერი-  
კელი ხალხიც იტყვის თავის სიტყვას.

საუბარში გაირკვა, რომ არც წყნარ ოკეანეზე იყო სიმშვიდე. შეერ-  
თებულ შტატებსა და იაპონიას შორის ბოლო დროს ძალზე დაიძაბა ურ-  
თიერთობა. იაპონია ფაშისტური ლერძის მონაწილე იყო და ჰიტლერი გა-  
დაჭრით მოითხოვდა მისგან საბჭოთა კავშირის წინამდღევ აშეკრად გა-  
ლაშქრებას თუ არა, ამერიკის შეერთებული შტატების ბლოკირებას მა-  
ინც. ამიტომ მიაჩნდათ ამერიკელებს ჰიტლერი საერთო მტრად და ომის  
პირველი დღეებიდანვე თავს საბჭოთა კავშირის მოკავშირედ თვლილნენ.

გამომშვიდობებისას კონტრ-ადმირალმა „მინსკის“ კაპიტანი და მისი  
თანაშემწერები საფლავმანო კრეისერზე მიიწვია.

ერთმა ოფიცერმა იულიას შეხედა და კონტრ-ადმირალს რაღაც წას-  
ჩურჩულა. კონტრ-ადმირალმა გაილიმა, იულიას თავაზიანად დაუკრა თა-  
ვი და ხმამაღლა თქვა:

— ჩვენი ტრადიციით ქალებს არა აქვთ უფლება ფეხი დაადგან სამ-  
ტკიცე ხმალდის გემბანს, მაგრამ ამჯერად გვინდა დავარღვიოთ ეს წესი

და ამით გამოვხატოთ ჩვენი თქვენდამი განსაკუთრებული პატივისცემა და აღტიაცებაც საბჭოთა ქალების გამდედაობის გამო.

ჯერჯერობით, სან-ფრანცისკოს ტრასას საშიშროება არ ემუქრებოდა, „მინსკება“ მაინც დაკყო ორი დღე დატრ-პარბორის ბაზაში, რომ ამერიკისაკენ მიმავალ ნაღმოსანთან ერთად განეგრძო გზა.

...დღე-ღამის გასაყარზე გამოჩნდა ამერიკის სანაპირო. უთვალავ სინათლეთა მკრთალი ციმციმით შემოეგება „მინსკს“ ქალაქი-გიგანტი. სანამ ნავსადგურს მიაღებოდნენ, სულ მთლად დაღამდა და სიბნელემ კიდევ უფრო გააღვივა სანაპიროს ცეცხლოვანი ზოლი. ყურის პირას აღმართულ მრავალსაფეხურიან კვადრატულ კოშკს წითელი ნეონის ასოებით ეწერა — „სან-ფრანცისკო“.

ღამე რეიდზე გაატარეს. დილით გემზე ლოცმანი ამოვიდა. ერთ-ერთ პირსზე ჩაუშვეს ლუზა. ტრავზე პირველი ამოვიდნენ საბჭოთა მოხელეები, ექიმი და საბჭოთა საკონსულოს წარმომადგენელი.

მთელი ეკიპაჟი შემოეხვია საკონსულოს თანამშრომელს, ეკითხებოდნენ სამშობლოს ამბებს. ყველაზე მეტად აინტერესებდათ ოდესის ბედი. სამწუხაროდ, კარგი ამბების მახარობელი ვერ გამოდგა საკონსულოს თანამშრომელი. მეზღვაურებს დაპირდა, სანამ აქ იქნებით, უკველდღე განახულებთ და, თუ რაიმე ახალი ამბები შევიტყვეთ, მაშინვე გაცნობებთო.

წასვლისას მან ქვემოთ გადაიხედა და თქვა:

— თქვენ ჩემგან გინდათ შეიტყოთ სამშობლოს ახალი ამბები, აი ისინი კი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტები, მოუთმენ-ლად ელიან თქვენთან შეხვედრას. „მინსკი“ პირველი გემია, რომელიც საბჭოთა კავშირ-ერმანის ომის დაწყების შემდეგ მოვიდა სან-ფრანცისკოში და ასეთ შემთხვევას აქაური უურნალისტები ხელიდან არ გაუშვებენ.

თითქოს იერიშით პაირებენ გემის აღებასო, ისეთი ხმაურით ამოიჭრა უურნალისტთა ლაშქარი ტრავზე. მაშინვე მოედვნენ მთელ გემს, შეკითხები დააყარეს კაპიტანს, შტურმანებს, მატროსებს. ირგვლივ ფერთქავდა იუპიტერები. საბჭოთა მეზღვაურებს პირდაპირ პირში აჩრიდნენ მიკროფონებს.

იულიას ჩია ტანის, საოცრად მოძრავი და გურულივით სწრაფად მოლაპარაკე კორესპონდენტი „ერგო“. კისერზე სამი ფოტოაპარატი ეკიდა.

— ჰენრი ფორდი გახლავართ, — გაეცნ იგი იულიას. — მხოლოდ არა ის, ავტომობილის მეფე, რომელსაც ძალიან ბევრი დოლარი აქვს. არა კავშირი მექანიკი დაიდი ფორდივით გამდიდრდეო. როგორც ხედავთ, მამაჩემს იმედი ვერ გაუმართლე.

იულიას მოეჩვენა, რომ მილიონერ ჰენრი ფორდის უილბლო სეხნია ბევრჯერ ნათქვამ ფრაზებს იმეორებდა, თითქოს წინასწარ გაუზეპირებით. ალბათ, ამ ტირადით იწყებდა იგი ყველა ინტერვიუს და ამერიკის



ერთ-ერთ უგვირგვინო მეფესთან ასეთი მსგავსება თავისებური რეკლამა იყო, ბიზნესის წყარო.

იულიას შეეცოდა ეს პატარა კაცი, რომელიც ტყავიდან ძვრებოდა, როგორმე სხვებისათვის რომ ეჯობნა და პატრონი ესიამოვნებინა.

— ჩემი სამოქმედო უბანი ნავსადგურია. აქ ვმორიგეობ დილიდან სა-ღამომდე, ზოგჯერ ღმითაც, სენსაციის მოლოდინში, — გულწრფელად გამოუტყდა იგი იულიას, — თვე ისე გაივლის, რომ სენსაცია არ ჩანს. ზოგჯერ ისე მოგზეზრდება ეს გაუთავებელი ლოდინი, რომ მზად ხარ თვითონ გამოიგონო რაიმე სენსაცია — ააფეთქო რომელიმე გემი, ან „კუინ მერის“ კაპიტანს ყური მოაჭრა, — ჰენრის თვითონ გაეცინა თავის ხუმრობაზე. ამ ლაპარაკში რამდენიმე სურათის გადაღება მოასწრო, შემდეგ ბლოკნოტი და კალმისტარი ამოაძვრინა და საქმეს შეუდგა.

იულიამ სთხოვა, ცოტა ნელა ილაპარაკე, თორემ მიძნელდება ყველა სიტყვის გარკვევამ.

ჰენრის საოცრად გაეხარდა, იულიას თანამდებობა და ვინაობა რომ გაიგო.

— ოპო, ეს კი ნამდვილად სენსაციაა! სან-ფრანცისკოში შემოდის პირველი საბჭოთა გემი რუსეთთან ომის დაწყების შემდეგ. გემი ნავსადგურში შემოჰყავს ოცი წლის შტურმანს, ისიც ქალიშვილს, ისიც ქალიშვილს!

იულიამ შედავება დააპირა, რომ შტურმანს გემი საერთოდ არ შეჰყავს ნავსადგურში, სან-ფრანცისკოში კი მით უმეტეს, აქაურ ლაბირინთში ხომ ადგილობრივმა ლოცმანმაც ძლივს გაიგნო გზა.

ჰენრის არაფრის გაონება არ სურდა, აწრაფად გამოეშვილობა იულიას, საღამოს ისევ გნახავთო, დაუბარა და კისრისტებით დაეშვა ტრაპზე.

„მინსკზე“ ამოსვლის მსურველთა ნაკადს ბოლო არ ჰქონდა. ზოგი გულწრფელ სიმპათიას მოჰყავდა საბჭოთა ადამიანებთან, ზოგი კიდევ უბრალო ცნობისმოყვარეობას.

იულიას ვახტი დაიწყო, რომ მორიგე მატროსმა მოირბინა.

— იულია ალექსანდროვნა, რუსები მოვიდნენ!

— ვინ რუსები?

— აქაური რუსები, სან-ფრანცისკოში რომ ცხოვრობენ. ერთი მღვდელია. ნიჩბისოდენა წვერი აქვს და უშველებელი ჯვარი ჰკიდია.

იულია შეეგება სტუმრებს. ოთხი იყვნენ. წინ ახოვანი შავწვერა მღვდელი მოაფრიალებდა ანაფორას.

— მამა ამბროსი, — შალიაპინის ბასით წარუდგა იგი იულიას.

სხვებმაც მოწიწებით ჩამოართვეს ხელი, სათითოოდ გაეცნენ. ნაამდვილი რუსული გვარისანი იყვნენ. ერთი მათგანის მეგვარე ეკიპაჟშიც იყო. იულია სტუმრებს კაპიტანის კაიუტისაკენ გაუძღვა.



პერედერი წინათაც შესვედრია აქაურ რუსებს, ამიტომ არ გავიჩინებ— ბინა მათი მოსვლა. სტუმრებს დახვედრა უნდოდა რუსული წესისამებრ. სუფრაზე გაჩნდა ხიზილალა და მოსკოვური არაყი. თვით მამა ამბროს- მაც ვერ გაუძლო ცდუნებას, ცოტა გადაპრა, სიამოვნებისაგან აკრუსუნ- და და მოსანანიებლად მაშინვე პირვევარი გადაიწერა.

— მთელ ჩვენს კოლონიას თავზარი დაეცა, როცა შევიტყვეთ, იმ წყეულმა პიტლერმა რუსეთს ომი გამოუტაბაო, — გრგვინავდა მამა ამბროსი. — მართალია, თქვენ ღმერთი არა გწამთ, მაგრამ ჩვენს ეკლესია- ში მაინც გაღავიხადეთ პარაკლისი, ხატებს სანთლები ავუნთეთ და მამა- ზეციერს შევევედრეთ, რომ ხელი მოუმართოს რუსეთის მხედრობას მტერზე გამარჯვებაში.

ერთი სტუმართაგანი, მელოტი და უწარბო ქერა კაცი, რომ შეიტყო, კაპიტანი ოდესელიაო, კინალამ გადაირია. ისიც ოდესელი გამოდგა, გული აუჩუყდა, თვითონაც ატირდა და სხვებიც ატირა. პერედერმა ძლივს და- არწმუნა, ოდესაში ჯერ კიდევ ჩვენები არიან და ფაშისტები ვერ ელირსე- ბიან დერიბასოვზე ჩექმების ბრახუნით გავლასო.

გამომშვიდობებისას სტუმრებმა დახმარება შესთავაზეს, ხომ არაფე- რი გჭირდებათ, ჩვენი კოლონია არაფრის წინაშე არ დაიხევს უკანო. პე- რედერმა მაღლობა მოახსენა, ჯერჯერობით არაფერი გვჭირდებაო. კიდევ გინახულებთო, დაპირდნენ და წავიდნენ.

— საცოდავი ხალხია,— თვალი გააყოლა მათ „მინსკის“ მზარეულმა ძია ანტონმა, — ამას წინათ სწორედ აქ ვიდექი. ამოვიდა ერთი აქაური რუსი, გარეგნულად შეძლებული კაცი ჩანდა. თეთრი ხალათითა და ჩაჩით რომ დამინახა, პირდაპირ მე მომადგა. უნდა გენახათ, რა საცოდავად დამე- ღრიჯა, რაც გინდა მთხოვე, ოღონდ ერთი ჩვენებური რუსული ბორშჩი, დამახვრებინეო. ასი გრამიც ვახუსინე.

საღამოს კვლავ გამოჩნდა ჰენრი ფორდი, გაზეთების დასტას მოაფ- რიალებდა. იულია მოძებნა, ის გაზეთები უხმოდ დაუდო წინ, თვითონ კი მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით განშე გადგა.

პირველ გვერდზე იულიას ფოტოსურათი დაებეჭდათ, ზევიდან ეწერა:

„ქართველი ქალიშვილი — სან-ფრანცისკოს ნაგსაღგურში“. მის ბი- ოგრაფიას აცნობდნენ გაზეთის მეტხველებს. წერილი ასე მთავრდებოდა: „იულია ფაილოძე ამბობს, რომ პიტლერი თავის სამარეს იპოვის რუსეთ- ში“. \*

იულიას გაეღიმა. მართალია, მას ეს სიტყვები არ უთქვამს, მაგრამ ჰენრიმ მაინც სიმართლე დაწერა.

—პატრონმა შემაქო, — ვერ მალავდა კმაყოფილებას ჰენრი, — ხომ ხედავთ, თქვენი ამბავი პირველ გვერდზეა დაბეჭდილი. ის ეს კი, — გაზე- თი გადაშალა და კბილდაკრეჭილი მამაკაცის სურათი უჩვენა, — მეექ- ვსეზე.

— ვინ არის ეს კაცი?

— ლეიკსიტელი ჭონ ჰარინგტონია. მსოფლიო რეკორდი დამყარებულის დაცემინებაში. ათი წლის განმავლობაში ათი ათასჭერ დაცემინა ცხვირს.

ივორ ბურმისტროვმა მუშტი მაგიდაზე დაჰკრა.

— ასეთი სისულელების ჩმახვას მაგათ ის ურჩევნიათ, ამერიკელ ხალხს შეატყობინონ წითელარმიელ საკუკის რეკორდი, ერთ დღეს ათი ფაშისტი რომ ვამოასალმა სიცოცხლეს! აი რაზე უნდა ვწეროთ დღეს! ესენი კი — ამდენჯერ დაცემინა ცხვირს, ამდენი წიწილა შეჭირა ერთ დაწლომაზე და კიდევ ათასი ნისულელე!

ჰენრი ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა იულიას:

— რას ამბობს?

იულიამ გადაუთარებმნა.

ჰენრი ალფრედოვანდა:

— სწორია! აუცილებლად გადავცემ ამ იხალგაზრდის სიტყვებს პატრონს. თქვენი სახელი და გვარი?

ჰენრიმ იგორი განზე გაიხმო და მათ შორის ცხარე კამათი გაიმართა დამტკრეულ რუსულ-ინგლისურ ენაზე.

ომის დაწყებამ „მინსკის“ რეისში ცვლილება შეიტანა. დავალება მიღლეს, საავიაციო ბენზინით დატვირთულიყვნენ. საბჭოთა ჭარმომადგენლები უმალ დაუკავშირდნენ ალგილობრივ საფუძრო ფირმებს. ყველაფერი მოვარდა სწრაფად, შეუფერხებლად. მეორე დღესვე „მინსკის“ წინ, რკინა-ბეტონის სანაპიროზე დადგა ნახევარტონიანი კასრების მთები. ეს იყო მეტად სახითათო ტვირთი. რკინის კასრებიც სწორედ ამიტომ იყო შეღებილი წითლად.

მთელი კვირა იტვირთებოდა გემი. ომის დაწყებით შეძრწუნებული ეკიპაჟი გამნევდა, სამშობლოსკენ გამგზავრების მოახლოებამ ძალონე გაუორკეცა. მორიგეობა ფორმალურად დგებოდა. თითოეული ორ-ორ ვახტზე იდგა ზედიზედ. ამ წითელ კასრებს ელოდნენ ჩვენი ავიაგამანადგურებლები, ბომბდამშენები და ამიტომ „მინსკის“ ეკიპაჟი, ამერიკის ნაპირებთანაც კი, ომის უშუალო მონაწილედ თვლიდა თავს. ამიტომ ვერ გრძნობდნენ დაღლას და ისწრაფოდნენ სამშობლოსაკენ. სან-ფრანცისკო-ელ მტვირთავებს უკვირდათ ასეთი თავგამოდება. რატომ იკლავთ თავს, ამ საქმეს ჩვენც გავწვდებით, თქვენ კი, ისა სჯობს, ზღვაში გასვლამდე გადახვიდეთ ნაპირზე და დრო ატაროთო.

დატვირთვა დამთავრდა. თხუთმეტი ათასი კასრი ჩაიწყო ტრიუმებში. უკვე ემზადებოდნენ ღუზიდან მოსახსნელად, რომ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა...

„მინსკის“ მისადგომიდან ხუთასიოდე მუტრჩე გემისაჭირი ვერფები იყო.



იმ დღეს ახლად აგებულ „ლიბერტის“ უშვებდნენ წყალში. „მინსკის“ ცე-  
მთელი ეკიპაჟი გებანზე გამოეფინა და შესცეროდა გემის ჩაშვების ცე-  
რემონიალს. ნაპირზე ტრიალებდნენ სმოკინგიანი ჯენტლმენები და თეთრ-  
კაბიანი ქალები. ვიღაცამ სიტყვა წარმოოქვა.

ეს იყო მეტად ლამაზი სანახაობა. ოკეანე იღებდა ახლად დაბადებულ  
პირმშოს. თანამოძმენი საყვირის ბლავილით ესალმებოდნენ ყოველი მხრი-  
დან. „მინსკზეც“ შეჰყვირა საყვირმა.

ახლო-მახლო გემები არ იდგა, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის  
„ლიბერტის“ ორივე მხრიდან იჭერდნენ ფოლადის საბელებით. გემი თან-  
დათან უმატებდა სვლას და სულ უფრო ღრმად ჯდებოდა წყალში. უცებ  
მარცხენა ტრისი დაიჭიმა და ძაფივით გაწყდა. გემმა მაშინვე იცვალა  
მარცხენა ტრისი დაიჭიმა და ძაფივით გაწყდა. გემმა მაშინვე იცვალა  
მომართულება, ადგილზე შემოტრიალდა და მეზობელი პირსებისაკენ გა-  
მოცურდა...

ნაპირზე შეგროვილი მოზეიმე აღამიანები გაშეშებული შესცეროდ-  
ნენ აწყვეტილ ხომალდს. ორკესტრი დაღუმდა. გემებმა შეწყვიტეს ბლა-  
ვილი...

„მინსკიდან“ დაძაბული შესცეროდნენ ამ საშინელ სურათს. „ლიბერ-  
ტი“ მათკენ მოემართებოდა, მაგრამ სანამ იგი შორს იყო, ეს არც თუ ისე  
შესამჩნევი გახლდათ.

პატარ-პატარა კატარლები აედევნენ „ლიბერტის“, გებანზე მდგომა-  
რალცას უყვიროდნენ, ხელებს უქნევდნენ. ისინი კი უმწეოდ იდგნენ, არა-  
ფრის გაკეთება არ შეეძლოთ. გემზე ჯერჯერობით მანქანები არ იდგა. მას  
არც საჭეოება და არც ღუზა. მაინც შეეცადნენ აშვებული გიგანტის შე-  
ჩერებას. საბელები გადაუგდეს ადევნებულ კატარლებს. თითქოს ოდნავ  
შეჩერდა სვლა, მაგრამ გეზს ამცდარი ხომალდი მაინც საშიში იყო პირს-  
ზე მდგომი სხვა გემებისათვის.

— ძმებო, ჩვენებ მოცურავს! — გაისმა ყვირილი „მინსკზე“.

— ძმებო, ჩვენებ მოცურავს! — გაისმა ყვირილი „მინსკს“ უახლოვდებო-  
ახლა ყველა ხედავდა, რომ „ლიბერტის“ კიჩ „მინსკს“ უახლოვდებო-  
და.

— თუ დაგვეჩახა, ნამდვილად ავფეთქდებით, — ჩაილაბრაკა ვიღაცან-  
უცებ ყველამ გაიფიქრა იმ თხუთმეტი ათას კასრ საავიაციო ბენზინ-

ზე, რომლის ასაფეთქებლად ერთი ნაპერწყალი იყო საკმარისი. ზოლაცას ნერვებმა უმტკუ-  
ტრაპზე გაისმა ფეხების სწრაფი ტყაპუნი. ვიღაცას ნერვებმა უმტკუ-  
ტრაპზე გაქცევით უშველა თავს.

— უპანიკორა! — ყველას გასაგონად თქვა პერედერმა. — გამოაცხადეთ  
ავრალი! ადგილებზე სახაძრო მოწყობილობა!

ასეთი შემთხვევისათვის ყველას ჰქონდა მიჩენილი თავისი ადგილ-  
იულია მთავარ ლოუკთან იდგა და კარგად ხედავდა მოახლოებული „ლი-  
ბერტის“ კიჩს.

გემებს შორის მანძილი სულ უფრო მცირდებოდა. ასიოდე მეტრილ-

დარჩა. ოთხმოცი, სამოცი... ორივე გემზე ადამიანები იდგნენ ულონოდ  
და ელოდნენ შეგახებას...

გამაყრულებელი გრუსუნით შეასკდა რუხი „ლიბერტი“ მასზე ორჯერ  
უფრო მომცრო „მინსკს“. ადამიანები დაცვიდნენ გემბანებზე. მაგრამ  
ტკივილს არავინ გრძნობდა. ელოდნენ აფეთქებას...

ირგვლივ კი სიჩუმე იდგა.

შეგახების ძალამ „ლიბერტი“ უკან დააქანა. შეცყლეტილი კიჩოთი:  
იგი უწყინარად ირწეოდა წყალზე.

„მინსკის“ კიჩოს მარჯვენა ქიმიც შეინგრა დაახლოებით ორ-სამ კვად-  
რატულ მეტრზე. სწორედ შეგახების აღგილას ეწყო ბენზინის კასრები.  
მაგრამ რაღაც სასწაულით ისინი არ აფეთქდა.

„მინსკის“ ტრაპთან უამრავი ხალხი ირეოდა. აქეთკენ გამორბოდნენ  
ნავსადგურის ჩინოვნიკები, სხვა-გემების მეზღვაურები, პოლისმენები,  
მოზეიმე ადამიანები...

იულიამ ხალხში ჰენრი ფორდს მოჰკრა თვალი. რეპორტიორს პიგაკი  
სადღაც მიეგდო და პერანგისამარა, გაოფლიანებული დარბოდა, ყველა  
მხარეს იშვერდა ფოტოაპარატს.

„მაინც ელირსა ნამდვილ სენსაციას“, — გაიფიქრა იულიამ.

გემზე ნავსადგურის ჩინოვნიკები და ვერფის დირექციის წარმომად-  
გენლები ამოვიდნენ. სინანული გამოთქვეს მომხდარი შემთხვევის გამო,  
კაპიტან პერედერს ბოდიში მოუხადეს და ყველაფრის გაკეთება აღუთქ-  
ვეს.

ერთად დაათვალიერეს დაზიანებული ქიმი. ორი თითის სისქის ფო-  
ლადის ლასტები ქალალდივით დაეფხრიწ „ლიბერტის“ კიჩოს. სულ ცი-  
ოდე სანტიმეტრი დარჩა ტრიუმის ტიხეარამდე, სადაც ბენზინით სავსე წი-  
თელა კასრები ეწყო. სასაჭე მოწყობილობა მწყობრიდან გამოსულიყო.

ერთ საათში შემკეთებლები გაჩნდნენ გემზე და შეუდგნენ მუშაობას.  
შალე სან-ფრანცისკოელი რუსები მოიჭრნენ. მხოლოდ მაშინ დამშვიდდნენ,  
„მინსკს“ თვალი რომ შეავლეს.

— გვითხრეს, რუსების გემი აფეთქდა ნავსადგურშიო, — პყვებოდა.  
აღელვებული მამა ამბროსი. — ღმერთმა გიხსნათ, შვილებო! ისმინა მამა  
ზეციერმა ჩვენი ვეღრება. კიდევ ავანთებთ სანთლებს, მადლობას შევწი-  
რავთ უზენაესს.

შემდეგ ჰენრი ფორდი გამოჩნდა, ბეღნიერი ღიმილით მოაფრიალებ-  
და სალებავშეუმშრალ გაზეთებს და გაიძახოდა:

— აი ეს კი ნამდვილი სენსაციაა!

ფოტოზე გადაღებული იყო „მინსკის“ და „ლიბერტის“ დაჯახების  
მომენტი.

— მომილოცავს, — უოხრა იულიამ.

ჰენრიმ უცებ მოიწყინა, გემბანზე მოფუსტუსე მატროსებს ისეგაჟადლუამა?

ხედა, თითქოს პირველად ხედავსო, და თქვა:

— გულახლილად რომ გითხრათ, ძალიან მეწყინებოდა, თქვენ რომ ხიფათს გადაყროდით. მე როგორმე ვავძლებ უსენსაციოდ, ოღონდ თქვენ არაფერი შეგვეთხვათ. თუ კიდევ ჩამოხვალთ სან-ფრანცისკოში, მიგულეთ მეგობრად, რომელსაც ძალიან სურს მტერზე თქვენი გამარჯვება. გისურვებთ ბედნიერ ნაოსნობას.

\* \* \*

სალაში და კარგად ყოფნა ძვირფასო მშობლებო,  
გოგი და დარეჭან!

ვლადივოსტოკში რომ ჩამოვედით, თქვენი ჩამდენიმე წერილი დამხვდა. ოთხ თვეზე შეტ ხანს ვცურავდით საზღვარგარეთ. მაისში რომ წავედით, სექტემბერში ჩამოვედით. რაც ამ ხნის განმავლობაში წერილები დაგროვდა, სულ ყველა ერთად მივიღე. რომ იკოდეთ, რა სასიხარულოა ამდენი წერილის მიღება. კაიუტაში ჩავიკეტე და კითხვა დავიწყე. მხოლოდ ძალიან მაწუხებს, რომ ვახტანგის წერილი არ ერა მათ შორის. მაგრამ თქვენ იწერებით, რომ მისი ბარათი ფრონტიდან მივიღეთო. ეს მაიშედებს.

ვლადივოსტოკიდან რომ გავდიოდით, ომშე არავინ ფიქრობდა. რომ დავბრუნდით, ასეთი საშინელი ამბავი დაგვხვდა. ომის დაწყება გზაში გავიგეთ, სადღაც წყნარ ოქეანეში. წარმოიდგენთ, ალბათ, რა მდგომარეობაში ვიქენებოდით. მაგრამ რა შეგვეძლო? ამერიკისაკენ მივდიოდით.

ლოს-ანჯელოსში ჩავედით და, ისე როგორც ყოველთვის, ნავთობით დავიტვირთეთ. უკან გამობრუნებას რომ ვაპირებდით, გვიბრძანეს ამერიკის მეორე ქალაქს — სან-ფრანცისკოს ვწვევილი და იქ დამატებით მივგეღო სხვა ტვირთი — საავიაციო ბენზინი. ძნელია სამშობლოსაკენ გამოსამგზავრებლად გამზადებული მეზღვაურისათვის რეისის შეცვლა. მით უმეტეს ასეთ დროს, როცა ჩვენს ქვეყანაში წყეული ფაშისტები თარეშობენ, ჩვენ კი ქვეყნის მეორე კუთხეში ვიყავით და ყოველ ღამე შევყურებდით გაჩირალდნებულ ქალაქს, რომელიც ვერ გრძნობდა ვერც ომს, ვერც ნგრევს და ვერც იმ მსხვერპლს, რასაც საბჭოთა დამარცხები იღებდნ. მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ტვირთი, რომელიც სან-ფრანცისკოში უნდა მიაგვეღო, ფრონტისათვის, მტერზე გამარჯვებისათვის იყო საჭირო. ამიტომ სიხარულით მივიღეთ ეს დავიალება. მერე კიდევ, მე პირველად ჩავდიოდი მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში. რაც მთავარია. თურმე იქ მელოდა ძალიან სასიხარულო შესვედრა. მაგრამ ეს წინასწარ აბა რაც ვიცოდი.

არ იყითხავთ, ვის შევხვდი სან-ფრანცისკოში? იულიას! თურმე ქვეყანა ძალიან პატარა ყოფილა. სად შეგვახვედრა ბედმა! ნავსალგურში რომ შევედით და ღუზაზე დავდექით, ჩვენი საკონსულოს წარმომადგენლები ამო-

ვიდნენ და იმათ გვითხრეს, ახლა აქ საბჭოთა გემი „მინსკი“ დგუპული ჰალამ გადაფირიყ. ვახტე გასცლა მიწევდა, მაგრამ კაპიტანმა პავლე გოგინვამა შემატყო, რა მღვმარეობაშიც ვიყავი და გამათავისუფლა.

ციით რა სასიხარულოა, უცხოეთში შენიანს რომ შეხვდები! რომ ცარიც იცნობდე, შენი ქვეყნის ადამიანი თუ არის, გინდ ნათესავი ან ახლო მეგობარი გენახოს. „მინსკზე“ ზოგიერთებს ვიცნობდი. როგორც საკუთარ დას, ისე შემხვდა ყველა. ვლადივოსტოკში ბევრმა იცის ჩვენი მეგობრობის ამბავი. იულია თავის კაიუტაშია, მითხრეს. სანამ იქამდე მივალწევდი, ლამის გული ამომივარდა. კარი რომ შევალე და იულიამ დამინახა, ეს ისე მოულოდნელი იყო მისთვის, რომ კინაღამ გული შეუწუხდა. თვალს არ უჭერებდა. ვიდრე ხელი არ მომქიდა, მოჩვენება ვეგონე. რა თქმა უნდა, ვიტირეთ. ტირილით გული რომ მოვიჯერეთ, ნებართვა ავილეთ და ქალა-ქში გავედით.

გოგის სან-ფრანცისკოს ფოტოსურათებს ვუგზავნი. დახლოებით მის-ვდებით, რამოდენა ქალაქია იგი, რა მაღალი სახლები დგას აქ. ჩვენს ეზოში რომ ნაძვებია, ათვერ იძაზე მაღალი. ქვეითებზე მეტი, ალბათ, ავტომა-ნქანებია. აქურები ხუმრობით ამბობენ, თუ სადმე მიგეჩარება, ჯობს ფე-ხით წახვიდე, ვიდრე მანქანითო.

სან-ფრანცისკო ძალიან ლამაზია, მაგრამ ამ ქალაქში ყველა ბედნიერად არ უნდა ცხოვრობდეს. მართალია, ჩვენ აქაურ ოჯახებში არ ვყო-ფილვართ, მაგრამ გვიჩვენეს ხიდი, რომელზეც დღიან-ლამიანად პოლიცი-ელი დგას. თურმე ამ ხიდიდან ძალიან ბევრი ვარდება წყალში, თავს იხრ-ჩობენ. მიზეზი ძალიან ბევრია: უმუშევრობა, შიმშილი, გაკოტრება და სხვა.

მე და იულია ორ დღეს ვიყავით ერთად. ერთი ღამე მასთან გავათიე, მეორე ღამე კი მან გაატარა ჩემს კაიუტაში. პირველად იულიას გემი გავიდა. ჩვენ ალარ ვტიროდით ისე, როგორც მაშინ, პირველად რომ დავცი-ლდით ერთმანეთს ვლადივოსტოკში. უკვე გამოცდილ მეზღვაურებად ვთვლიდით თავს და ამ შეხვედრის შემდეგ იმედი მოგვეცა, რომ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით ერთმანეთს.

მალე ჩვენი გემიც გავიდა სან-ფრანცისკოდან. ოკეანემ ერთხელ კი-დევ გვაგრძნობინა, რომ მას ტკუილად შეარქვეს წყნარი. ისეთი ლელვა გადავიტანეთ, რომ კაპიტანი გოგინოვიც კი შეშინდა. მერე, იაპონიას რომ ვუახლოვდებოდით, ტაიფუნი წამოგვეწია. ტაიფუნი საშინელი ძალის გრიგალია, რომელიც ზოგჯერ ამოვარდება ამ მხარეში. მაგრამ ახლა ტაი-ფუნები ისე საშიში აღარაა, როგორც წინათ. მეტეორსადგურები წინასწარ ატყობინებენ გემებს გრიგალის მიმართულებას და გემები გზიდან უხვე-ვენ. თუ ახლო-მახლო ნავსადგურია, იქითკენ მიემართებიან. ყველა ტაი-

ფუნს თავისი სახელი აქვს. მეტწილად ქალის სახელს არქმევენ. მშენებელი ფუნს, ჩვენ რომ შეგვხდა, „ლიანა“ ერქვა. მისი კუდი ვიწვნიეთ მზოლოდ, რადგან კაპიტანმა გემი დროზე მოარიდა გრიგალს.

მართალია, ჩვენ ვერაფერი დაგვაკლო ამ ტაიფუნმა, მაგრამ იაპონელ მეთევზეთა პატარა გემი კი შეიიწირა. რამდენიმე მეთევზე ჩვენ ავიყვანეთ, ნავზე გადამსხდარიყვნენ. იაპონიის ერთ-ერთ კუნძულზე ჩავიყვანეთ.

დედა, ცველაფერ ამას იმიტომ კი არ გწერ, რომ შეგეშინდეს. მინდა იამაყო შენი ქალიშვილიო. გახსოვს, მარტო რომ არ მიშვებდი ბახვისუალზე? გაციდებიო, დაიხრჩვებიო. ახლა ტაიფუნიც კი არ მაშინებს. ასე, რომ ჩემზე ნუ იჯავრებ.

ვლადივოსტოკში ღამით ჩამოვედით. გული მეტკინა, ისეთი სურათი ვნახე. მთელი ნაესადგური და ქალაქი ჩაბნელებული იყო. ჩვენ ხომ აქაურობა გაჩირაღლებული დავტოვეთ. მაშინვე ვიგრძენით ომის სიახლოვე, თუმცა ფრონტი აქედან ათას კილომეტრზეა.

ჩვენ მალე კიდევ გავალთ რეისში. ალბათ, ისევ ამერიკისაკენ. შემდეგ ვნახოთ. შავ ზღაზე ჩემი გადმოსვლა, თქვენც კარგად მიხვდებით, შეუძლებელია. მაქაურები. ჩვენებენ მოდიან ახლა. როგორც კი დაგბრუნდები, მაშინვე შეგატყობინებთ.

ვახტანგის ამბავი მარტუხებს ცველაზე უფრო. თუ კი რაიმეს შეიტყობთ, მომწერეთ აუცილებლად.

გიგზავნით 50 მანეთს. მეტს ფოსტა არ იღებს.

მოკითხვა ცველას, ვისაც ვხსოვარ.

თქვენი ნინო.

7 სექტემბერი. 1942 წ.

ვლადივოსტოკი.

\* \* \*

ბაქოს ცხოვრება რამდენიმე დღეში გარდაიქმნა ომის ყაიდაზე. ფრონტი განუწყვეტლივ ითხოვდა ნავთობის პროდუქტებს, ითხოვდა ადამიანებს, ქვეყნის დამცველებს. კასპიელი მენავთობებებიც პირნათლად ასრულებდნენ ფრონტის მოთხოვნებს: ბრძოლა მოითხოვდა მსხვერპლს. მოვიდა პირველი ცნობები, ძუნწი და ბევრის მთქმელი: „გმირულად დაიღუპა“...

შუშანა თუმანიშვილი უკვე სამგზავრო გემ „კარლ მარქსზე“ მუშაობდა. რამდენიმედღიანი რეისები ასტრახანში, კრასნოვოდსქში, გურიევში, დერბენტში... ეს იყო და ეს. ახლა მეტად, ვიდრე ომამდე, შუშანა გრძნობდა, რომ ცხოვრებისაგან გაწზე იდვა. ქვეყანა, ხალხი ომით ცხოვრობდა. იგი კი...

რეისში გასვლამდე კიდევ იგრძნობოდა ომის გამოძახილი. ქალები და სულ პირტიტველი ბიჭები ტრიალებდნენ ამწევებთან, გალამბრებთან და კიდევ პენსიონერები, რომლებიც არმიაში გაწვეულთა შესაცვლელად მოვი-

დნენ ნავსადგურებში. მაგრამ გაშლილ ზღვაში ისევ ისადგურებდა სიმ-  
შვიდე, რომელსაც მხოლოდ რაღის ხმა არღვევდა. ფრონტიდან კი ცუდი  
ამბები მოდიოდა, ფაშისტები წინ მოიწევდნენ, ანგრევდნენ, იპყრობდნენ  
სულ ახალ-ახალ ქალაქებს.

ზოგჯერ შუშანა და ვაიდე რამდენიმე საათით ხვდებოდნენ ერთმანეთს.

- როგორ ხარ?
- წერილი ხომ არ მიგილია ბათუმიდან?
- ნინოსა და იულიასი რა ისმის?

და საერთო სინანული:

- შავ ზღვაზე რომ გავენაწილებინეთ!

შავ ზღვაზე რომ გაეგზავნათ, ახლა დიდი ბრძოლების შუაგულში იქ-  
ნებოდნენ, თუმცა ვინ იცის, იქნებ, ცოცხალიც აღარ ყოფილიყვნენ. რამ-  
დენი მეზღვაური და გემი შეიწირა შავმა ზღვამ, მაგრამ შუშანაც და ვაი-  
დეც ოცდაორი წლისანი იყვნენ და არც ერთი არ ფიქრობდა სიკვდილზე-  
მათ უნდოდათ სიცოცხლე და ბრძოლა.

ერთხელ შუშანა ვახტის შემდეგ კაიუტაში ჩაიკეტა, ბევრი იფიქრა და  
სამმართველოს უფროსის სახელზე განცხადება დაწერა.

ბაქოში ჩავიდნენ თუ არა, სამმართველოსაკენ გაეშურა. პირდაპირ  
მაკარენკოსთან აპირებდა შესვლას, მაგრამ უფროსის მისაღებში გადაიფი-  
ქრა და ინსპექციისაკენ გაემართა, განცხადება რომ ჯერ ვლადიმერ ჩიკვა-  
იძისათვის ეჩვენებინა.

ჩიკვაიძემ განცხადება ყურადღებით წაიკითხა, ეტყობა, არ მოეწონა  
და ჩაილაპარაკა:

- მაშ, შავ ზღვაზე გირჩევნია?
- დიახ, პატივცემულო ვლადიმერ.
- რატომ? აა, გასაგებია, იქ ომია, შეიძლება გმირობა გამოიჩინო,  
ორდენიც მიიღო! ყველაფერი ეს ძალზე ლამაზი ჩანს. ან იქნებ, გვინია,  
რომ ომი ერთ-ორ თვეში დამთავრდება და გაგეხსნება გზა საზღვაო მოგ-  
ზაურობისაკენ, ამერიკაში, ინდოეთში... ეგზოტიკა, რომანტიკა...

შუშანას უნდოდა ეთქვა, რომ ყველაზე მეტად ბათუმისაკენ დედა ეწე-  
ოდა, მაგრამ ახლა ეს არგუმენტი უადგილოდ ეჩვენა.

ჩიკვაიძე კი მამასავით ტუქსავდა შუშანას.

— შეიძლება მახაჩ-ყალა მართლაც არაა რიო-დე-ჟანეირო, არც კრა-  
სნოვადსკია სინგაპური, მაგრამ მეზღვაურისათვის პორტი მხოლოდ დანი-  
შნულების ადგილია, ხმელეთის ნაწილი, სადაც მუშაობის შემდეგ ერთი-  
ორი დღით ფეხს ადგამს დასასვენებლად. მუშაობა კი ყველგან ერთხაირია  
— კასპიაზეც და წყნარ ოკეანეშიც.

შუშანა უკვე ნანობდა, რატომ დავწერეო განცხადება.

ჩიკვაიძე კი მამასავით ტუქსავდა შუშანას:



— ჩვენ ყოველდღე ვეომებით სამხედრო კომისარიატს, რომ სპეცუალური ლისტები შევინარჩუნოთ, შენ კი თვითონ გარჩიხარ.

შუშანან კარგად იცოდა, რომ ასე ეტყოდა მაკარენკოც, ამიტომ პასუხიც მზად ჰქონდა.

— მე არსად არ გავრბივარ. მინდა წავიდე იქ, სადაც უფრო ვარ საკირო.

— შენ პარტიის კანდიდატი ხარ.

— მით უმეტეს.

— მე პარტიის წევრი ვარ ოცდაათი წლიდან. როგორ ფიქრობ, ჩემთვის ადვილია ვიზდე აქ, როცა აი ეს ხალხი, — ჩიკვაიძემ მაგიდის უჯრა გამოსწია და ქალალდების მთელი დასტა ამოილო, — ითხოვს ფრონტზე, შავ ზღვაზე, ბალტიკაზე ან რომელიმე სხვა ზღვაზე გაგზავნას? ყველას გვონიათ, რომ იქ ხართ საჭირო, ზურგში კი საქმე არ იყოს. ხომ ხედავ, ზედი-ზედ გტოვებთ ქალაქებს, მთელ სამრეწველო რაიონებს. ურალში, ციმბირში გააქვთ ქარხნები. თუ ასე გაგრძელდა, ბაქო გადაიქცევა იმ მთავარ კვანძად, საიდანაც ფრონტი დაუკავშირდება ციმბირს, ვოლგას, შეუ აზიას. ამისათვის ვემზადებით კიდეც. ბაქოს ნავთო მოსვენებას არ აძლევს ჰიტლერს, ალბათ, სიზმარშიც ელანდება. იცის, აქამდე მოლწევა რომ გაუქნელდება და ზურგიდან გვიპირებს ხანგლის ჩაცემას. წაიკითხე? — ჩიკვაიძემ შეშანას გაზეთი ვაუწოდა. — ჩვენი მთავრობა აფრთხილებს ირანის მთავრობას, რომ იქ შექმნილი მდგომარეობა საფრთხეს უქმნის საბჭოთა კავშირს...

მალე მართლაც დიდი ამბები დატრიალდა. სამგზის გაფრთხილების შემდეგ, 1921 წლის საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულების საფუძველზე, სსრ კავშირის მთავრობა იძულებული გახდა თავისი ჭარები შეეყვანა ირანის ტერიტორიაზე, რათა აღეკვეთა იქ გერმანელ მზეერავთა და ირანის რეაქციული წრეების ბნელი საქმიანობა. ერთდროულად დასავლეთიდან და სამხრეთიდან ირანში შევიდნენ ინგლისის არმიის ნაწილები.

იმ ქარავანში, რომელსაც საბჭოთა არმიის პირველი ნაწილები გადაჰყავდა ირანში, იყო „კუიბიშევიც“.

შტურმან ვაიდე გვარიშვილს რუკაზე გაპყავდა ახალი ტრასა. ამ კურსით იგი ამიერიდან ძალიან ხშირიად ივლიდა. ეს გზა გადაიქცა მთავარ სასიცოცხლო არტერიად, რომლითაც საბჭოთა კავშირი უკავშირდებოდა მსოფლიოს.

ერთი გზა გადიოდა ჩრდილოეთის ზღვებში ამერიკის კონტინენტსა, ინგლისსა და მურმანსკ-არხანგელსკს შორის. ამ ხიფათით აღსავს ტრასით სხვებთან ერთად გემების ქარავნები დაპყავდა სახელოვან ქართველ კაპიტანს ელიზარ გოგიტიძეს.


მეორე გზა შორეული აღმოსავლეთიდან ავსტრალიისა და ამერიკისაკენ კონტინენტებისაკენ მიემართებოდა. წყნარი ოკეანის ზედაპირს სერავდნენ ხომალდები, რომელთა კურსი გაჰყავდათ შტურმანებს ნინო კალანდაძესა და იულია ფაილოძეს.

აჭარელ ქალიშვილს ვაიდე გვარიშვილს ჩრდილოეთ ირანის ნაესად-გურებიდან გადაჭრნდა საომარი საჭურველი, პროდუქტები, ფრონტისა-თვის აუცილებელი ტვირთი, რითაც მოკავშირეები ხელს უწყობდნენ საბ-ჭოთა ხალხს საერთო მტერთან ბრძოლაში.

ბაქო თანდათან ხდებოდა დიდი ფრონტის განუყოფელი ნაწილი.

აი ეს ჰქონდა მხედველობაში ვლადიმერ ჩიქვაიძეს, როცა განცხადე-ბის უბრუნებდა შტურმან თუმანიშვილს.

ბაქოს ნაესადგურსა და კასპიის ფლოტს კიდევ უფრო თვალსაჩინო როლი უნდა შეესრულებინა დიდ სამამულო ომში, ქვეყნის საერთო ცხო-ვრებაში.



## გამია ვარგანიძე

### სულ პატარა მამული მაქვს, სულ პატარა-მეთქი.

იქ იწყება, დიდ ცისფერ წყალს ჭოროხი რომ ერთვის.  
გადახედავს კარჩხალის მთებს, მოიგონებნ პონტოსს,  
შეაურულებს, თითქოს უცებ მის ცხელ გულზე  
მოთოვს.

მერე ზევით მთა-მთა არბის, გადაკოცნის ხიხანს,  
უხარია, ეფერება, ვინც ვაზს უვლის, ვინც ხნავს.  
ტაო-კლარჯეთს თვალს მოავლებს, თვალს მოავლებს შავშეთს,  
ლოცავს, ლოცავს იავარქმნილ მამა-პაპის ნაშენს.  
ზარზმის ნისლებს გადარეკავს, ვარძიაში გავა,  
ძველ დიდ მესხეთს მოიგონებს, არ ახსოვდეს განა?!  
შორს თრიალეთს გადაირბენს, გადაირბენს გომბორს,  
სიყვარულად შეინახავს ფშავ-ხევსურთა ამბორს.  
მერე თითქოს თოლიაა — გადიქცევა თეთრად,  
კვეგასიის მწვერვალებზე მისი მაჯა ფეთქავს.  
თეთრ ბუმბულში გაეხვევა, გულს იჯერებს თვლემით,  
თითქოს მის ცხელ გულზე დნება ეს რძისფერი  
მთები,

მერე უცებ გაიღვიძებს ხმაზე აშარ თერგის...  
მდინარეო, ლვთის წყალობავ, რისხვა ხარ თუ თეგი?!  
ეჰ, განახათ, რა ნატვრულად ეფერება კოლხეთს,  
ნარინჯ-თურინჯს აშრიალებს, ვით გულს აქ იონებს.

თითქოს, თითქოს ეძინება, მის მკერდზე თავს მიდებს,  
 ლურჯ ნისლივით გაეკვრება აფხაზეთის მინდვრებს.  
 ცისარტყელებს ზღვად გადმოჰყრის, აგზნებს ფერებს ახალს,  
 ვით დაკარგულ მის მგალობელს კიხაბერში მნახავს.  
 სულ პატარა მამული მაქვს, მაგრამ ისე მძლავრი,  
 როგორც ვეფხვი... და ლამაზი, როგორც  
 პატარძალი,  
 სულ პატარა მამული მაქვს, სულ პატარა-მეთქი,  
 იქ იწყება, დიდ ცისფერ წყალს ჭოროხი რომ ერთვის.

## რობერტ ბერნეს

შენს მამულზე, ჩემს მამულზე რა ზღაპრები თქვეს!  
 ჩემს ცისფერ მთებს დავადარებ შოტლანდიის მთებს.  
 დღიდება შენ, ზენაფიქრით ამაღლებულს, სვეს,  
 შენ ლამაზო პოეტო და შენ ლამაზო სერ!  
 ჰკოცნის შენი პოეზიის ზამბაზოვან სერს,  
 ვინც ამღერე — პატარა ვარ, ვერ გაგყვები, სერ!  
 შენს სურათს და შენს ძეგლს ჰკოცნის, გაყრის ყვავილთ ჭვროს,  
 ვინც ამღერე — გენაცვალე, ჭონ ანდერსონ, ჭონ!  
 თქვეს, მეფეა მგოსანიო მიწისა და ცის,  
 შენც მეფე ხარ შოტლანდიის და სულ ოქროს ცრი,  
 მოთაყვანე მგალობელი შენი მიწის, ცის!  
 მგოსანს რა აქვს? არაფერი, მინდობია გულს,  
 მინდობია ოქრო სიტყვას, ალალია სულ,  
 მგოსნის მტერი და ორგული, დე, კრულ იყოს, კრულ!  
 პოეტები ვგალობთ მარადს — გული გვქონდეს სვე!  
 აბა რატომ ვხედავთ ისევ ანგელოზს. თვალ სველს,  
 აბა, რისთვის ვხედავთ ისევ ჭურღმულის შავ თვალს,  
 გოდებას თუ სისხლს უმანქოს და ამღვრეულ წყალს?!  
 მაშ, ღმერთებმა სიმართლე თქვან,  
 თქვან თუ მაღლი სწამოთ...  
 ხან ჯემზე, ხან ჯინზე გალობ, ჩივი ქვეყნის ბედს:  
 — ჰეი, ჩემო სენეგალო, შენ სატანა გდევს!  
 ჩემს მამულსაც აწამებდნენ, სისხლს აცლიდნენ, სისხლს,  
 ჩვენი ტაძრის გადაბუგვა ვის არ სურდა, ვის!  
 ვართ, ვიქებით ქვითყირივით, არ ვავიჩენთ ბზარს,  
 ჩვენი მტკვარი კვლავ რბის მძლავრად, მიჰყიუინებს ზღვას.  
 მამულ-დედულს ვუდარაჯებთ პოეტები მზივ,  
 ჩვენს სულში და ჩვენს მკლავებზე არწივები ზის.

პოეტები ვგალობთ მარადს — გული გვქონდეს სვე!  
 ნუმც ვხედავდეთ სისხლს უმანკოთ, ანგელოზთ თვალს სველს.  
 ჩვენ ვუგალობთ ხალხის მარჯვენს, ჩვენს ვენახს და ზვრებს,  
 ჩვენ ვუგალობთ ღიღ სიმართლეს, სამშობლოს და მზეს,  
 და პოეტებს ვინ რას ერჩის ოლალ გულის მჩენთ?!  
 სიცოცხლესაც ვანაცვალებთ საგალობელს ჩვენს.  
 ვკოცნი შენი პოეზიის ზამბახოვან სერს,  
 შენ ლამაზო პოეტო და შენ ლამაზო სერ!

## ჩემი გზა ცისძარს მიაგავს....

იწვის და იწვის სიცოცხლე, სიცოცხლე ჩემი ლამაზი,  
 ხან ვარსკვლავებზე ვიცოცე და ფეხქვეშ მეგო კავკასი.  
 ხან გაღვუფრინე მაღალ მთებს, ნევას, ნილოსს და ნიაგარს,  
 ჩემს ცას დიდი მზე ანათებს, ჩემი გზა ცისკარს მიაგავს.  
 თუნდაც ღუნისა მოვიგლი, ბევრიმც ჩამრჩება ნაზ გულში;  
 მაგრამ დავდნები თოვლივით, თუ ვერ მოველ ჩემს მამულში.  
 მე თუ ვერ ვნახე ჩემი ცა, ჩემი მთები და ჭალები,  
 შავებს, ეჰ, შავებს ჩავიცვამ და სევდით გავიმსჭვალები.  
 შეხედე ჩემსა მუხასა, განა კვლავ მუმლი ესევა,  
 ვარ დაცემული მუხლადა, რომ მეგალობა ესერა.  
 შეხედე ჩემსა მკლავზედა; განა არწივი არა ზის?!  
 ცხრა ცაში როკვას გავბედავ, არსად არ მიდევს სარაზი,  
 იწვის და იწვის სიცოცხლე, სიცოცხლე ჩემი ლამაზი.  
 იწვის და ისე ელვარებს, ვით ხომლი — ნეტარ მშვენება.  
 ჩემი სიცოცხლე მღელვარე, მზეო, შენ შემოგევლება!—  
 წლები და წყლები ჩაიარს, შუბლს დააჩნდება ნაოჭი,  
 ვიპოვი, რაიც ჩამითქვამს, ჩემს ვარსკვლავს ცაზე გამოვჭრი.  
 არ ვეპუები აღმართებს, ვიპოვი რაც დამიკარგავს.  
 ჩემს ცას დიდი მზე ანათებს, ჩემი გზა ცისკარს მიაგავს.

## ჩ ე მ ი მ ა მ ა

დედა არის სილამაზე, შენი გულის ხატი მარად,  
 მამა — შენი ფხა და ფესვი!  
 ასე უთქვამს ვინმე მავანს.  
 ჩემი მამა, საყვარელი, ჩემი მამა.  
 ბერლინის ცას მამაცურად დააყარა ნაღარა და  
 მოგვიტანა ჭრილობები, მოგვიტანა ჭალარა თმა.

ღიმით ვეტყვი: — მამა, შენს მხრებს დიღი თოვლი ადევს უკვე,  
რა იქნება, ერთი მუჭა თოვლის ფიფქი მეც მაჩუქე!  
შეტყვის: — არა, შვილო, არა,  
გამიღიმებს ნაზად მამა.

ეჰ, მინდოთა ყოფილიყო ახალგაზრდა იგი მარად,  
მისი გულის ნაღვერდალი წლებმა სადღაც გადამალა,  
იალბუზივით გამითეთრდა, გამითეთრდა დედაც, მამაც.  
ყველა მამას ვუალერსებთ, ეფერება ჩემი დედაც, —  
თვის ჭალარას არად აგდებს, მამის უჩენს ცეცხლს და სევდას...  
— ბედნიერო შვილო ჩემო, უამი გიდგას ჯვარისწერის...,  
უნდა იყო მშობლის მჯობი, თორემ აკვანს დაგიწყევლი,  
ბედნიერო შვილო ჩემო, უამი გიდგას აკვნის რწევის! —  
მარიგებს... და ნაღველს მალავს,  
მეფერება ჩემი მამა,  
საყვარელი ჩემი მამა.

## ჩემი მინაწერი ლადო ასათიანის ფიზნე

აქ, ჩემს მთებში	გეყოფოდა
უკვე თოვლი დადო,	მისი მუჭა მიწა.
ეჰ, შენს გულზეც	გეყოფოდა
ხომ არა თოვს, ლადო?!	მისი წყაროს წვეთი
დაგეძებდი	და ყაყაჩო,
მთაწმინდაზე ერთხელ,	ისიც მხოლოდ ერთი.
დაგეძებდი...	აქ, ჩემს მთებში
ბილიკს მოვყევ ხევ-ხევ...	დიდი თოვლი დადო,
ვერ გნხე და...	შენს საფლავზეც
გული ისე დამწყდა,	ხომ არა თოვს, ლადო?!
მღვრიე სისხლი	ცოცხლობს გული
დიღხანს აღარ დაწდა.	დაფერფლილი ლექსალ,
შენ მთაწმინდა	საქართველო,
გულში გქონდა ფიცად,	ყელში იდგამს შენს ხმას.



## მოხალისებრი

### მომენტილი ცა

ოთახის კარი ჭრიალით გაიღო და აიგანზე თხუთმეტიოდე წლის ბიჭი გამოვიდა. მას მუხლის თვლებზე დაკერებული შარვალი და ხშირი რეცხვისაგან გაცრეცილი მაისურა ეცვა.

ბიჭის ხელში ლოსისძირიანი გაცვეთილი წულა ეჭირა. წულის შიგნით ძველი წინდები იყო ჩაჩურთული.

იგი ასაკთან შედარებით კუნთმაგარი და ახოვანი ჩანდა. შავი ხუჭუჭი თმა შუბლზე ჩამოშლოდა: ნაჯაფარ, ეკალ-ბარდით დაკაწრულ მქლავებზე მზე მოსდებოდა.

ბიჭი კიბეზე დაეშვა. მის ფეხებზე მწარედ აკვნესდა მორყეული საფეხურები. რამდენიმე ნაბიჯი ჩაათავა და ქვემოდან მესამე საფეხურზე ჩამოჭდა.

ზაფხულის აღრიანი დილა იდგა. მთის იქით ცის კიდური ალისფრად ელავდა, საღლაც შორს მზე ეპირებოდა ამოცურებას.

სოფელს ჯერ კიდევ ეძინა. ჭალის ღამისეული ნისლი ღრუბელივით დასწოლოდა.

სამზარეულოს მხრიდან ქალის ალერსიანი ხმა მოისმა. ბიჭმა იქით მიიხედა. დედას წაბლა ძროხა ბლის ხეზე მიება. იქვე, მოკლე თოკით მარგილზე მიბმულ ბოჩოლის წაბლა თეთრად დაწიწყნულ შუბლს ულოკავდა. ჩამოწველილი რძის ჩხრიალში დედა ტკბილი ხმით ძროხასაც ამშვიდებდა და ხბოსაც.

სამზარეულოს ღია კართან ნაღირა დარაჯივით ჩამდგარიყო. საცეცხლურიდან მოჩანდა მოლაპლაპე ალში გახვეული ქვის კეცი.

სოფლის დაღმართზე ხრიგინით დაეშვა სატვირთო ავტომანქანი, არღობეში შემოჭრილ ავტომანქანას ნადირა ისეთი გააფთრებით დაედევნა, რომ დამტრთხალმა ძროხამ ბოჩოლა კინალამ გადათელა.

ბიჭმა ძალლს გაბმით დაუსტვინა.

აქოშინებული ნადირა უმალვე პატრონთან გაჩნდა.

— შე სულელო, ძროხა ლამის გააგივე. აქ იყავ და ფეხი არ დაძრა.

ბიჭმა ფეხზე წინდა ჩამოიცვა და მოთელილ წულებში ფეხი თავი სუფლად შერგო.

მოახლოებულ დედას ახალი რძის საამო სურნელება მოჰყვა.

— გია, შვილო, იმოდენა ყანას მარტო რას მოვერევი! არც დაყოვნება შეიძლება, ავდარმა რომ მოგვისწროს, დაგველუპება. ჩაგერბინა სადგურზე, იქნებ ვინმე ქირაზე გეშვევა.

გიამ თაღეთ შესუდრულ დედას თვალი შეავლო. რატომლაც იგი აღრინდელზე უფრო გამხდარი და დაქანცული ეჩვენა. დარღისა და ტანჯვისაგან ნააღრევად მოტეხილ ქალს ავადმყოფური ფერი დასდებოდა.

— მეც წამოვალ, დედა.

— ხვალ ხომ გამოცდა გაქცს, შვილო?!

— ნუ გეშინია, წუხელ გვიანამდე ვიმეცალინე, ამელამდელი ღამეც ჩელშია. ამინდი თუ გვაცლის, ორ დღეში მთლიანად მოვრჩებით. ზაზაც დაგვეხმარება. არა უშავს, კუნთებს გაივარჯიშებს.

— თერთმეტი წლის ბიჭი რას დაგეხმარება, თოხს ვერც ზიდავს.

— ბრინჯის სათოხნი წამოილოს; ცოტას: ცოტა მიემატება.

— ოპ, ღმერთო, რა დღე დამიდგა! — დედამ თავისთვის ჩაილაპარაკა და სამზარეულოსაკენ წავიდა.

გიამ ჯერ დედას გააყოლა თვალი, შემდეგ ოთახის ლია ფანჯრისაკენ გასძიახა:

— აღარ ადგები, ბიჭო?

პასუხი რომ ვერ მიიღო, ხმას აუწია.

— ზაზა! ზა...ზა!

ლოგინის ზამბარებმა დაიჭრიალა, ჭრიალს გაგულისებული პასუხიც მოჰყვა.

— რა იყო, კაცო! რა..ა..ა!

— ადექი, ადექი! ძილს ღამითაც მოესწრები. ახლა დედას დავეხმაროთ.

გიამ წულის ზონარი გამონასკვა და ეზოს გახედა.

მესრის ღობე აქა-იქ დაზიანებულიყო და შეკეთება სჭირდებოდა, ხის ჭიშკარიც ერთ მხარეს გადაზნევილიყო. ხრამის მხრიდან ეკალ-ბარდი მძლავრობდა. არც სახლი იყო უკეთს მდგომარეობაში. ფიცრებს რუხი ფერი დასდებოდა. წინა ერთი ოთახი გაუწყობელი იყო. აივანზე ასასვლელი კიბე დიდი ხანია რემონტს ითხოვდა. ფრთხილად ადიოდნენ, რომ ფეხ-



ქვეშ არ ჩანგრებლათ. გიამ ბევრჯერ სცადა ლურსმნითა და საბიჯგულო გემაგრებინა, მაგრამ ამაოდ — წვიმისაგან დახავსებული საფეხურები საცა ჩაიშლებოდა.

სახლ-კარს გამრჩე, გამოცდილი ხელი სჭირდებოდა, მაგრამ სად იყო ის ხელი...

მართალია, ომი დამთავრდა, მაგრამ ბევრი ოჯახის მსგავსად ვერც გიას ოჯახმა მოიშუშა ჭერჯერობით მძიმე ჭრილობა.

გია სულ პატარა იყო, მამა არმიაში პირველად რომ გაიწვიეს. უშამო-ბით გამოწვეული შიში მაშინ იგრძნო, როცა ღამით დედასთან მარტო დარჩა. ასე ეცონა, საბნელიდან საშინელი ურჩისული შემოიჭრებოდა და ორივეს ჩანთქავდა. ეს შიში დიდხას, ძალიან დიდხას გაჰყვა.

გატანჯული, გამხდარი დედა მუდამდე ძრწოლით ელოდა რაღაც ცნობას: ფოსტალიონს რომ დალანდავდა, ღონებიხდილი იქვე ჩაიმუხლებდა. სანამ ფოსტალიონი მოახლოვდებოდა და ახალ ამბავს მოიტანდა, სიცოცხლეს ათავებდა.

ასე გავიდა რამდენიმე წელი.

გაზაფხულის ერთ თბილ დღეს ჭიშკარში ვიღაც ყავარგნიანმა კაცმა შემოაბიჯა. გიამ იგი ვერ იცნო, მაგრამ უმალვე მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო.

არც შემცდარა, ცრემლმორეულმა, აცანცანებულმა კაცმა გია გაჭირვებით ხელში აიყვანა, „ჩემო ვაჟკაცოო“, წასჩურჩულა და ისე ჩაიკრა მკერდში, რომ პატარას სუნთქვა შეეკრა.

შემდეგ მისუსტებული კაცი კიბის აი ამ საფეხურზე ჩამოჭდა და გია კალთაში ჩაისვა.

გია ხელს უსვამდა მამის მოსირმულ სამხრეებს, ბრჭყვიალა ორდენებს. სიამოვნებით ნებდებოდა მის ალერს და გრძნობდა, რომ დედა მოლოდინით მეტად აღარ დაიტანებოდა.

— შენ რომ დაიბადე, აი, ის ბალი იმ დღეს დავრგი. თქვენ ტოლები ხართ. ამ სამ წელიწადში რა დიდი გაზრდილა!

გიამ ახედა ყვავილებით თეთრად გადაპენტილ კახური ბლის ხეს. გაუკვირდა, ამოდენა ხე ჩემი ტოლი როგორ იქნებაო.

მამის დაბრუნება მთელმა სოფელმა გაიგო. ჭალაში კაცი აფრინეს. ოჯ, როგორ გაიხარა დედამ! წუთითაც არ შორდებოდა მეულებს, ვახშა-მი მეზობლებმა გააკეთეს. სუფრაც მათ გაშალეს. იმ ღამით ბევრს მღეროდნენ, ბევრსაც ტიროდნენ.

მამა ისევ კოჭლობდა. ტყვია ძვალში მოხვედროდა და ძალიან სტკიოდა.

— ალბათ, მეორედ აღარ გაგიწევენ, — გამოელაპარაკა ვანო ბრი-გადირი.



— გარბიან წყეულები; სანამ მე მოვრჩები, იქნებ სულ გადარეტონ

— თქვა მამამ.

როგორ უყვარდა ოჯახი! ძლივს დადიოდა, მაგრამ მაინც ერთ ადგილს ვერ ჩერდებოდა. მსხლის, მანდარინის, ლიმონის ნერგები მოიტანა და დარგო.

„ჩვენ ახალი ოჯახი გვაქვს, ომის წინ გამოვეყევით ძმას. უკეთ რომ ვიცხოვროთ, უნდა ვიმუშაოთო“, ამბობდა. დედა არ ანგებდა, მაგრამ ჭალაში ყანის დათესვაზე ძალიც დაეხმარა. „ამ ნაკვეთზე ხელს ხუ აიღებ, კარგი მოსავალი იცის, პრემიაც დიდი მოგიწევსო“, ეუბნებოდა დედას.

შემდეგ ბალი დამწიფდა. მამა გიას მხრებზე შეისვამდა და დაბალ ტოტებზე მწიფე ბალს აკრეფინებდა, თუმცა გიას უკვე ალარ ეშინოდა პატარა ხეზე აცოცება.

ბლობა მოილია.

მამა უკვე კარგად იყო; ახლა ფრონტელთა ოჯახებსაც შველოდა.

შემდეგ ატამიც შემოვიდა.

სწორედ ატმობას მამამ კომისარიატიდან უწყება მიიღო. იგი გიამ ყანაში მიუტანა მას. მამას სიტყვაც არ დაუძრავს; სამუშაო მიატოვა, თოხი მხარზე გაიდო და სახლისაკენ გამოსწია.

სოფელს რომ მიუახლოვდნენ, მხოლოდ მაშინ ამოილო ხმა:

— აბა შენ იცი, გია, დედას როგორ დაესძარები. ოჯახს მიხედე. ნურც ჭალაზე აიღებთ ხელს, ხომ ხედავ, სიმინდი იქროს ფასი ღირს.

სახლში დაბრუნებულმა თოხი განშტოებულ ბლის ერთ-ერთ მსხვილ ტოტზე ჩამოჰკიდა.

აცრემლებული დედა ბლის ხესთან მივიღა, კიბე მიაყუდა, „ამ თოხს შენს გარდა ხელს არავინ მოჰკიდებსო“, უთხრა და ტარი თოკით ტოტზე მიაკრა.

სადგურამდე გააცილეს. განშორებისას დედას ქვითინი ამოხდა.

მამა აღარ დაბრუნებულა, ბერლინის ცეცხლში ჩაიდერფლა.

მამის დალუპვის შემდეგ ბლის ხისაღმი გიან უცნაური გრძნობა დაეუფლა — ასე ეგონა, მამის სული ბლის ხეში იყო ჩაბუდებული და იქიდან უყურებდა გიას ყოველ მოქმედებას. ზამთარში, როცა ხე ფოთოლს ყრიდა, ბიჭს გული ეკუმშებოდა, გაზაფხულზე კი ეჩვენებოდა, თითქოს ხესთან ერთად მამაც იწყებდა ახალ სიცოცხლეს. ქარის შრიალი იღუშალ ჩურჩულად ჩაესმოდა და ფანჯარასთან გარინდებული თავისებურ პასუხს აძლევდა.

წლებთან ერთად ბლის ხეც იზრდებოდა და მამისეული თოხიც ზევით და ზევით მიიწევდა. ორჯერ ტოტმა თოკიც კი შემოიწყვიტა, მაგრამ გიამ ახალი თოკი შემოაბა. იმ ტოტზე ნაყოფს არავინ კრეფდა, ჩიტებს რჩებოდათ საკენკად. იმ ახლაც მთვლი ხე მოცლილია, მაგრამ მამისეული ტოტი ლალისფრად ელავს დახუნდლული ნაყოფით.

კარის ჭრიალმა გიას ფიქრები გაუფანტა.

ზაზა მაისურისა და ტრუსის ამარა გამოვიდა. იგი ერთი ხელით შარ-ვალს მოათრევდა, მეორეთი ნამძინარევ თვალებს ისრესდა.

ნადირას აღარ უცდია თავისი გრძნობა დაეფარა, შმაგივით აღვილს მოწყდა, ორი ნახტომით აივანზე გაჩნდა და ზაზას მიეჭრა.

— აფსუს, რა ტკბილად მეძინა! — სინანულით ჩაილაპარაკა ზაზამ, კიბეზე დაეშვა, შუა საფეხურზე ჩამოჭდა, ნადირას ხელი მოხვია და მიიხურა.

ალერსით განებივრებულმა ნადირამ სცადა პატრონისათვის სახე გა-ელოკა, მაგრამ ზაზამ ცხვირზე დაჰკრა ხელი.

— აბა, აბა ძალიან ნუ შეტოპე.

სამზარეულოდან დედამ გამოიხედა მან თვალი ვერ მოსწყვიტა კი-ბის საფეხურებზე ჩამომსხდარ შვილებს.

— ოჲ, ჩემო მტრედებო! — ნატვრით დაიკრიფა გულზე ხელი.

მზე ამოცურდა. დაცვარული მდელო ვერცხლისფრად ალაპლაპდა.

— დაგვეხმარები? — გია ისე გამოელაპარაკა ძმას, რომ მისკენ არ მიუხედავს.

— სათევზაოდ მინდოდა წასვლა.

— ჯერ საქმეს მივხედოთ.

— ოქვენ საქმეს რა გამოგილევთ, — ზაზა ჩუმად წამოდგა, ნადირას წინა ფეხებზე ხელი მოჰკიდა და გიას ზურგზე შეასკუპა.

გია ბრაზით ზეზე წამოიჭრა, მაგრამ სიანცით გულიანად აკისკისე-ბული ძმა რომ დაინხა, უმალვე დაცხრა.

— ბიჭო, რა გიხარია?! ერთი შეგახედა, რას გავხარ, დაბმულს ააწ-ყვეტიებ. ჩაიცვი, ვინმემ არ დაგინახოს.

ზაზამ შარგალში ჯერ ერთი ფეხი გაუყარა, შემდეგ მეორე. რომ წა-მოდგა, შარვლის წელი მკერდამდე მიწვდა. თოვი, რომელიც ქამრის მა-გიერობას უწევდა, წელზე შემოიჭირა და გამონასკვა.

ძმის უცნაურ ჩაცმულობაზე გიას ხარხარი აუგარდა.

— რას იქრიჭები? ის გირჩევნია, შარვალი მიყიდო და ეს ძონძი უკანვე დაიბრუნო.

— ზაკო! — სიცილით გული რომ იჭერა, გია ძმას დაუტკბა, — მოდი, შოვრიგდეთ. ხვალ ბოლო გამოცდას ჩავაბარებ, ბრიგადირი აკაციის ბო-ძებსა და ბამბუქს შემპირდა. ხომ ხედავ, უპატრონოს გავს ჩვენი ეზო — მომეხმარე. ამ ზაფხულს ღობეც გავლობოთ და ის შამბნარიც გავკაფოთ; სამაგიეროდ ტანსაცმელსაც შეგიყერავ და ერთ ნამდვილ ბურთსაც გი-ყიდი, კამერიანს.

— დაპირებებში ხუთიანი გაქვს.

— მამას გეფიცები, შეგისრულებ. გინდა, კვირას დედა გავუშვაო ქალაქში. შენც გაყევი



— აი ეს მესმის. სამაგიეროდ, მოხმარება ჩემზე იყოს. ამ ქონებასაც უკან დაგიბრუნებ. — კაბასავით, გაფარფაშებულ შარვალს ერთხელ კიდევ შეავლო ხელი.

— ეპეი, გია! — მამაკაცები ჭიშკარს მოადგნენ.

ვანო ბრიგადირს ორი მეზობელი ახლდა.

— ღედა სახლშია?

— ღიას, მობრძანდით.

შეზობლის ხმაზე სამზარეულოდან დედა გამოვიდა.

— ელენე! — ბრიგადირმა ჭიშკრიდან გადმოსძახა, — ამათ თოხი არა აქვთ. თოხს თუ გვიშოვი, დაეგხმარებით. შუაღლემდე შენს ყანას მოვრჩებით. შემდეგ სხვებსაც მივხედავთ.

— ოჯ, ღმერთმა გიშველოთ! თოხს როვა ვერ გიშოვით. სწორედ ორი თოხი მაქვს. — სახე გადაუნათდა დედას.

— მე რაღა ვწნა, დედა? იქნებ, ჩემთვისაც ითხოვო სადმე, — შეწუხდა გია, — სტუმრებს ხომ გამყოლიც უნდა.

— თოხს ახლა სად იშოვი, მთელი სოფელი ყანაშია გასული. ისე, ელენე, — მძიმედ გააგრძელა ბრიგადირმა, — ჩემმა სწავლებამ ჯვარი დაგწეროს და, იმ ცხონებულის თოხი უანგს რომ შეაჭამე, ის არ ჯობს, შენი ოჯახის საქმეზე მოიხმარო?

დედას კრინტი არ დაუძრავს, გაუბეჭად ახედა ბლის ხეს.

— ელენე, არ გეწყინოს, — საუბარში მეორე მეზობელი ჩაერია, — ღმერთმანი, მართალს გეუბნება. თოხი ჩამოხსენი, ეს ბალიც დააკრეფინება ყანაში გამოვვიგზავნე. ჩიტმა რაღად უნდა გააოხროს?

გიამ დედას გადახედა.

ფიქრებში ჩანთქმული ქალი თვალს ვერ აშორებდა ნაყოფით დახუნდლულ ტოტს; ხმა ვერ გაეღო, თითქოს შიშობდა, იქ უჩინარი რაღაც არსება სამუდამოდ არ დავაფრთხოო.

— ღროს რაღას ვკარგავთ! ზაზა, აბა, ერთი ხეზე ახტი და ის თოხი ჩამოაგდე. — მძიმე ღუმილი ბრიგადირმა დაარღვია.

ზაზა ხესთან მიჟრა, მაგრამ უმალვე შედგა, ზედ გასვლა ვეღარ გაბედა და დედას მიაპყრო თვალი.

დედა ისევ გარინდებული იდგა, მისი გონება უძირო ბურანში იყო ჩანთქმული.

— ბიჭო, ვერ გაიგონე, რა გითხრეს?! — მოაფხიზლა ზაზა გიამ.

ზაზას მეტი ალარ დაუყოვნებია, კატასავით აცოცდა ხეზე და ტოტებში მიიმალა.

ზევიდან გადმოქწეული თოხი მოხრილი პირით ტოტს გამოედო და ჩამოეკიდა, თითქოს არ უნდოდა ხეს მოსცილებიდა.

ზაზა განშტოებულ ტოტზე შედგა, მთელი ძალით დაარხია. თოხი შეტოვდა, ტოტი გამოეცალა და ძირს გადმოეშვა.

ფოლადი ყუით ქვეს დაენარცხა და ზარივით დაიწყრიალა.

პირველი ელენე მიიჭრა, თოხი სათუთად აიტაცა ხელში.

— ვაი, შენს პატრონს. — ყრუდ დაიკვნესა.

ბრიგადირმა თოხი ჩამოართვა, ქლიბი ამოილო და პირზე გაუსვა.

— აგაშენა ღმერთმა! წმინდა ფოლადია, მთელ თაობას ეყოფა. მხოლოდ ტარი უნდა გამოვუცვალოთ. გია, მამაშენი ხელოსანი კაცი იყო, ნახე, სადმე ტარიც ექნება შენახული, უცბადვე წამოვაგებ.

სანამ გია ისაუზმებდა, ბრიგადირმა თოხი გამართა.

ახალტარიანი თოხი გიამ ხელში შეათამაშა, ალესილი პირი გაუსინჯა.

— დედი, ეს ჩემი იყოს, კარგი?

— კი, შვილო, ღმერთმა მოგახმაროს, — ელენესაც მოჟვა გულზე.

გიამ ხილიანი ჩანთა თოხს ტარზე ჩამოჰკიდა და მხარზე გაიღო.

დედამ ხარბად გააყოლა თვალი ორლობით მიშავალ შვილს.

— სიარული მამამისის დაჲყვა, გაბედული, მოზომილი. გულიც მამასავით კეთილი აქვს, მტერსაც არ აშევეინებს. ოჰ, შენ კი გაიხარე, შვილო, რა ნააღრევად მოგიხდა ოჯახის უღლის ტარება! — თავისთვის წაიღუდუნა დედამ.

სოფლის თავდალმართიდან გამოჩნდა მუქ-ლურჩად მობიბინე ზღვა-სავით ვრცელი ყანები. ნიავი ნაზად აშრიალებდა ტანაყრილ სიმინდს.

მდინარის პირს იწყებოდა მამისეული ყანა.

— ეს, დალოცვილი, რა ძარღვიანი მიწაა. ჯერ არ მახსოვს ამ ნაკვეთს თავი შეერცხვინოს, — თქვა ბრიგადირმა.

დოქი თხმელის ხის ჩრდილში დადგეს, ჩანთები ტოტებზე ჩამოჰკიდეს, ორმა ხალათიც გაიხადა.

ნაპირზე ჩაღნენ. გია შუაში მოიქციეს.

მიწა ფხვიერი და რბილი იყო. თოხს ადვილად ნებდებოდა. — მალე მთელ ყანაში ნედლი ბალახისა და მიწის თბილი, სამო სურნელება ჩაგუბდა.

— გია, თავს ნუ გადადებ, ისე, მსუბუქად აგვიბი მხარი. სამუშაოდ კი არ წამოგიყვანეთ, გვიხარია, რომ სოფელს მამის მაგივრად უდგეხარ მხარში. — გამოელაპარაკა ბრიგადირი.

— არ მიჰირს, ძია ვანო, თქვენთან ერთად სახალისოც არის.

— ადრე თუ მოვრჩით, ზოიძესა და ქავეურაძეს დავეხმაროთ.

— ეჰ, რა ბიჭებს ჩაუქრაოთ მზე! რამდენ ოჯახს ჯერაც არ გაუშლია გხიარული სუფრა.

— არც არის გასაკვირი.

— გასაკვირი კი არ არის, მაგრამ ადამიანი დარღს უნდა მოერიოს, ასე ჯობს კაცისთვის, სოფლისთვისაც.

— ზოგს ერთი ყავდა და იგიც დაკარგა, დამტირებელი აღარავინ დარჩა.

— შენ ისა თქვი, ახლა რომ დაიწყოს, რაცხა ატომია...

— რას ამბობ, ბიჭო, ისე როგორ გაგიუღებიან, ატომი დაუშინონ: ურაკამანების! არა, ვისაც წინა ომი ახსოვს, იგი ახალ უბედურებაზე აღარ იფიქრებს.

დასახმარებლად მოსული ორი სხვა მეზობელიც შემოემატათ. საათნა-ხევარში მთავარი ნაპირი გაიტანეს.

— შევისვენოთ, ცივი წყალი დავლიოთ. — თქვა ბრიგადირმა.

ჩრდილს მიაშურეს.

გზის მხრიდან ყანაში ვიღაც ისეთი ხმაურით შემოიჭრა, თითქოს სიმინდის გადათელვა უნდოდა. იქით მიიხედეს. დაწინაურებულ ნადირის ზაზა ფეხდაფეხ მოსდევდა. ძალი ზოგჯერ დაელოდებოდა, უკანა ფეხებზე წამოიმართებოდა და მოახლოებულს გზას უკეტავდა, ფეხებში ებლანდებოდა. ზაზა ერთი ხელით პატარა კალათს იცავდა, მეორეთი ნადირის იგერიებდა. ხარხარი, მუქარა და ყალბი ლრენა ერთმანეთში ირეოდა.

— ბიჭო, ყანა ნუ გააფუჭეთ, — წყრომით გასძახა გიამ.

დაცვარული ბლით სავსე პატარა კალათი ზაზამ წრეში ჩადგა, თოკი, არმელიც შარვალზე ქამრის მაგიერობას უწევდა, შეიხსნა, ჩამოცურებული შარვალი მკერდამდე აიწია და თოკიც უფრო სამედოდ გამონასკვა.

— ოჰ, რა ბალია!

— აფსუსი არ იყო, ჩიტი, შეცუამა?

ზაზამ გიას თოხი წაართვა და თვითონ ჩადგა მეზობლებში.

ერთი საათის შემდეგ მეორე ნაპირიც გაიტანეს.

ისევ ჩრდილს დაუბრუნდნენ.

გალე ელენეც გამოჩნდა. მძიმე კალათი მხარზე შემოედგა და ტან-აყრილ სიმინდებს მოარღვევდა.

ყანას თვალი რომ გადაავლო, სახე გაებადრა.

— თქვენ კი გაიხარეთ, რამხელა დარღი მომხსენით.

გიამ თხმელას ტოტები დატეხა და სუფრად დაააფინა.

ელენემ კალათს დოლბანდი მოხადა, ნივრით შეეკაზმული ქათამი თე-ფშით ჩამოდგა, ზევიდან ორი შემწვარი წიწილი დააწყო. შემდეგ ობში-ვარადენილი ჭჭადი გიას გადასცა და დანაც მიაწოდა. ფრთხილად ჭერ პამილორები ამოალაგა, შემდეგ კიტრიც მოაყოლა. კვახის ბრტყელ ფოთ-ლებში გახვეულ ჭყინტ ყველს ფოთლები შემოაცალა და დასაჭრელად დააწყო. კალათში დოქი დარჩა. დოქს ტუჩზე სისხლისფერი ღვინო დასდენოდა.

— ოჰ, ელენე, აგაშენა ღმერთმა! მაგ სადილის დანახვამ მაღაზე მო-მიყვანა.

— შე მუქთახორავ, როდის არა ხარ მადაზე? — დასცინა ბრიგადირმა.. ხარხარი ატყდა.

სუფრას შემოუსხდნენ.

ელენემ ჭიქა ლვინით აავსო და ბრიგადირს გაუწოდა.

— ვანო, უთამადე ამ ხალხს.

— სუფრას მასპინძელმა უნდა უთამადოს.

— ეჭ, კარგი იქნებოდა, მარა... — ელენემ სიტყვას გულიც თაშ-

ამოაყოლა.

— ღმერთს შენზე მთლად არ აულია ხელი. შეხედე ამ ბიჭებს! ცრემ-  
ლი არ დამანახო, ელენე! მომე ეგ ჭიქა. აბა, გია, სუფრაზეც უნდა გასწიო  
მამაშენის მაგიერობა.

— რას ამბობთ, ძია ვანო?!

— ჩამომართვი, ჩამომართვი.

— ხვალ გამოცდას ვაბარებ.

— შენ სადღეგრძელო თქვი და რამდენიც გესიამოვნება, იმდენი და-  
ლივ.

— გამოართვი, გამოართვი, გია! — ყველა მხრიდან მიაძახეს.

გიამ ჭიქა ჩამოართვა.

დედამ გაბრწყინებული თვალები მიაპყრო შვილს და სუნთქვა შეეკ-  
რა იმის მოლოდინში, თუ რას იტყოდა ასე ნააღრევად დაკაცებული  
მისი უფროსი ბიჭი.

ზაზა ეშმაკურად შესციცინებდა ძმას.

გია ოდნავ ჩაფიქრდა, ჭიქა ხელში უხერხულად შეატრიალა, ჩაფიქრე-  
ბულმა თვალი გადაავლო ჭამით გართულ მეზობლებს და ათრთოლებული  
ხმით დაიწყო:

— ამ პირველი ჭიქით მინდა ვადღეგრძელო მთელი ქვეყნის ულრუბ-  
ლო, მშვიდი და მოწმენდილი ცა.

— რაო, რაო, მოწმენდილი ცა მინდა ვადღეგრძელოო? — ერთ-ერ-  
თმა მეზობელმა გაკვირვებით გადაულაპარაკა ბრიგადირს.

— გია, ამ ლენჩს კარგად გააგებინე რა გინდა თქვა. — მიუბრუნდა  
ბრიგადირი გიას.

— მე მინდა ვთქვა, რომ დედამიწა არასოდეს არ შეიბუროს იმის  
ლრუბლებით, მინდა, რომ დაკარგულ შვილებზე ფიქრი დედებს ზეზეურად  
აღარ აღნობდეს, იყოს საფლავები, მაგრამ ნულარ გაითხრება ძმათა ახა-  
ლი საფლავები, ნურც ობლებს დასჭირდებათ მამების მაგივრად ნააღრე-  
ვად ოფლის ღვრა. ყველამ ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ იყოს მშვიდი  
ზეცა, ულრუბლო ზეცა.

გიამ პირველი სასმისი ბოლომდე დასცალა.



## გიორგი სალუცეცი

პ ვ ე ლ ი ს ა ხ ე ლ ი

აგერ ის სახლი კრამიტიანი.  
 ამეკვიატა დარდი ტიალი.  
 შინაურები აღარ მხვდებიან,  
 ვხედავ გოგონას ლამაზთმებიანს.  
 ის ქალი მისი დედაა, ალბათ.  
 ისევ ჭრიალებს ჭიშკარი ცალფა.  
 და იქით ძველი ბალი პატარა  
 ისევ მაისის წვიმით დამთვრალა.  
 ლობესთან ისევ ჭრელი ქათმები,  
 და იცინიან ისევ ატმები.  
 მზის გულზე მუქად მოჩანან კვლები.  
 ძველი ალუჩის ჩეროში ვდგები...  
 და ახლაც თითქოს მამა გლეხივით  
 მოეშურება მკერდგალელილი.  
 ვბრუნდები უკან და მკერდით დამაქვს  
 ტყვაია, რომელიც ესროლეს მამას.

\* \* \*

ახლა, როდესაც მილიონ ვოლტით  
 ელვა ანათებს ღრუბელთა გრაგნილს,  
 მყუდრო ოთახში ვუზივარ ვოლტერს  
 და ტრაგედიის სტრიქონებს ვთარგმნი.  
 ტელევიზორის ანტენას არწევს.  
 შემოვარდნილი ქალაქში ქარი  
 და განათებულ უფარდო ფანგრებს.

აწყდება წვიმის მომსკდარი ღვარი.  
 აწყდება, როგორც ფარვანა სანთელს,  
 მერე მინაზე უღონოდ სხლტება.  
 ეპრანზე გააქვთ ბრძალი ვარდებს  
 და ტყეში ისმის ბულბულის ყევა.  
 გარეთ ათასი მავთული გოდებს  
 და ზღვაზე ახლა გრიგალი დაქრის...  
 შეუდრო ოთახში ვუზიგარ ვოლტერს  
 და ტრაგედიის მონოლოგს ვთარგმნი.

## ხ ე ლ ვ ა ჩ ა უ რ ი

ქარი კახაბერს ღელვად ჩაუვლის,  
 წამოშლის ფოთლებს, დახეთქავს  
 კვირტებს.

აშრიალდება ხელვაჩაური  
 და ყვავილების ცეცხლს წაიკიდებს.  
 თეთრად და მწვანედ მიღამო ყვავის  
 და მიწა აცლის მშრომელს არაქათს,  
 და ოფლის ჭილდონ იქნება ხვავი —  
 ჩაის, ყანის და ზვრების ბარაქა.

## ზ ღ ვ ა ს ა რ ვ თ ა ნ

ზღვა აქ არ არის თითქო ღელვილი,  
 ზღვა სარფთან თითქო დინგია განგებ  
 და არის წმინდა ლაზის ცრემლივით,  
 სამშობლოს გარეთ რომ გადაკარგეს.  
 გაღმიდან მოაქვს ქარს სიმღერები  
 ჭირში მუდამ რომ თან ახლავს  
 ქართველს  
 და ქარს ძმასავით მოვეფერები,  
 რაღვან ძმის შველა მეც ვალად მაღევს.

\* \* \*

ჭორობი, ჭიქურ ნარბენი მთებზე,  
 ვიღრე ზღვის ტალღებს აქცევდეს  
 ქერად,  
 ქვებში დამალავს სავეარელ თევზებს —  
 არ გააყოლებს ქაშაპს და წვერას.

\* \* \*

შხაპუნას როგვას რა დააოკებს...  
 გული სიმღერამც ვერ გამილალოს.  
 აღმა ავყვები ამ წვიმის თოკებს,  
 რომ ღრუბლებს ზემოთ მზე დავინახო.

\* \* \*

როცა სითეთრეს სიმწვანე წაშლის,  
 როცა მიდამო სამოსელს იცვლის,  
 ატმის ყვავილი მიფრინავს ჭაში,  
 რომ ვარსკვლავები იხილოს დღისით.

\* \* \*

მზე დასავლეთით გადატრილია  
 პონტოს ტალღები აქაფებია —  
 მოწყურებია ზღვას მარილიანს  
 და მღვრიე ჭოროხს დაწაფებია.

## ს ა მ ჟ უ რ ა

რა გეცინება, სამყურავ,  
 რა ყური დაგიცევეტია?  
 რომ გამებუტა ბალღურად,  
 რა ვქნა, შენსავით ცეტია.


რაო? წავიდეს —სხვა მოვა?  
 შენც იმასავით ცეტი ხარ —  
 სამყურა ბევრი ამოვა,  
 მაგრამ შენ მხოლოდ ერთი ხარ.

\* \* \*

მესმის ნიაღვრის ბლავილი.  
 აპრილი ფეთქავს გულში,  
 ბუქი ტრიალებს ყვავილის —  
 ატმის, ალუბლის, ნუშის...  
 ეცემა თვალთა სარკეზე  
 ფერთა ცვალების ხვავი.

შავი ფარლები აკეცეთ,  
 ფერი წაშალეთ შავი.  
 ეს გულიც აპრილს მიაგავს,  
 მე თვითონ ვგავარ ნიაღვარს,  
 აპრილს კვალდაკვალ მივდევ,  
 გადავიქროლებ მინდვრებს.





## რევაზ რომანაძე

### სიცოცხლის წყურვილი

ავად იყო იგი. ჰაერი არ ყოფნიდა და ღია ფანჯარასთან იწვა. ფანჯარაში გადახედვა კი ეზარებოდა. როცა ვეღარ მოითმენდა და უხებლიერ თვალი ფანჯრისაკენ გაექცეოდა, გული ეხუთებოდა. სარკმლიდან სხვას ვერაფერს, მხოლოდ თავისი ხელით გაშენებულ ბალის ნაწილს ხედავდა...

ორიოდე წლის წინათ, სანამ ავად გახდებოდა, აქ, ამ ბალში უყვარდა მუშაობა.

პოდა, როცა ბალს თვალს გადაავლებდა, გული უკვდებოდა — უნდოდა ისევ თავს მოვლებოდა მას, მაგრამ ამაზე ფიქრიც ზედმეტი იყო — სად ჰქონდა ამის შეძლება...

და წუხდა, მოსვენება არ ჰქონდა.

მის მიერ დარგულ-გახარებული ხეები კი ხალისიანად შრიალებდნენ, თითქოს შორიდან ეალერსებოდნენ და ასე უთვლიდნენ ავადშეყოფ ქალს:

„შენ ავად ხარ, მაგრამ ჩვენ თავს კარგად ვგრძნობთ — ახლა ჩვენ შენი შვილები, შვილიშვილები არ გვაკლებენ მზრუნველობას... ვზრდით ნაყოფს, ვამშვენებთ და ვასუფთავებთ მიღამოს, რომ გადაგიხადოთ თავის ღროჟე გაწეული ამაგი“...

რომელ მცენარეს არ შეხებია მისი ხელი, რომელს!

იმას, ყვავილებით აჭრელებული, მოზუზუნე ფუტქრებდახვეული ლი-მონის სურნელოვანი ხე რომ დგას მანდარინის პლანტაციის გვერდით?

ეს ლიმონი სწორედ მან დაამყნო, მერე იქ გადარგა და გაახარა, სადაც ახლა ლალად ელოლიავება გაზაფხულის ზენა.

ლიმონის გვერდით მწვანე სამოსელში გახვეული, მაგრამ ყვავილები-საგან გაჭალარავებული ფორთოხლის მოზრდილი ხე რომ შრიალებს, სიმა-

რომელი რომ ითქვას, ის არც დაუმყნია და არც გადაურგავს, მაგრამ შეიძლია უკლიდა მას და გაზარდა?!

ვინც შობა, მარტო მასზე არ ითქმის დედა. ნამდვილი დედა ისაა, ვინც წესიერად აღზრდის შვილს, მზრუნველობას არ მოაკლებს...

ვინ მოსოფლის, რა წვლილი შეიტანა, რა ამაგი დასდო ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე კოლმეურნეობასა და ოჯახს

როგორც დედამ,

როგორც დიასახლისმა,

როგორ ოჯახის ბურჯმა,

როგორც კოლმეურნეობის ყოფილმა სასახელო წევრმა...

„ავადმყოფობამ დამაკრა ლოგინზე, თორემ უქმად რა გამაჩერებს, გული ისევ შრომისაკენ მიმიწვევსო“, ხშირად ეცბნება შვილებს. მეზობლებს... განსაკუთრებით კი მაშინ, როცა წარსულს იგონებს და ნაღვლიანად უცქერის თავის დაკიურილ ხელებს.

დიახ, სულით და გულით უნდა მუშაობა.

მაგრამ...

მაგრამ არა, იმედი აღარ აქვს განკურნების.

მაღალი სისხლის წევა და გულის ფრიალი, სისუსტე რომ არაფრად ჩავთვალოთ, ოთხმოცდათ წელს უყურებს პირდაპირ.

„ადამიანი ყოველოვის ხომ არ იცოცხებებს“, ამბობს გუნებაში, თუმცა... თუმცა ისე ეშინია სიკვდილის, რომ მასთან ამ სიტყვას ვერც კი ახსენებ, ვინმე გარდაიცვალაო, ამასაც ვერ ეტყვი.

გული აქვს ისე აჩვილებული, რომ ცოტა სწყინს და ცოტა ახარებს... უბრალო რამეზე ატირდება, უმნიშვნელო რამეზე იცინის.

— შრომაგ გასტეხა წელში, — ასე ამბობს ზოგიერთი.

— რაო?! — თუ გაიგონა გული მოსდის.

და იგონებს მის ტოლა ქალს, სიყრმის მეგობარს, რომელსაც ერთ დროს ქმარი, შვილები, ყველანი ხელიდან გამოეცალა. მარტო დარჩა და რა გზა ჰქონდა, მასზე მეტს შრომობდა სახლშიც და კოლშეურნეობაშიც... და ახლაც განმრთელად გრძნობს თავს.

— არა, შრომა-გარჯა კაცს არ კლავს, — ხშირად ამბობს იგი, — მუშაობა რომ კაცს კლავდეს, აი ვის მოკლავდაო, — მიუთითებს მეზობლის ქალზე.

— ყველაფერი მოხუცებულობამ მიყო და არა შრომა-გარჯამ...

რა აქვს სხვა საქმე და აღრე-ადრე იგონებს წარსულს, ბავშვობას.

...ერთხელ ძროხებს აძოვებდნენ სოფლის ფეხშიშველა, ენატიკტიკა გოგონები, ბატონის ძროხებს და ხალისიანად კისკისებდნენ.

ქვეყანა თავისი ეგონათ. არც ერთი არ ფიქრობდა, თუ ოდესმე მოხუცდებოდა და სიკვდილის წინაშე წარსდგებოდა.

ახლა იმათგან მხოლოდ ორია ცოცხალი...



არა, ზოგჯერ სიკვდილზეც ჩიმოუგდიათ სიტყვა. აგონძება, ერთ მათ ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.

— მე ოჩმოცი წელი ვიცოცხლო ისე, როგორც საჭიროა და მეტი არა ზინდა რა.

— ადამიანმა სამოც წლამდე მაინც უნდა იცოცხლოს,—თქვა მეორემ.

— ორმოცდათიც საქმარისია.

— არა, თუ ვიცოცხლებ, ოთხმოცი წელი უნდა ვიცოცხლო! — უთქვაშს მას.

და აუსრულდა ნატვრა.

კი არ აუსრულდა, მეტიც ქნა — ოთხმოცი წელი ინატრა, ოთხმოცდათის არის.

ამ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე რა არ გამოსცადა ამქვეყნად: მწუხარება თუ სიტკბო, სიღუბჭირე თუ... რა არა!

მაგრამ დღევანდელი დრო ყველაფერს ურჩევნია.

გული წყლება, რომ მოხუცი არის, ღრმად მოხუცი, ლოგიხად ჩავარდნილი... წლებს ვერ განკურნავენ, წლებს, თორემ...

და შურს ახალგაზრდების ბედი.

ამას წინათ შვილებმა პროფესორი მოუყვანეს.

გასინჯა, წამლები გამოუწერა და, რაც მთავარია, დააიშედა: ადრე მორჩებიო.

შასვლის წინ ასეთი ამბავი თქვა:

„შარშან ავადმყოფთან წამიგანეს შორეულ რაიონში, მთებში. ასოცი წლის ავადმყოფი დამხვდა, კვნესოდა.

„ადრე თუ მოვრჩებიო“, — მალ-ჭალე მეკითხებოდა.

გაციებული იყო.

საშიში არ იყო მისი ავადმყოფობა.

დავაიმედე

„თავს მოუარე, ფრთხილად იყავი და ყველაფერი გაივლის-მეთქი“.

„როდის, ამ ერთი კვირის განმავლობაში, თუ უფრო გვიან?“ — მოსვენებას არ მაძლევდა.

„რა გაჩქარებს? ამ კვირას თუ არა, მეორე კვირას ჯანმრთელი იქნები“. —

„რაო!! — თვალები დაკვესა, — რა მეჩქარება?!.. თუ კაცი ხარ, რაც შეიძლება ადრე მომარჩინე. კოლმეურნეობის ორიოდე ცხვარს მეც კი მოვუკლი.“

„ეჩქარებოდა მორჩენა“.

— შვილო, სიცოცხლის ფასი არაუერია ქვეყანაზე, არაფერი, გესმის? რამდენიც არ უნდა იცოცხლოს, მაინც სიცოცხლე სურს ადამიანს. — უთ-

ხრა პროფესორს ლოგინადჩავარდილმა მოხუცმა ქალმა და დანაოჭებულ  
სახეზე ხელები შეივლო, თითქოს ამით სურდა გაეგო, ნამდვილად ოთხ-  
მოცდათი წლისა იყო თუ ცდებოდა.

— ბავშვობის დროს ასე ვინატრე: ოთხმოცი წელი ვიცოცხლო და  
მეტი არაფერი მინდა-მეთქი... დღეს ოთხმოცდათი წლისა ვარ და სწორედ  
აწი მინდა სიცოცხლე, თორემ უწინ რა იყო წვალების მეტი. — და თვა-  
ლებზე ცრემლები მოადგა.

— დედაჩემო, დღეს ცველაფერს აკეთებენ ამისათვის საბჭოთა მე-  
დიცინის მუშაკები... მაღვე ისეთი საშუალებებიც კი იქნება, რომ მოხუ-  
ცებს გაახალგაზრდავებს, — უთხრა პროფესორმა.


— მართლა?! — წიჩიოჩიფა დედაბერძა და ისეთნაირად გაეხარდა,  
რომ ასე მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანილზე არაფერი გა-  
ხარებია.

პროფესორს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია და ინანა: ცუდად იმოქ-  
მედებს მასზე, რატომ ვუთხარი ეს სიტყვებით.

მაგრამ პროფესორი შეცდა.

— აბა, ისევ დამიბრუნებენ ახალგაზრდობას? — სიხარულმა ავადმ-  
ცოფობაც გადაავიწყა, — ჰოდა, გვიშველეთ მოხუცებს, ჩვენ აწი გვინდა  
სიცოცხლე!...

სხვა წამალი მას არ ესაჭიროებოდა.



## იაკობ მელია

### ბაზრობა აგაშაში

ციკლიდან „ჩემი სოფლის სურათები“.

აგერ, ურმები გამოჩნდნენ გზაზე,  
მოაქვთ დოვლათი ხარებს მიღლილებს  
და შემოდგომა ურმის თავანზე  
ზის და მაღლიან ჰანგებს ღიღინებს.  
აქაურ ბაზარს სულ სხვა ეშხი აქვს,  
შენც კარგად იცი, ჩემო ქალაქო,  
თუმცა ამაზე, უმჯობესია  
ჭალის წისქვილი ვალაპარაკო.  
დახლზე სულგუნს რომ თითქოს რჩე  
გასდის,  
გსურს, რომ სიამე გულს მოაფინო.  
დახლთან დედა დგას, დიასახლისი,  
სიტყვას რომ დასძენს: გოლუაფირო!  
ფარდულში ჩანან დიდი კასრები,  
დიდიჭყუნიდან ჩამოტანილი,  
და ოჯალეშით სავსე ჭიქები  
განათებულან თითქოს ალივით.  
რა ქნან? გულდასმით ჭაშნიქს სინჯავენ,  
როგორი არის, ან რა ძალა აქვს,  
ჰე, დაილოცა გამრჩე მარჯვენა  
და ჩვენებური ბაზრის ბარაქა!  
ვიღაცამ ყალყზე შეაგდო რაში,  
ბაზრის ფოლორცზე ვეღარ ეტევა,

მუშტარს მათრახად გადაჭერა ფასი,  
 ალბათ, გაყიდვა არ ემეტება.  
 აგერ დალალი უშობელს აქებს, —  
 ჯიქანში ეძებს რაღაც საკბილოს.  
 უკვირთ, ნეტავი ვინ აგულისებს, —  
 მის ძელ ხელობას რომ არ თაკილობს?!  
 გაეღიმება მეზობელ გურულს,  
 ხელს ჩამოართმევს თავაზის რიგად,  
 წავა, რიონზე გადიტანს ღიმილს,  
 უშობლის რქებზე დასარქავს იგავს.  
 ცალკე, იქ, საღაც ჭალრის ჩრდილი დგას,  
 ჩანს ჭალიშვილი ცისფერ თავსაფრით  
 და საუბარი ყმაწვილ კაცისა  
 იმგვარად ესმის, როგორც ზღაპარი.  
 და საუბრობენ მშვიდად და ნელა,  
 თვით უფროსების ნებით, უფლებით,  
 შორი-ახლო კი შეუმჩნეველად  
 თვალს ადევნებენ ჭირისუფლები.  
 განა ვინა თქვა, სიტყვა არა სჭრის,  
 ზოგჯერ გაბეღვა არის გმირობა,  
 ყველა ნავაჭრზე მეტად ნავაჭრი  
 ყმაწვილკაცს მიაქვს სატრფოს პირობა.  
 ირევა ხალხი, ვინ ვისა ხვდება...  
 არის ფუსფუსი, ვინ იცის რაზე...  
 და მერე, როცა მზე გადიხრება,  
 ერთმანეთს თითქოს მისდევენ გზაზე.  
 აი, ბაზარში არავინ არ ჩანს,

მარტო ჭალარი დგას და ოფლს იშრობს,  
 ცვივა ფოთლები და ბაზრის ნავაჭრის,  
 თითქოს დახლზე ჰყრის და ანგარიშობს.



## მოთა ზოგი

### ეს შეგიძლია...

მე შემიძლია, ვიმღერო ასე,  
 რადგან ასეთი სიმღერა მმართებს,  
 შენ ჩემს ცხოვრებას ყელამდე ავსებ,  
 ვით ცარიელ სკას ახალი მართვე.  
 შენზე სიმღერას წრფელსა და სანდოს  
 წავიღებ და მთელ სამყაროს მოვთენ.  
 მე შენ თვალებში ჩაგხედავ მარტო  
 და ოღმოვაჩენ ქალაქებს, სოფლებს...  
 და ოღმოვაჩენ სახლებს და ხილებს,  
 ოკეანეებს, ზღვებსა და პორტებს,  
 რომ ქვეყნად ჩემი სიცოცხლე ღირდეს  
 და სიხარულის მიზეზი მჭონდეს!  
 მე მარტო ვარ და ვამშვიდებ თითებს,  
 ვით მშვიდდებიან ზოგჯერ გულები.  
 საჭიროა და ყველაფერს ვითმენ,  
 მაგრამ ყველაფერს ვერ ვეგუები.  
 და ოღარ ვიცი, რად მელანდება,  
 რაც აღარ არის უკვე საჭირო...  
 ეს, ჩაიარა წყალმა რამდენმა,  
 ჩემს ხსოვნას კი რამ გადაგარჩინა?!



## ევთანელი გვ. აჩანიძე

### ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ თ ბ ა

დასაბამიდან დაგვენათლა  
ძალა მთებური,  
ვაგლახად რაშეს  
ნუ იფიქრებს ჩვენზე ნურავინ,  
საქართველოში დააკოჭლეს  
ყველა თემური,  
საქართველოში დააყრუეს  
ყველა მურვანი...  
ომში ძმის ამბავს  
ვაბარებდით გაფრენილ მერცხალს,  
ზოგჯერ იმედი ძნელია და  
მაინც ხიდია...  
არ გაყიდულა საქართველო  
ოქროდ და ვერცხლად,  
რადგანაც იგი  
არავისგან არ გვიყიდია...  
და ნაომარზე ბევრი ღვინო  
თუ ვსვით ყვარლური,  
ცოცხლად ვახსენეთ,  
მტერმა ბევრი თუმცა გათელა...  
არ დაგვრჩენია საქართველო

უსიყვარულოდ,  
არ გაგვჩენია სიყვარული  
უსაქართველოდ.  
ჩვენ ვიცოცხლებთ და  
სიყვარულში მოვკვდებით მერე,  
ჩვენი მიწა და ზეცა არის  
ამის თავდებად,  
არ გათავდება კარგი ლექსი,  
კარგი სიმღერა,  
ქართული სისხლი  
არასოდეს არ გათავდება!...  
ჩვენ გვზრდიდა განა  
მარტოოდენ აბჭრების სისქე,  
ჩვენ სიცოცხლის და  
სიყვარულის ვნახეთ ვარდობა.  
ჩვენ მივდიოდით,  
ვცოცხლდებოდით,  
ვკვდებოდით ისევ  
და მაინც გვერქვა  
ახალგაზრდობა...



## სური იაკოვლევი

### მ ი წ ი ს გ უ ლ ი

მარტ-აპრილის მიზნაზე ცა ოკეანის სილურჯით იულიხთება, ხოლო თოვლი კრისტალივით მაგრდება და სანაპიროს მსხვილ სილასავით შრიალებს ფეხქვეშ. არყის ხის ვარდისფერი კანი სკდება და პაპიროსის ქალალდივით თრთის ქარში. მზე თვალს ჭრის და, როცა ქარი ჩადგება, ალერსით აცხუნებს ლოყას. მაგრამ, რაც მთავარია, ირგვლივ ზველაფერი ივსება გაღვიძებული მიწის მძაფრი ცოცხალი სურნელებით. გაბრუებს ეს სურნელება და, ღრმად რომ შეისუნთქავ, მთელ ტანში სასიამოვნოდ იღვრება, იღუმალ სიხარულად გადაეცემა გულს, გრძნობ, თუ როგორ იღვიძებენ შენში ახალგაზრდა ძალები და თვალწინ გაიღლვებენ ცხოვრების საუკეთესო დღეები.

და შენ გაგონდება დედა.

დედაჩემი მე ჭალარა და დაღლილი მახსოვს. შვილებს არასოდეს არ ახსოვთ დედა ახალგაზრდა და ლამაზი, რადგან მშვენიერების არსში გვიან სწვდებიან, როცა დედის სილამაზე უკვე მჭკნარია.

დედაჩემი მე ჭალარა და დაღლილი მახსოვს. მაგრამ ამბობენ, რომ იგი ლამაზი იყო. სწორი შავი წარბები, მაღალ შუბლზე ჩამოშლილი მუქი თმები. ასეთი ვნახე იგი გახუნებულ ფოტოსურათზე—სრულიად ახალგაზრდა მოწყალების და. წითელი ჯვარი თეთრ თავსაფარზე.

დღემდე მესმის დედის ჩუმი ხმა, აუჩქარებელი ნაბიჯი, ვგრძნობ მისი ხელის სათუთ შეხებას, მისი კაბის ხეშეშ სითბოს მხრებზე. ეს არ ემორჩილება ასაკს. მარადიულია.

შვილები არასოდეს არ უმულავნებენ დედას თავის სიყვარულს, ისიც ეს არ იციან, რა არის ის გრძნობა, სულ უფრო ძლიერად რომ აჯაჭვავს მათ დედასთან. მათი გაგებით ეს საერთოდ გრძნობა კი არა, რაღაც ისეთივე

პუნქტოვი და საგალდებულო რამ არის, როგორც სუნთქვა, წყურველი  
მოკვდა.

მაგრამ დედისაღმი ბავშვის სიყვარულში არის ოქროს დღეებიც. მე  
ისინი აღრეულ ასაკში განვიცადე, როცა პირველად შევიგნე, რომ ყველა-  
ზე უცილებელი ადამიანი ამჭერად — ეს არის დედა; ბე ერთი ნაბიჯი-  
თაც არ ვშორდებოდი მას. მეშინოდა დაძინებისაც კი: ვაი, თუ მიმატოვოს-  
მეთქი. გამოვილვიძებდი თუ არა, ჩემი პირველი ფიქრი იყო: სად არის დე-  
და? იმ დღეებში პატარა რაინდად გადავიქეცი, ხოლო დედაჩემი მშვე-  
ნიერ მანდილოსნად მესახებოდა. პატარში ვატრიალებდი ხის გორდას და  
ყოველ წუთს მზად ვიყავი დამეცვა დედა. ის გრძნობდა ამას და ბედნი-  
ერი იყო.

მე არასოდეს არ ვუძახოდი მას „დედას“, მისთვის მქონდა სხვა, უფ-  
რო ალერსიანი, უფრო თბილი სიტყვა — „დედიკო“. დიდი გავხდი და მა-  
ინც იმ სიტყვის ერთგული დავრჩი. მინდოდა დამეძახა „დედა“, ბაგრამ ბა-  
გებს უნებლიერ მოწყდებოდა ისევ ის ალერსიანი ბავშვური „დედიკო“. წამომეზარდა ულვაზში, დამიბოხდა ხმაც. მეუხერხულებოდა ეს სიტყვა და  
ხალხში მას ძლივს გასაგონად ვამბობდი.

უკანასკნელად ეს სიტყვა წარმოვთქვი წვიმისაგან დასველებულ ბა-  
ქანზე, წითელ ჯარისკაცულ „ტეპლუშასთან“, საშინელ ორომტრიალში,  
როცა ორთქლმავალი შემაძრწუნებლად წიოდა და ისმოდა ბრძანება:  
„ვაგონებში!“ არ ვიცოდი, თუ სამუდამოდ ვეთხოვებოდი დედას. არ ვი-  
ცოდი, თუ შეიძლებოდა სამუდამოდ დაგმშვიდობებოდი დედას. მე მას  
ყურში ჩავჩურჩულებდი — „დედიკო“ და, ვინმეს რომ არ დაენახა ჩემი  
მამაკაცური ცრემლები, დედის თმებით ვიმშრალებდი მათ... მაგრამ როცა  
მატარებელი დაიძრა, თავი ველარ შევიკავე, დამავიწყდა, რომ მამაკაცი  
ვარ, ჯარისკაცი, დამავიწყდა, რომ ირგვლივ ხალხია, დიდალი ხალხი და  
ბორბლების რახახში, ქარში, რომელიც სახეში მცემდა, დავიყვირე:

— დედიკო! დედიკო...

მაგრამ მას უკვე აღარ ესმოდა.

\* \* \*

როცა საგუშაგოზე ძლიერ ციოდა, ჩვენ შევგროვდებოდით მიწურის  
შეკვამურთან და ვთბებოდით თბილი დაბალი ბოლით. იგი მწარე მსუბუქ  
სითბოდ ეფინებოდა ყინულით გათოშილ სახეებს. ვნანობდით, რომ არ შე-  
იძლებოდა გვესუნთქა ამ სითბოთი. კარტოფილს რომ ვიმოვიდით, ჩამოვ-  
კიდებდით მავთულზე და ჩავუშვებდით საკვამურში. კარტოფილი იწვე-  
ბოდა თანაბრად და გემრიელად. მას თოვლითა და ნაძის წიწვებით ვაც-  
ლიდით ჭვარტლს. ჩვენ ყოველთვის გვშიოდა, ყოველთვის გვციოდა. მხო-  
ლოდ ბრძოლაში, ჭვემეხებთან გვავიწყდებოდა შიმშილი და სიცივე. და  
კიდევ მაშინ, სახლიდან რომ მივიღებდით წერილს.

მაგრამ სახლიდან მიღებულ წერილს პქონდა ერთი უჩვეულო თვის შემცირება, რომელსაც თითოეული აღმოაჩენდა თავისთვის და არავის უმეღავნებლად მას. ყველაზე მძიმე წუთებში, როდესაც თითქოს ყველაფერი გათავდა ან სულ მალე გათავდებოდა და უკვე აღარ იყო არავითარი ხელმოსაჭიდები ცხოვრებაზე, სახლიდან მიღებულ წერილებში ვპოულობდით სიცოცხლის ხელუხლებელ მარაგს. მარაგი დიდხანს გვყოფნიდა, ვუფრთხილდებოდით და ვიზოგავდით, რავი არ გვქონდა იმედი, რომ მას უახლოეს სანში შევიგცებდით.

მე ვერ შემოვინახე დედის წერილები. ვერც ზეპირად დავიხსომე ისინი, თუმცა ათვერ მაინც გადამიკითხავს. მაგრამ მეტსიერებაში შემომრჩა სურათი მშობლიური სახლის ცხოვრებისა, დედის წერილებიდან რომ წარმომიდგებოდა.

დედის წერილს რომ მივიღებდი, არ იყო არც ქალალდი, არც საველე ფოსტის ნომრიანი კონვერტი, არც პწყარები. იყო დედის ხმა. ეს ხმა ქვემეხთა გრიალშიც კი მესმოდა.

მიწურის ბოლი მშობლიური სახლის კვამლივით ელაშუნებოდა ლოყებს.

ახალი წლის წინ ჩემს სახლში დავინახე ნაძვის ხე. დედა დაწვრილებით ამიწურდა ნაძვის ხეს. თურმე, კარადაში შემთხვევით უნახავს მოკლე ხაირფერი წვერწათლილი ფერადი ფანჯრების მსგავსი ნაძვის ხის სანთლები. ისინი აანთეს და ნაძვის ხის შტოებმა ოთახს მოფინა სტეარინისა და წიწვის შეუდარებელი არომატი. ოთახში ბნელოდა და მხოლოდ მხიარული მოხერიალე შუქი წამით ჩაკვდებოდა და ისევ გაჩალდებოდა. და მერთალად ციმციმებდნენ მოოქრული ბერძნული კაკლები.

მე ვიწევი თოვლზე მძიმე ჩაჩანით, მუზარადქვეშა ქუდით, თოვლისაგან გაუხეშებული მაზარით... დე, ანათე, ნაძვის ხევ, აციალე, მოოქრულო კაკლებო. კარგია, რომ სადღაც დედის ახლოს არის მშვიდობის პატარა კუნძული, სადაც ყველაფერი ძველებურადა, თბილა და სიშვიდეა. და დედას არ ელის საფრთხე. ერთადერთი მისი წუხილი — ეს შე ვარ.

ძველი საათი ისევ ბრუნავს და რეკავს შუაღამისას. ჭრიჭინა, რაღაც სასწაულით რომ ჩასახლებულა ქალაქის ბინაში, მუშაობს ჭრიალა მანქანაზე. დიდი დათვის თანავარსკვლავედის ციცხვი დაბჟურებს მოპირდაპირე სახლის სახურავს. იფრქვევა პურის სურნელება. სიწყნარეა. ნაძვის ხე ჩაქრა. ღუმელი ცხელია.

მაგრამ თურმე ყველაფერი ეს იყო მომაკვდავი დედის შეთხეული ლეგნდა გაყინულ სახლში, რომელსაც ყველა ფანჯარა ჩალეწილი პქონდა აფეთქების ტალღებისაგან, ხოლო ღუმელი ჩამკვდარი იყო და ხალხი იხოცებოდა ჭურვის ნამსხვრევებითა და შიმშილით, შიმშილითა და ნამსხვრევებით. დედა კვდებოდა და მწერდა. ბლოკირებული გაყინული ქალა-

ქიდან მიგზავნიდა თავისი სითბოს უკანასკნელ ნაპერწყლებს, სისხლის უკანასკნელ წვეთებს.

დედა მარტო კი არ შიმშილობდა. მას ხერეტდნენ შიმშილით.

მე კა დავიჭერე ლეგენდა. კბილებით ვეჭიდებოდი სიცოცხლის ხელ-უხლებელ მარაგს. ძალზე აალგაზრდა ვიყავი და უნარი არ შემწევდა რამე ამომექითხა სტრიქონებს შორის. მე ვკითხულობდი თვით სტრი-ქონებს და ვერ ვამჩნევდი, რომ ასოები დაბრეცილი იყო, რადგან ისინი გამოჰყავდა ძალაგამოცლილ ხელს, კალამი ნაჯახივით რომ ემძიმებოდა. დედა წერდა ამ წერილებს, ვიღრე გული უცემდა.

უკანასკნელი წერილი მაისში მოვიდა.

\* \* \*

რაც უფრო მეტ წყალს იღებს ჭიდან, მით უფრო ახალი და ბარაქიანი ხდება იგი. იგი აფრქვევს ცისფერი მიწის სურნელებას და გამღნარი თო-ვლის მყარ სიცივეს. დილით მზე ამოცურდება ჭის ფსკერიდან, საღამოს ისევ ჩაეშვება შიგ. ასე ცოცხლობს ჭა.

თუ ნახევრად ბნელ გვიმში არ უღარუნობს ვეღრო და ჯაჭვი მშვილ-დის ლაორით კი არ იჭიმება, არამედ უმოქმედობით იქანგება, თუ ოწი-ნარი მხიარულად არ ჭრიალებს და მოწყვეტილი წვეთები ვერცხლის ფუ-ლებივით არ ცვიდიან უკანვე გუგუნა სიღრმეში, წყარო აღარ ამოქუხს. ჭა ივსება შლამით, შრება. ბოლოს იგი კვდება.

მტრის შემოსევასთან ერთად გაჩნდნენ მკვდარი ჭები. ისინი კვდებო-დნენ ადამიანებთან ერთად. მკვდარი ჭები გავდა ამოუსებელ საფლავებს.

ახლა ჭები გაცოცხლდნენ. მხიარულად უღარუნობენ ვედროები, მზე-ზე ბრწყინავენ მრავალხელშენახები უანგგაცლილი ჯაჭვები.

ჭები გაცოცხლდნენ, მაგრამ ის, ვინც დაიღუპა, დაიღუპა სამუდამოდ.

მე ხელი დავავლე მძიმე ცივ ვეღროს, ნელა მივიტანე პირთან და უცებ ჩემი ბაგშვობისღროინდელი სახე დავინახე. უშნო, აბურძენული, ნაჭდე-ვიანი შუბლითა და ტყავგადამძვრალი ცხვირით. ის ასეთი ბიჭუნა მიცქერ-და წყლიანი ვეღროდან. მე ხელში მეჭირა ჩემი შორეული ცხოვრება. ეს არ იყო დღვილი. ხელები ამიკანკალდა და წყალზე. ნაოჭები აცურდა — ჩე-მი პატარა ორეული იღრიჯებოდა და დამცინოდა მე — სოლიდურ მოზრ-დილ ქალაქელ მამაკაცს.

მე ვეღროსაკენ დავიხარე და ერთი ყლუპი შევსევ. უშნო ორეულმაც დალია. ასე ვსვამდით ჩვენ ორნი გემრიელ ჭის წყალს, თითქოს ერთმა-ნეთს ვეჭიბრებოდით მეტის დალევაში.

ამ თმააბურძენულმა, შუბლნაჭდევიანმა ბიჭუნამ შორეული წარსული მომიახლოვა. მე ნათლად დავინახე ჩემი ბაგშვობა.

მომაგონდა დაბზარული მორები, ზემოდან რომ დაჰყურებდა ჩემს ტახტს, თივის ლეიბი, შპალერის ლურსმნებით მიჭედებული ფარდები,

სახელურმოგლეჭილი ღუმელის კარები, ძვლის სამაგრები: მე გავიგონნე ფიცრების ჭრიალი — თითოეულს რაღაც განსაყუთორებული ხმა აქვს: ძველი დახეთქილი ფიცრები რომელიღაც იღუმალი ინსტრუმენტის კლავიშები იყო.

და მე დავინახე დედა ჭასთან, დაორთქლილი ვედროებით, შზის ჩალისფერ სხივებში.

\* \* \*

ბაბუაჩემი, ალექსი ივანეს-ძე ფილინი, წარმოშობით ბელოე ოზეროდან იყო. თორმეტი წლისა ჩამოსულა იგი პიტერში და უკან, სოფელში აღარ დაბრუნებულა. ცხოვრობდა გაჭირვებით, მუშაობდა ბევრს. რევოლუციის შემდეგ გახდა შრომის გმირი. ქალაქურმა ცხოვრებამ ვერ ჩაკლამაში სოფლის ფესვები. ზოგჯერ იგი ნაღვლიანად ლაპარაკობდა ბელოე ოზეროს რძისფერ წყალზე, ფუტკარზე, ცხენებზე, იმაზე, თუ სოფელში როგორ ხარშავდნენ შინაური სვის ლუდს დიდ როფში. ზოგჯერ მღეროდა თავის სოფლურ სიტყვამცირე სიმღერებს.

ყველ ზაფხულს დედასთან ერთად სოფელში მივემგზავრებოდი.

ქალაქელი იშვიათად თუ ხედავს მიწას. მიწა ქალაქში დაფარულია ქვაფენილებით, გაცივებული ასფალტის ლავით. იგი განისვენებს სილრმეში — ჟავი, მურა, წითელი, ვერცხლისფერი. მიწამ შეაჩერა სუნთქვა და გაინაბა. ქალაქელმა არ იცის მიწის სუნრელება, არ იცის როგორ სუნთქვა იგი წლის სხვადასხვა ღროს, როგორ იტანჯება წყურვილისაგან, როგორ შობს პურს. ქალაქელი ვერ გრძნობს, რომ მთელი მისი ცხოვრება, მისი კეთილდღეობა დამოკიდებულია მიწაზე. არ აწუხებს გვალვიანი ზაფხული, არ ახარებს ბარაჟიანი თოვა, ზოგჯერ კიდეც ეშინაა მიწის, როგორც ბუნდოვანი, უცნობი სტიქიისა. და მაშინ სულში ქრება აუცილებელა, ბუნებრივი გრძნობა მიწისადმი შვილური სიყვარულისა.

სოფელში დედა და მე ფეხშიშველი დავდიოდით შინდვრად. პირველად ეს საქმაოდ მიძნელდებოდა, მაგრამ თანდათანობით ფეხის გული ისე უხეშდებოდა, რომ ვეღარ გრძნობდა მცირე ჩხვლეტას.

დედამ ისევე შემაჩვია მიწას, როგორც ჩიტი აჩვევს თავის ბარტყუცას, თეთრი ძუ დათვი კი თავის ბელს — ზღვას. ჩემს თვალშინ შავი მიწა მწვანე ხდებოდა, შემდეგ ოდნავ ლურჯად იღებებოდა, მერე ციალებდა ბრინჯაო — ასე იბადება სელი. დედა და მე ვალეჭდით სელს. დედა სწრაფად გრეხდა ჩალის და კრავდა მოკლე ძნებს. მას სოფლელივით ჰქონდა წაյრული თავი თეთრი თაგასაფრით.

ერთხელ როგორლაც დედას ვკითხე:

— ჩემი გული ანათებს?

— აბა, როგორ შეუძლია გულს ანათებდეს? — შემედავა დედა.

მე სამჭედლოში დავინახე მნათი გული. სამჭედლო სოფლის განაპირის იდგა. იქიდან სცემდა ნახშირის ბოლის სუნი. სამჭედლო ირყეოდა

წერიალა წყვეტილი დარტყმებისაგან. მე გავიგონე, თუ როგორ ხრინწია  
ანად სუნთქვის ტყავის საბერველი და ქურის ნახშირში მსუბუქი სტვენით  
როგორ ღვივდება ცეცხლი.

მჭედელი წელს ზევით ტიტველი იყო. ტანი ოფლით უბრწყინავდა.  
სველი მჭერდი ირეკლავდა ქურის ალს. მჭედელი უკან იზნიქებოდა, უროს  
იქნევდა და მთელი ტანით ურტყამდა გავარვარებულ რკინის ნაჭერს. და  
ყოველთვის თრთოდა ალის ანარეკლი. მე ვიფიქრე, რომ ანათებდა გული.  
ცეცხლი იწვის შიგნით და იქიდან ანათებს მჭერდს.

მე დედას დავანახე მნათი გული.

— ხედავ, — ვეუბნები ჩურჩულით.

— ვხედავ.

— რა ანათებს მას?

დედა ჩაფიქრდა და წყნარად მითხრა:

— მუშაობა.

— თუ ვიმუშავებ, ჩემი გულიც გაანათებს?

— გაანათებს, — მითხრა დედამ.

მყისვე საქმეს მოვკიდე ხელი. მომქონდა შეშა, ვჯენჯავდი თივას და  
შზად ვიყავი წყალიც კი მომეზიდა. და ყოველთვის, დავამთავრებდი თუ  
არა მუშაობას, ვეკითხებოდი დედას:

— ანათებს?

და იგი თავს მიქნევდა.

თმააბურძენულმა ორეულმა, რომელსაც შუბლზე ნაჭდევი აჯდა, ისიც  
მომაგონა, თუ როგორ ვიპოვე ერთხელ ჭურვის ნამსხვრევი და ვუჩვენე  
დედას.

— შეხედე, როგორი ქვაა!

— ეს ქვა არ არის, — მიპასუხა დედამ, — ეს ჭურვის ნამსხვრევია.

— ჭურვი გასკდა?

— იგი აფეთქდა უამრავ ნამსხვრევებად.

— რატომ?

— ხალხი რომ დაეხოცა.

ნამსხვრევი ხელიდან გავაგდე და შიშით ვუცქეროდი მას.

— ნუ გეშინია, — მითხრა დედამ, — იგი უკვე ვერავის მოკლავს.  
თვითონ მკვდარია.

— შენ რა იცი? — შევეკითხე მე.

— მე ხომ მოწყალების და ვიყავი.

მე შევყურებდი დედას, როგორც უცნობს. ვერ გამეგო, რა საერთო  
ჰქონდა მოწყალების დას დედაჩემთან.

იმ შორეულ წამს ვერც მე, ვერც ის ვერც კი წარმოვიდგენდით,  
რომ ათი წლის შემდეგ მაზარითა და ჩაჩქანით, გვერდზე მიკრული შაშ-

ხანით მიწაზე გაწოლილს თავს დამაცვიოდა ასეთივე მახვილთავიანი ქვები. არა მკვდრები, არამედ ცოცხლები. არა სიცოცხლისათვის, არამედ სიკვდილისათვის.

\* \* \*

მიწა ნამდვილად ომში შევიცანი. რამდენი მიწა გადავთხარე და გადავბარე ომის დროს. მე ვთხრიდი სანგრებს, ტრანშეებს, მიწურებს, გასასვლელებს, საფლავებს... მე ვთხრიდი მიწას და ვკხოვრობდი მიწში. მე გავიგე მიწის გადამრჩენი ძალა. ძლიერ ცეცხლში ვეკვრობი მას იმ იმედით, რომ სიკვდილი ამცდებოდა. ეს იყო დედაქემის მიწა, მშობლიური მიწა და იგი მითარავდა მე დედობრივი ერთგულებით.

მე ისე შევეთვისე მიწას, როგორც არასოდეს წინათ არ შემეძლო შევთვისებოდი. ჭანჭველასავით დავუახლოვდი მას. იგი მეწეპებოდა ტანსაცმელზე, ქუსლებზე, ნიჩაბზე, — მე ერთიანად დამაგნიტებული ვიყავი, ის კი გარკინებული. მიწა იყო ჩემი თავშესაფარიც, ლოვინიც, მავიღაც. ის ქუხდა და იძირებოდა სიჩუმეში. მიწაზე ცხოვრობდნენ, კვდებოდნენ, ზოგჯერ იბადებოდნენ კიდევაც.

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ვერ დამიტარა მიწამ.

გონს მხოლოდ ფორანზე, თივაში მოვედი. ტკივილს არ ვგრძნობდი, მაწვალებდა მხოლოდ არაადამიანური წყურვილი. წყალი უნდოდა ტუჩებს, თავს, მკერდს, ყველაფერს, რაც კი ჩემში ცოცხალი იყო, წყალი წყუროდა. ეს იყო ალმოდებული სახლის წყურვილი. მე ვიწვოდი წყურვილით.

და უცებ გავიფიქრე, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ჩემი ხსნა შეეძლო, იყო დედა. ჩემში გაიღვიძა მივიწყებულმა ბავშვურმა გრძნობამ: როცა ცუდად ხარ, დედა უნდა გედგას გვერდით. იგი მოგიკლავს წყურვილს, დაგიამებს ტკივილს, დაგამშვიდებს, გიხსნის და მე დავუხახე მას.

ფორანი რახრახებდა და ახშობდა ჩემს ხმას. წყურვილმა შემიკრატუჩები. მე კი ძლივდლიბით ვიქრებდი ძალას და ვჩურჩულებდი დაუვიწყარ სიტყვას — დედიკო. მე ვეძახდი მას. მისი სასოება მქონდა, როგორც ღმერთისა, ღვთისმშობლისა, კაცისმშობლისა. დედა.

ვიცოდი, რომ იგი გამომეხმაურებოდა და მოვიდოდა. მოვიდა კიდეც. უცებ მიწყდა რახრახი და ითქრიალა ცივმა მაცოცხლებელმა წყალმა, ხანძარი რომ ჩაექრო: იგი მეღვრებოდა ტუჩებზე, ნიკაბზე, საყელოზე. დედას სათუთად ეკავა ჩემი თავი, ვაი, თუ რაიმე ვატყიხოო. იგი მასმევდა წყალს ცივი დოქილან, განმარიდებდა სიკვდილს.

მე ვიგრძენი ხელის ნაცნობი შეხება, გავიგონე მშობლიური ხმა:

— შვილიკ! შვილიკ, სულზე ძვირფასო...

მე არ შემეძლო თვალის გახელა, მაგრამ ვერდავდი დედას. მე ვცნობ-



დი მის ხელებს, მის ხმას. მე გამაცოცხლა მისმა მოწყვალე გულმა. **ტუჩქა-  
ბი გავაღე და წავიჩურჩულე:**

— დედიკო, დედიკო...

ჩემში ბევრი სიტყვა დაგროვდა. ისინი ყელში მებჯინებიან, საფეთქე-  
ლში ბიქაუნებენ. ისინი ისწრაფიან გარეთ, სინათლეზე, ქალალზე. მაგ-  
რამ მწვანეა ისინი. ადრეა მათი მოწყვეტა. მე ვიტანჯები და ვუცდი მათ  
დამწიფებას.

ბაგშობისას წყვეტენ მწვანე ვაშლებს, რადგან მოომინება არ ყოფ-  
ნით მოუცადონ მათ ღამწიფებას. წყვეტენ და ჭამენ. და დიდად კძაყოფი-  
ლიც არიან. ახლა მწვანე ვაშლი მოგრებს პირს.

მაგრამ არც სიტყვის გადამწიფება შეიძლება. ზოგჯერ უნდა იპოვო  
ანცი სიხარული მწვანე ვაშლებსა და მწვანე სიტყვებში.

\* \* \*

დედაჩემი განისვენებდა ქმათა სასაფლაოზე ალყაშემორტყმულ ლე-  
ნინგრადში. უცნობი სოფლის ჭასთან სხვისი დედა ჩემი მეგონა. ჩანს, ყვე-  
ლა დედა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. და თუ ერთ დედას არ ძალუდს მივი-  
დეს დაჭრილ შვილთან, მის სასთუმალთან დგება სხვა.

დედა, დედიკო...

ბაგშობაში ადვილად ვიღებთ დედის მსხვერპლს. მუდამ ვთხო-  
ულობთ მსხვერპლს. ხოლო ეს რომ სიმკაცრეა, გვიან ვხვდებით — ჩვენი  
ბავშვების წყალობით.

„ოქროს დღეები“ მუდმივი როდია. მათ ცვლიან „სუსხიანი დღეები“,  
როდესაც ვიწყებთ დამოუკიდებლობის შეგრძნებას და თანდათან ვშორ-  
დებით დედას. და ის უკვე აღარ არის მშვენიერი მანდილოსანი და პატარა  
რაინდი, ხოლო თუ არის, მას უკვე ჰყავს სხვა მშვენიერი მანდილოსანი,  
რომელსაც აქვს ნაწინავები, გაბუტული ტუჩები და აცვია მელნით დალა-  
ქავებული კაბა.

ერთ „სუსხიან დღეს“ სკოლიდან მშიერი და დაღლილი მოვედი. სა-  
წიგნე გავაგდე. გავიხადე. და მაშინვე მაგიდას მივუჭექი. მაგიდაზე იდო  
ვარდისფერი ძეხვის პატარა რგოლი. მე თვალის დახამხამებაში შევსანსლე  
იგი. ძეხვი პირში გამომეცხო მხოლოდ. თითქოს არც კი ყოფილა. მე  
ვუთხარი დედას:

— ცოტაა, კიდევ მინდა.

დედა დუმდა. მე გავიმეორე სათხოვარი. იგი ფანჯარასთან მივიდა და  
უკან მოუხედავად ხმადაბლა თქვა:

— მეტი არ არის... ძეხვი.

მე ავდექი ისე, რომ „მაღლობაც“ არ მითქვამს. ცოტაა! შე დავბრახუ-  
ნობდი ოთახში, ვაჯახუნებდი სკამებს, დედა კი ისევ ფანჯარასთან იდგა. მე-

გონა, რაღაცას უყურებდა და მეც ფანჯარასთან მივედი. მაგრამ ვერაფერი დავინახე.

მე მივაგახუნე კარი — ცოტაა! — და წავედი.

აბა, რა იქნება იმაზე მეტი სიმკაცრე, ვიდრე სთხოვო დედას პური, როცა მას არა აქვს იგი და არც არსაიდან მოელის. და უკვე მოგცათავისი ლუკმა... მაშინ შეიძლება გაბრაზდე და მიაგახუნო კარი?! მაგრამ გაივლის წლები და იგრძნობ სირცევილს. და შეგიძყრობს მტანჯავი ტკი-ვილი შენი უსამართლო სიმკაცრის გამო. ვერ დაივიწყებ შენი შერცხვენის დღეს დედის სიკვდილის შემდეგაც. და ეს აზრი, როგორც შეუხორცებელი ჭრილობა, ხან მიწყნარდება, ხან გაიღვიძება.

ფანჯარასთან რომ იდგა, დედა უხმოდ ქვითინებდა, მხრები უცახცა-ხებდა. მაგრამ მე ვერ შევნიშნე ეს. მე ვერ შევნიშნე ჩემი აპრილის კვალი იატაჭე. არ გამიგონია კარის მიჯახუნება. ახლა კი ყველაფერს ვხედავ და ყველაფერი მესმის. დრო ყველაფერს გვაშორებს, მაგრამ მან მომიახლოვა-ეს დღე. და ბევრი სხვა დღეც.

მაპატიე, ძვირფასო!

ძველ ქოხში ჩაბნელებული სახით იცქირება ქალი, რომელსაც ხელში ბავშვი უჭირავს. ნაღვლიანი, ჩაფიქრებული, მოღიმარი, შეშფოთებული, ბეღნიერი, უბედური. არა, ეს ხატი როდია, ეს დედის პორტრეტია — ბე-ვრის, ცოცხლებისა და ყოვლის ამტანთა.

მე ბევრი რამ ვიცი ქალების გმირობაზე. მათ ბრძოლის ველიდან გა-მოჰყავდათ დაჭრილი მებრძოლები, მუშაობდნენ მამაკაცების მაგიერ, თა-ვის სისტას აძლევდნენ ბავშვებს, მიღიოდნენ ციმბირის გზებით ქმრებ-თან. არასოდეს მიფიქრია, რომ ყოველივე ამას რაიმე საერთო ჰქონდა დე-დაახემთან. წყნარ, მორცხვ, ნაწყენ, შეშფოთებულ დედასთან, რომელსაც მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვს: გვაჭამოს, ჩაგვიცვას, დაგვიცვას...

ახლა მე გავცემი მის ცხოვრებას და ვხედავ: მან გადაიტანა ყველა-ფერი ეს. ამას ვხედავ დაგვიანებით. მაგრამ ვხედავ.

\* \* \*

მე მივდიოდი საოცრად ლურჯი ცის ქვეშ — საიდან არის ჩრდილოე-თის ქალაქში ასეთი ლაუვარდი? და უცებ გაშოჩნდა შავი ღრუბელი წამა-ხვლი კიდეებით. იგი გადაევლო სახლს და სწრაფად წავიდა მცელავი ფრენით. მე სახეში შემაორთქლა ყინვამ.

წამიც და გავიხლორთე თეორ ყინულოვან ბალეში. მე არ შემეძლო-იქიდან გამოძრომა, მხოლოდ ხელით ვიგერიებდი, ვცდილობდი გამერ-ღვია იგი. ირგვლივ კი ყველაფერი გუგუნებდა, კვნესოდა, ბრუნავდა. უხე-ში ყინულოვანი ხორხომალა მცემდა სახეში, მწვავდა ხელებს. და უცებ ბალეში გაიბრწყინა ყვითელმა დაბინდულმა მზემ — იგი ბალეში მოხვდა!

დარტყმა — მზე ჩაქრა: ეს იყო არა მზე, არამედ ზამთრის ელვა, ჭექა-ჭუ-  
ხილი და თოვლი.

ღრუბელი სულ წინ მიიწევდა. იგი ყინულის ბადეში ხლართავდა  
მთელ ქალაქს და ეწეოდა თავისკენ, ძირს ანარცხებდა მოქნილი ძაფებით.  
ისევ ინთებოდა მზე და ისევ ქრებოდა. ქალაქში მშრალი გრუხუნი გაის-  
მოდა.

ახალმა აფეთქებამ გაანათა წარწერა სახლის კედელზე:

„ეს მხარე ყველაზე საშიშია საარტილერიო სროლის დროს“.

მე მეორე მხარეზე გადავედი.

\* \* \*

პიკარევსკის სასაფლაოზე მწვანე ბალახი ბიბინებს. პიკარევსკის სასა-  
ფლაოზე დიდი საფლავებია. დიდი, საერთო, პირთამდე სავსე სახალ-  
ხო მწუხარებით. აქ მარხია ჩემი დედა.

საბუთები არ არის. მოწმეები არ არიან. არაფერი არ არის. მაგრამ  
მარადიულმა შვილურმა სიყვარულმა განსაზღვრა — აქ არის. და მე მიწა-  
ზე დავიხარე.

ხელით ვეალერსები პიკარევსკის საფლავის ბალახს. ვეძებ დედის,  
გულს. ის აქ არის. არა, იგი არ გახრწნილა. არ შეიძლება გაიხრწნას დე-  
დის გული. იგი მიწის გულად გადაიქცა

თარგმანი ტიტე ბიბლიოთის.



# „ მუზეუმის და აღამიანები

რევაზ გორგაძე

## ღღეს ცოცხლი იძტომგერში

მთებს შორის მოქუხს აქარისწყალი. მოქუხს და ექის გამოსცემენ მთები.

გაცურებ ცადალმართულ კარათსა და ზამბორს, ხინანსა და თავსახინისას, ზეკარსა და შავნაბადას და ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს მთებს კი არა — მშობლებს ვეალერები. ეს მთები, ეს მიწა, რომ აცოცხლება აღამიანს...

ვინ მოთვლის რამდენჯერ მოუხდნენ დამპყრობლები ამ მთებს, ამ ხალხს, მაგრამ წარბიც ვერ შეახრევინეს, სამარის გარდა ვერაჯერი პოვეს. ეს მიწა წინაპართა სისხლით არის გაულენთილი. სამასი წელი შავად იღამ-ითენა აქაურმა კაცმა, სამას წელიწადს ენატრებოდა ზულოელს დედა-საქართველო. ვაზის ფესვები მიწაში იცრემლებოდნენ და თალჩიადრიანი ქალწულები ნავენაპარს ვენახს ეძახდნენ. სოფლებში ახლაც გაიგონებთ „ნასახლარსა“ და „ნაფუძვარს“, „ნახორევსა“ და „ნაყანეარსა...“ ასე გადმოატარა საუკუნეებში აქაურმა კაცმა თავისი ქართველობა, დედა ენა, მართალკაცობა და პირმტკიცობა.

ოქტომბრის სხივმადლიანია მზემ აქაც

შემოანათა. უბნელეს ღამეთა შემდევ უბრწყინვალესი დღე გათენდა. ქალებმა შავი ჩადრი ღამეს დაუტოვეს და მზემ მიაგვს პირი.

გაჩაღდა შრომის ზეიმი. ნავენაპარზე ვაზი აყვავდა, ნაახორევზე ფერმა მოეწყო, ნაყანეარზე თამბაქო გაშენდა. რა ხილს ისურვებ, რომ ამ მაღალი მთის კალთებზე ვერ მოგართვას მასპინძელმა! მშრომელის გამრჩე ხელს ყველგან უხარებია ხეხილი. ქალწულის ტუჩებივით ღვივის ალუბალი, სილამაზით თავს გაწონებს კახამბალი, ატამი, თუთა, ვაშლი.

იყო დრო, როდესაც კაცი სამ-ოთხ ფუთ ტვირთს მოიდებდა ზურგზე და ათეულ კილომეტრს ფეხით გაივლიდა. ახლა ყოველ სოფელში გზატეცილია და ყოველ კომეურნეობას რამდენიმე სატვრთი და მსუბუქი ავტომანქანა აქვს. მიციხაზ მაღალი მთისაერ და გესმის ნაღმების გამაყრულებელი ქუხილი — ერთგან რომ სარწყავი არხი გაჰყავთ, მეორეგან მღინარეს კალაპოტს უცელინ. ყველგან მშენებლობაა, ყველგან ამწევის სილუეტებია, ხარისხების ტყეა. ხალხი შრომის ფერხულშია.

ასეა მთელ ხულოს რაიონში, ასეა მთის ერთ-ერთ სოფელშიც, რომელსაც ოქტომბერი ჰქვია.

სოფელი ოქტომბერი.

ნუ გაგიკვირდებათ, არის ასეთი სოფელი ხულოს რაიონში, თვალწარმტაც კარათის მთას რომ ასდევნებია და მის მეკრძალებე აუტანი ბალები. ეს ის მიღამოება, საღაც ამ ხუთი ათეული წლის წინათ მშეცები ან უსამართლოებას გაქცეული ადამიანები — ფრიალები აფარებდნენ თავს. ეს ის სათავეანებელი მიწაა, რომელმაც საუკუნეების მანძილზე გულში ჩაიხუტა მამა-პაპათა მიერ დარგული ვენახის ფესვები და ჩამარხული ქვევრები, ჯიქანივით მტევნებს რომ ისხამს ახლა და სიცოცხლისმომგვრელ მაჭარს აღულებს.

შობდლიურო ჩემო მიწავ, როცა შენს სოფელს ან ქალაქს ნახავს კაცი, ძალაუნებურად წარსულისაკენ, ნაქანდავარი ჩუქურთმებისაკენ მიუღის თვალი. იგონებს წინაპრებს... ისინი ერთ დროს ფურქებივით დაფუსფუნებდნენ სამშობლო ქვეყნის ბარაქიან მიწაზე, უფორმო ქვებზე საჭრეთელით გადაპქონდათ ჩანაფიქრი, ვაზისდარად წნავდნენ ულამაზეს ჩუქურთმებს. ფრთით, ტაფის მურის ანალესითა და ანწლის მელნით წერდნენ უკვდავ სიმღერებს!

და თუ ამ სიმღერებს, ამ ჩუქურთმებს უაფი ღრუბელი დამუქურბოდა, თვით ხალხი ასდგებოდა მათ დასაცავდ.

შეგნელ წარსულს ჩაბარდა მრავალი ტანკვის მომსწრე, უუფლებობის, უცოდინარობის ჭაობში ჩაფლული ტელი აღმე — ეს სახელი სოფელს თურქებმა დაარქვეს (ადრე მას ვაშლოვანი ერქვა — მოელი სოფელი ვაშლის ბალს მოგავინდობთ).

იყო ერთი პატარა სოფელი, მთის კალთებზე შეფენილი, ვიწრო შუალებიანი, ქოხმახებიანი. დღე და ღამ მუშაობდა ალმელი გლეხი, მაგრამ სიღარიბეს თავს ვერ აღწევდა. სად იყო მისთვის კინო, თეატრი, ექიმი, განათლება. მევალები და მევახშები სიცოცხლეს უშწარებდნენ ისედაც გაჭირებულ გლეხებს.

ოქტომბრის მარად უქრობმა სისხვეგმები აქაც შემოანათა და ერთიანად გაათბო ჩეგრულთა გულები. ცხოვრება ახალ კალაპოტში ჩადგა. სოფელმა იცვალა სახე, იცვალ სახელი. ახლა მას ოქტომბერი ჰქვია. სოფელში ხუთასზე შეტი კომლი ცხოვრობს, 490-ზე შეტი კოლმეურნე ქმნის სოფლის დოკლათას და ბარაქებს. კოლმეურნეობა მაყად ტარებს დიდი ლენინელის ს. ორჯონიშვილის სახელს. სოფელში მოჰკვათ სიმინდი, თამაქო. კარტოფილი, ბოსტნეული. უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება მიექცა ვენახს. ერთ ადგილს ძველთაგნ მარანი ჰქვიებია და სოფლის მესვეურებს სწორედ იმ მიღამოებში ვაზი გაუშენებიათ, მარანი მოუწყვიათ. შესანიშნავ მტევანს ისხამს ცოლივაური და საწური. ვიკ უყვართ კიდევ ექტომბერელებს სიმღერა „ვაზო, შვილივით ნაზარდო“. ისინი მართლაცად საკუთარი შვილივით თავს ევლებიან ვაზის, რომელიც ერთ ღროს პირწმინდად აჩეხს გადამოილებსა, რომ მით საქართველო და ქართველობა გადაეკიშვებიათ ალმელებისათვის, მაგრამ სამას წელსაც კი ვერ შეძლეს ამ ბოროტი განზრახვის ასრულება! სოფლის ბოლოში ზათქითა და შეულით მბორგავი ჰკარისწყალი მოწმეა წარსულის მეხთატებისა. ახალი ცხოვრების შექენებელმა ახალმა ადამიანებმა მეღდარა ბრძოლით მოუპოვეს სოფელს სიუხვე და სიამაზე.

შეაცეცხლით გაჭვარტლული ქოხების ადგილი კოლმეურნეთა ორსართულიანმა დღა-სახლებმა დაიკუთა. აშენდა მაღაზიები, კლუბი, კანტორა, ფოსტა, ამბულატორია, საფერშლო-საბებიო პუნქტები, ბიბლიოთეკები. მარტო უკანასკნელ ერთ წელიწადში ორმოცხვე მეტმა კოლმეურნებ აიშენა ორსართულიანი სახლი. ბევრი მათგანი ხის სახლს აღარ გერდება და ქვითებისას იშენებს, შიფრით ხურავს. აშენდა ახალ სახლებს იშენებნ დემურალ და რიზალ მელადები, ნური და დავით აბულაძეები და სხვები.

თუ ვინებს შეუძლია ხულოს რაიონში იაბაყოს თავისი სოფლის კეთილმოწყო-

ბით, სიმღიდრითა და სილამაზით, ეს პი-  
რველ რიგში ოქტომბრულებს შეუძლიათ.  
უცელაზე უფრო საამაყო ისაა, რომ აქ  
გაზიარდნენ ახალი ადამიანები. ნათქვამია,  
უჩინარი სოფელიც კი მთელ დუნიაზე  
გაითვამს სახელს, თუ იქ სახელოვანი  
ადამიანი დაიბადება. დიახაც, რომ სა-  
ხელგანთქმული ადამიანები ჰყავს ოქტო-  
მბებრს! ვის არ გაუგონია პირველი მევე-  
ნახენოვატორი სოციალისტური შრო-  
მის გმირი დემურალ მელაბე, სოფლის  
მოამაგე-ეტერანები აღალი ბოლქვაბე,  
თუნცულ აბულაბე, რსმან და ზექერია  
რიცვაბები... უურნის უხვი მოსავლის  
დიდოსტატი აჭარის ასრ უმაღლესი  
საბჭოს დეპუტატი ჰური გაყელი, ნათე-  
ლა მახარაძე, მეთამბაქოები ნაზი, ფატი  
და ნანული აბულაბები, სევიე და ქსე-  
ნია რიცვაბები და მრავალი სხვა.

მარტო შარშან ნათელა მახარაძემ გა-  
პიროვნებული ვენახიდან 2.876 კილო-  
გრამი ყურძენი მოკრიფა და საშუალო  
საპექტარო მოსავალი 144 ცენტნერამდე  
. აიყვანა, ხოლო ჰური გაყელმა გეგმის  
გადამეტებით 1.587 კილოგრამი ყურძე-  
ნი მოიწია და მნიშვნელოვნად გაუსწ-  
რო თავის მოწაფეს — საშუალო საპექ-  
ტარო მოსავალი 196 ცენტნერამდე გაზა-  
რდა.

კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატებე-  
ბი აქვს კილმეურნეობის თამბაქოს სა-  
ნერგეს, რომელსაც წლების განმავლობა-  
ში სათავეში უდგას ვ. რიცვაბე. წელს აქ  
გამოყვანილი ჩითილებით თამბაქოს პლა-  
ნტაციები გაშენეს ბოძაურის, დანისპა-  
რაულის, სტეფანაშვილების, ღორგომისა  
და ტენაძების კოლმეურნეობებმა. სა-  
ნერგეში ექვსასი ათასი სალი ჩითილი  
გახარეს.

კოლმეურნეობაში ქებით იხსენიებენ  
სამოც წელს გადაცილებულ ლანინის  
ორდენსან. იაზ აბულაბეს, რომელიც  
ახლაც მხარში უდგას თანასოფლელებს  
და თამბაქოს უხვი მოსავლისათვის ზრუ-  
ნავს.

კველად ღარიბი გლეხის შვილს ოცნე-  
ბაც კი არ შეეძლო განათლებაზე. ამის  
არც უფლება ჰქონდა და არც სახსარი.

სოფელ ოქტომბერში წერა-კითხვის მცო-  
ლნესაც კი ვერ შეხვდებოდით. ახლა კი მას და  
სოფელში ერთი საშუალო, ერთი რეა-  
წლიანი და ორი დაწყებითი სკოლა, სა-  
დაც 450-მდე ბავშვი სწავლობს. თოხივე  
სკოლში ორმოცამდე პედაგოგი აქვავ-  
ლის, რომელთაგან დიდი უმრავლესობა  
ადგილობრივი მცხოვრებია. ამ სოფლის  
სამოცხე მეტ მცირდს მიღებული იქვს  
უმაღლესი განათლება. მოწყუბებით  
ეწავებიან სწავლის პარელი გოგონები,  
უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების  
შემდეგ ისინი სამუშაოდ უბრუნდებიან  
მშობლიურ მთებს. ამ სოფლის მცირდი  
მერი გობაბე დიდაჭარის საშუალო სკო-  
ლის სასწავლო ნაწილის გამგეა, ხოლო  
თინა ბოლქვაბე — პაქსაძეების რვწლია-  
ნი სკოლის დირექტორი. ამავე სოფ-  
ლის შვილებს — ე. აბულაბეს. ნ. აბუ-  
ლაბეს და ლ. რიცვაბეს რაიონში პასუხ-  
საგები პოსტები უკავით, ხოლო რუს-  
თაველის სახელობის ბათუმის პედაგო-  
გიური ინსტიტუტის ლექტორმა ალ. ჯა-  
ულმა ახლახან დაცვა დისერტაცია ის-  
ტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხა-  
რისხის გოსაპოვებლად. ოქტომბერელმა  
სიმონ ართმელიძემ წარმატებით დამთავ-  
რა თბილისის სამხატვრო აკადემია და  
სამუშაოდ მშობლიურ მთებს დაუბრუნ-  
და. მის მიერ შექმნილმა მხარებულმა  
ტილოებმა მოწინება დაიმსახურეს ბა-  
თუმსა და თბილისში გამართულ მხა-  
რებართ გამოფენებზე. ორასამდე ოქტო-  
მბებრი სწავლობს ჩვენი ქვეყნის სხვა-  
დასხვა უმაღლესსა და სპეციალურ სას-  
წავლებლებში. ახლა ოქტომბერში ბევ-  
რია აჯახი, სადაც ორი-საში უმაღლეს-  
დამთავრებულია.

...დიდხანს ვისაუბრეთ სოფლის თავ-  
კაცებთან. სათქმელსაც და საამაყოსაც  
რა გამოულევთ მათ. კოლმეურნეობის  
თვალიდომარე ბეგლარ აბულაბე სოფლის  
უხუცეს კოლმეურნეთა, ხოლო პარტ-  
ბიუროს მდივანი როსტომ რიცვაბე კო-  
მუნიციპების შრომითს საქმიანობას გვა-  
ცნობდა, კომკავშირის კომიტეტის მდი-  
ვანი შოთა აბულაბე მარწვენას უქებდა  
ახალგაზრდებს მარგო ართმელაბეს, გუ-

გული და ეთერ პბულაძებს, ქსენია მელაძეს, რომლებმაც შარშან ყურძნის, თამბაქოსა და სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანეს და წელსაც ბეჭითობენ. 53 კომუნისტი და 70 კომკავშირელია სოფელში. ეს ის ძალა, რომელიც სოფლის ხვავსა და ბარაქეს ამრავლებს.

შრომაც იციან და გართობაც ოქტომბრელებმა. სწორედ აქ შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაში პირველი მეზონგურე ქალთა ანსამბლი. ანსამბლმა, რომელშიც ოცდაათი ოქტომბრელი ჭალა გაერთიანებული, სულ მოკლე დროში დიდი პოპულარობა მოიპოვა. იგი წარმატებით გამოვიდა თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების საოლქო დათვალიერებაზე.

თუ წინათ ჩინგურის სიმთა ულერა დაჩაგრულ ადამიანებს დარღს უმსუბუქებდა, ახლა მისი სიმების უღერაში გაისმის თავისუფალი, ბეღნიერი ადამიანის საგალობელი...

სტკორცნის კარათის მთებს, ზღაპრულ სილმაზით შემცულ ხეობაში შეწყდება მგალობელთა ძილისპირული ელურტული. კოლმეურნეთა ოდა-სახლებში აჩახახდება „ილიჩს ნათურა“. სოფლის კლუბში იმართება კონცერტი. „განდაგანს“ „ხორუმი“ ცვლის, „მთიულურს“ — „ყაზბეგური“. ისმის სიმღერები პარტიაზე, სამშობლოზე, განახლებულ და აღორძინებულ ცხოვრებაზე, მათ ბანს აძლევს ტყით დაბურული მთები, ნიავით დარწეული ყანები, ვაზა შვილივით ნაზარდი...


მღერის სოფელი ოქტომბერი.

მღერიან მისი ადამიანები და აქვთ საგალობელიც.

ამიტომაც უხარია გულს.

შენ ოქტომბერმა დაგბადა და მისი სახელიც ოქროს გვირვეინად თავს გადგას.

დიდება შენ, აყვავებულო სოფელო, ჩემო ოქტომბერო!





წინა მხარეს ხის კიბე ასდევდა და იყვანი გზის გამდონებულებდა.

— აი აქ მუშაობს მიხეილი, — თქვა შუანის მამაკაცმა და მოსაუბრე ორსართულიანი შენობისაკენ გაახედა, — მახსნელთის სოფლსაბჭოს თავმჯდომარება.

უცნობი მამაკაცების საუბარმა დამაინტერესა. მართალი გითხრათ, აქ ჩამოსვლას არ გაძირებდი, მაგრამ როგორც კი ავტობუსი დაიძრა, ფეხზე წამოვტკი და მძღოლს ვთხოვ ავტობუსი გაეჩერებინა. როცა ფეხი მიწაზე დავდგი, მხოლოდ მაშინ გავითიქრე: ვან იცის, რამდენი ხელმძღვანელი მუშავია, ხალხს რომ უყვარს; იქნებ შევცდი, არ უნდა ჩამოგვსულიყავი-მეთქი. მაგრამ რაჯი ჩამოვედი, უკან დასახევი გზა აღარ იყო.

იგი თავის კაბინეტში იჯდა. საწერი მაგიდის ერთ კუთხეში მხოლოდ საფურულე და ტელეფონი იდგა. კარების მარცხნივ—დივანი, რომელსაც საწერ მაგადასა და დივანს შორის გასასვლელი ჩაეკრიტა. მაგიდაზე მიღდგული იყო წითელსაფრიანი პატარა მაგიდა. კედელზე ვ. ი. ლენინის სურათი ეკიდა. ერთი შეხედვით მისი მაგიდა გამსვლელი კორესპონდენტის მაგიდას უფრო ჰყავდა, ვიდრე ხელმძღვანელი მუშავისას. იქნებ, სწორედ აქ იწყება ის დიდი სიყვარული, რომელიც მას ხალხში მოუპოვებია, იქნებ, მინდვრიდან მოსული კოლმეურნე მის კაბინეტში თავს ისე გრძნობს, როგორც საუთარ სახლში...

უყურებ ამ ადამიანს და უნებლიერ ფიქრობ, შეიძლება თუ არა იგი არ უყვარდეს ხალხს?... უყურებ მას და თანაც არ გინდ შეგნონს, რომ ცნობასმოყვარეობით უცქერო. უპირველესად ასეთ ადამიანზე იტყვიან, ჩვეულებრივი ადამიანიაო. ლაბარაკობს დაბალი, თბილი ხსით, თანაც ამ ხმას რაღაც ისეთი მიმზიდველი იაღა ახლავს, გაიძულებს დაემორჩილო. თვალები სანდომიანი აქვს, ტანად საშუალოზე ოდნავ მაღალია, მოსული.

მე პატარა მაგიდასთან დავკერი. რამდენიმე წუთს უხერხულობას ვერძნობდი, თუმცა მისამებისთანავე ისეთი

შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოც შემოუხულებელი ხანია ვიცნობ. ბოლოს, როცა გაიგო ჩემი მისვლის მიზეზი, ლოჟებზე ფერი მოვდო და თქვა:

— რა უნდა დაწეროთ ჩემზე?

ჩვეულებრივ, ასეთ დროს თვალი უბრწყინდებათ, სიხარულისაგან დაბნეულობა ეტყობათ ხოლმე და ცდილობენ, სათქმელი არ გამოჩეოთ. და აი უცებ მოულოდნელი პასუხი. სხვა გზა არაა, სკო კითხვები....

— რომელი წლიდან მუშაობთ მახსნეცეთის სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ?

— 1943 წლიდან.

— მანამდე სად მუშაობდით?

— 1937 წელს ზუნდაგს ორგონიკიძის სახელმძღვანელოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ამირჩიეს. კოლმეურნეობა ერთი წლის ჩამოყალიბებული იყო.

— თქვენ ამ სოფლიდან ხართ?

— დაახ!

„აძლიან კარგი, იქნებ რამე ვამოვიდეს“, გავითიქრე მე და ვუთხარი:

— მომიყევით თქვენი მუშაობის შესხებ, აი აუგინდ, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აგირჩიეს. პირველ ხანებში მუშაობა იოლი არ იქნებოდა, კოლექტივის ჩამოყალიბებას თავისი სინელევები გააჩნდა.

იგი წამით დაფიქრდა. ვერ ვიტყვი, რას ნიშნავდა მისი დაფიქრება, რადგან სახეზე ისევ ის ჩვეულებრივი გამომეტყველება ჰქონდა.

— თავდაპირველად სამოცდაათი კომლიდან კოლექტივში ოცი კომლი გაერთიანდა. შემდეგ, როცა დაინახეს, კოლექტიურმა ცხოვრებამ გლეხს პირვები გაუუმჯობესა, თანდათან ერთანდებოდნენ. შენდებოდა სოფელი ისე, როგორც მთელი ჩენი ქვეყანა.

— რა გქონდათ და რა გააკეთეთ?

მას ჩაერიმა:

— ჩვენ არაფერი არ ვკონდა!

ეს ისე მითხრა, ეძა დამება. მეკითხა, ახლა რა აქვთ სოფელში?... მიბასუსებდა: ავტოშენეთ სკოლა, მაღაზია, საპარიკმახერო, ბისელი, თამბაქოს საშრობი, გავიყვანეთ გზები; კოლმეურნეებმა ჭარვვალი-



ოდა-სახლებით შეცვალეს. სოფელი ელეგტროფაციირებულია, ყოველ ოჯაში რადიო დგას. და ვინ იცის, კიდევ რამდენ რამდეს იტყოდა. ეს ხომ კველაფერი ან-ბანური ჰქეშმარიტებაა. მის გასავებად აქ არ მოესულვარ. რამდენიმე წამს დუ-მილი ჩამოვარდა. ეტყობოდა, სიჩუმე ეუხერხულა, მაგიდის უჯრიდან თუთუნი ამოილო და შეხვია.

კარა ფრთხილად გაიღო და ახალგაზ-რდა კაცმა შემოიხედა; იყითხა, თუ შეი-ძლებათ. როცა თანხმობა მიიღო, მორი-დებით შემოვიდა და, რაყე მიხეილი მარ-ტო არ იყო, ჩემს პირდაპირ დაჯდა და დაელოდა, როდის კითხვალნენ მოსელის მიზეზს.

მე მიხეილს მიეუბრუნდი:

— პატივცემული მიხეილ, მართალი გითხრათ, არ ვაპირებდი თქვენს შეწუ-ხებას, მაგრამ გზაში ყური მოვკარი მგზავრების საუბარს, მგონი ერთი მათ-განი ამ რაიონიდან იყო. — და ვუთხა-რი ავტობუსში მოსმენილი.

— ლიან, დიან, სწორი უთქვამს. — წა-მოიძახ ახალგაზრდა კაცმა.

— კი, მაგრამ როგორ მოპოვა მან ეს პატივისცემა? — ვკითხე ახლა მას.

— კარგი ადამიანობით!

— ეს გასუაგებია, მაგრამ რით გამოი-სატება მისი კარგი ადამიანობა?

— გეტყვით! — თვალი გაუბრწყინდა მას და სახეზე ყმწვილური სიმკარიცხ-ლე გამოეხატა. მღლელვარებისაგან სიტ-ყვას ოდნავ ახშობდა. იმეორებდა და ცდილობდა, ნათქვავა დამაჯერებელი ყოფილიყო. — მახონცელის სოფლსაბ-ჭო ექვს კოლმეურნებას აერთიანებს, რომლებშიც ცამეტი სოფელი შედის. გზე-ბის გაყვანა, შეწენებლობა მიხეილის ინ-ციატივით განხორციელდა. ბევრმა კოლ-მეურნემ ოდა-სახლი აიმენა, ბევრი ახლა იშენებს. მათ შორის ბევრს სოფლსაბჭო დაეხმარა როგორც სასწრებით, ისე მუ-შხელით. გვყავს უმაღლეს დამთავრებუ-ლები. სოფლსაბჭოს ინციატივით ჩევნი თანამემამულე ნოდარ ჩხაიძე თბილის სამედიცინო ინსტიტუტში გაიგზავნა. დღეს იგი რაიონის მთავარი ექიმია. ასე-

თი მაგალითის დასახელება ფილიფი

შეიძლება.

— თქვენ სად მუშაობთ? — გავაწყვე-

ტინგ სიტყვა მე.

— სოფელ ბზუბზუს კოლმეურნეობის

თავმჯდომარე ვარ.

გავკვრებით შევხედე, სრულიად ახალ-გაზრდა კაცი სოფლის თავაცად აურ-ჩევიათ. მიხეილი ღელავდა, მგონი, ქე-ბა მაინცლამაინც არ ახარებდა, აღმათ, სხვაგარად არ გაიგონო.

მე თავმჯდომარეს ვკითხე:

— თქვენი გვარი?

— თამაზ ლოლობერიძე, — მორიდე-ბით მითხრა მან.

— თამაზ, თქვენ ჩემს კითხვას პირ-დაპირ არ უჟავუხეთ.

მაგრამ მას ჩემი კითხვისათვის ყურად-ლება არ მიუქცევია, ასე მეგონი, ჭოროხი ბობოქრობდა მასში. რამდენიმეჯერ ხე-ლიც მოიშველია, რომ დაედასტურებინა, რა გაეკეთებულა სოფელში, რა პერსპექ-ტივები აქვთ დასახული. ბოლოს ისიც კი ოქვა, მიხეილმა დიდი დახმარება გა-მიწია, მისგან დიდად ვარ დავალებუ-ლიო.

— თქვენ პირადი ინტერესები გალა-ბარაკებთ, თუ?... — ვკითხე მე.

— არა, ეს არც კი მიფიქრია! — წამო-იძახ მან. — არა, იგი ხალხს თავის იმე-დად მიაჩინა, კველა სადაო საკითხი, პი-რადულია ეს თუ საზოგადო, მიხეილს დადებითად გადაუჭრია. ამის მაგალითი უძრავია.

— თქვით ერთი რომელიმე.

— ი, მაგალითად, სოფელში გზა გაჰ-ყავდათ. გზა კოლმეურნის ფართობ-ში გადიოდა. შეიქნა დავა. კოლმეურნე მიწის ნაკვეთს არ თბილდა. ამ აბბავშა მიხეილის ყურადღე მიაღწია, კოლმეურ-ნეს ესაუბრა და საქმეც მოგვარდა. განა მარტო ეს?... მას ბევრი ოჯახი დანგრე-ვას გადაურჩენია.

— უფრო კონკრეტულად ვერ იტყვით?

თამაზს სიტყვა გაუწყდა. შევატყვე, პირდაპირ უარს მოერიდა, მორიდებით ჩაიღიმა და გაჩუმდა. არ უნდოდა რომე-ლიმე მათგანი დაესახელებინა, განვლალ



ჭირს შეხებოდა. ეს ჩემთვისაც გასაგები იყო და აღარ დამიძალებდა.

მიხეილს უკავუფილება ეტყობოდა, ალბათ, მასზე ასე ბევრი რამ რომ ითქვა:

— თქვენ რას იტყვით, პატივცემულო მიხეილ? — ვკითხე მე.

მან მხრები აიჩენა:

— მე რა უნდა ვთქვა? კითხე სხვებს! ხალხის აზრი უფრო ჰეშმარიტია.

იმავე დღეს სოფილ ბზუბზუში გაშემ-ვზაგრე. მზე გადახრილი იყო. აჭარის-წყალი ვერცხლისფერ სხივებს ისვროდა გვიარდარგოლ პატრში. ორორც კი ნიღ-ზე გავედი და აღმართს შევკეთი, ორლო-ბები დაიწყო. გზაში ბარვების მეტი არავინ შემხვედრია. ჩანს, სხვები საკოლ-მეურნეო ფართობში იყვნენ. ეზოებიდან მსხლისა და ბალის ნარგავებს გადმოეყო ტოტები. ოლაგ-ალაგ კაკლის ხეებიც იდ-გა. კარგა გამართულ ღრძებებსა და კიშ-კრებს გამრჯვ კაცის ხელი ეტყობოდა. ჭიშკრილან ოდა-სახლამდე ხასხასა მო-ლი გასლევდა. ზოგან ორლობესთან მგზა-ვრის ჩამოსახენებლად გრძელი სკამი გაეკეთებინათ.

კოლმეურნეობის კანტორის წინ სუ-ლეიმან ბოლქვაძეს შევხდი, ოთხმოცდა-ჟუთი წლის მოხუცს. დარბასისლურად მომეტელმა და გრძელ სკამზე ჩამოვკე-ქით: მოხუცმა ხელი ჭოხზე ჩამოაყრდნო და მრგვალი სათვალიდან დაკვირვებით შემომხედა.

— ბატონო სულეიმან, — მივმართე მე, — მიხეილ ვარშანიძეს იცნობთ?

კოხვა ძალზე უბრალო გამომიყენდა და მოხუცმა გაკვირვებით შეითხა:

— ჩვენ მიტუშას?

— დია!

— როგორ არა, მას ვინ არ იცნობს!

წამით შევაყვანე და ვუთხარი:

— როგორც აქ მითხრეს, ხალხს იგი ძალიან უყვარს. ვერ მეტყვით, როგორ მოიპოვა მან ეს სიყვარული?

— როგორ და, კაი კაცობით! სიტყვა იცის და პასუხი. პირიდან თაფლი მოი-დის. ჩემო ბატონო, გლეხს ათი კილო ჭიდინდი რომ ერგება, ნუ მოუწონი, რვა

კილო ჩაუყარე გოდორში და გაატანება მადლობელი იქნება.

მგონი, კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ახალგაზრდა ქალმა ღრმა თევზ-შით თუთა მოატანა, მოიბოლიშა და თა-ნაც მთხოვა, აქვე ვცხოვრობ, თუ წამობ-რიანდებით. ძალიან გაგახარებთო. მო-ხუცმაც დააწია სიტყვა, მაგრამ სტუმ-რიბის ღრმა აღარ იყო. შემდეგ ქალმა დოქით წყაროს წყალიც მოგვიტანა და, როცა წაუიღა, სულეიმანმა მასპინძლის თავაზიანობით ერთი-ორი თუთა აიღო და მთხოვა დავწევოდი.

— ბატონო სულეიმან, — მივმართე ისევ. — გვითხარით კიდევ რამე.

— აა, რა გითხა, კარგი კაცია, — ჩაილაპარაკა მან.

თუმცა ვიცოდი, მიხეილს მეზობლები ბევრჯერ მოურიგებდა, არაერთი ოჯახი დანგრევას გადაურჩენია, მაინც ვკითხე, იქნებ უფრო ხელშესხებად ეთქვა რამე, მაგრამ არგორც ახალგაზრდა სიფლის თავკაცმა, მანაც თავი შეიკავა. მესიამოვ-ნა, რომ ერთმანეთის ღირსებას ასე უფ-რთხოელდებოდნენ. შემდეგ დიდხანს ვი-საუბრეთ, სულეიმანმა გაიხსნა თავისი ახალგაზრდობა. თურმე ცხრასიან წლე-ბში იგი ბათუმში მუშაობდა ერთ-ერთ დუქანში. არაერთხელ დაწრებით არა-ლეგალურ კრებებს ურებში. საკუთარი თვალით უნახავს კობა და მოუსმენა მი-სთვის. მერე ციმბირშიც გადაუსახლე-ბიათ. მოხუცი ისეთი ინტერესით ჰყვე-ბოდა, არც კი გამიგია ღრრის გასვლა.

სულეიმანს გამოვეთხოვე და გადავწ-ყვიტე, ამელამეუ მიხეილის სოფელს ზუნდაგას ვწევოდი.

მძღოლი ენაწყლიანი გამოლგა. სოფელ-ში ასკლამდე ავტომანქანა მხოლოდ ერ-თხელ გააჩერა: გზისპირას პირებელი ბი-კი შენიშნა, თავი ფარგარაში გაჰყო და დატუქსა. მერე ქუჩაში მოძრაობის წესე-ბი უახსნა და დაემუქრა, მამაშენს ვეტ-ყვით. თურმე ყმაწყილმა ხიტას კინაღამ გადაჰყარა. ველოსიპედის მართვა არ სცოდნია და, მას რომ არ ემარჯვა, ავტო-მანქანას ბორბლებში შეეგარებოდა.

ზუნდაგაში რომ ავედით, ბინდდებოდა.

მდოლმა ფერდობზე წამომდგარ ოდა-სახლზე მიმითთა, ამაღმ იქ გაათიეთო. მართლაც, ამ ღამით შორს სად უნდა წავსულიავი. ორლობის პირს შევყვვი. უცხო კაცის გამოჩენას სოფელში ცონ-ბისმოყვარეობით ხვდებინ ხოლმე და ამ ცონბისმოყვარეობას უპირველესად ბავშვები ამეღავნებენ, — მაშინვე აქეთ-იქიდან ორი ბიჭი ამომიდგა. ეზოში უკანა მხრიდან ჩავდიდ. ბავშვებმა კიბე აირინეს, რომ მასპინძლისათვის სტუმ-რის მოსვლა შეეტყობინებინათ.

ოდა-სახლი გამონათხარ ფლატის ძი-რას იდგა, სახლის წინა მხარე ეზოში გა-დიოდა და მიწიდან ორიოდე საფეხურზე იყო. უკანა მხარე ორ სართულს წარმოა-დგენდა და ქვემოთ სათავსო ჰქონდა. გზის გასწვრივ გამონათხარი ქვის ყო-რით იყო ამოყვანილი და აკაცის მე-სერს უკავილები გასდევდა. ყორის ძი-რას გრძელი სკამი იდგა. აქეთ თუთის ხის ქვეშ მთიდან გამოყვანილი წყარო იყო. წყაროს წყალი ოდა-სახლშიც ჰქონდათ შეყვანილი.

გარეთ შუახანს გადაცილებულმა ჩია-ტანის ქალმა გამოხედა. თაღი კაბა ეც-ვა. შუბლი დოლბანდით ჰქონდა წარუ-ლი. ხელი მორიდებით გამოშინდა და სახლში შემიპატიეთ. მეუღლე ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო ტყიდან. როგორც შემდევ გავიგე, პირუტყვი გაბნეოდათ ტყეში და საძებნელად წასულიყო. მათ-თან თორმეტიოდე წლის ქალაქელი ბიჭი ისვენებდა. დიასახლისის ერთი ვაკი სამ-ხელო-სავალდებულო სამსახურს იხდი-და, მეორე ბათუმის პედაგოგიურ ინსტი-ტუტში სწავლობდა. დიასახლისი შეწუ-და, რომ ოჯახის უფროსი შინ არ იყო. ქათმის დაკვლა დააბირა, უსადილო იქნე-ბითო; არ დავახებე. ვაშმად ჩია და ბა-ქლავა გამოიტანა.

ოდა-სახლი წამლისა იყო, მცერივად შეკრული. ოთახში გრძელი მაგიდა იდ-გა და ზედ ცისფეროთლება სუფრა ეფინა. ოთახში თანმმდევრობით ელაგა რბილი საწოლი, ტახტი და პატარა კომ-დი. ტახტზე ხალჩა იყო გადაფარებუ-ლი, ხალიჩა კედელზეც ეკიდა. ფარდები

და აბაჟური ხელით ნაქარგი იყო ეტყო-ბიდა, ასეთი ოთახი კიდევ რამდენიმე ჰქონდათ.

სტუმარმა არ მოიწყინოს, დიასახლი-სმა სოფლის ამბავი მომითხორო.

— ქალბატონო მერიებ, — ვუთხარი შემდეგ მე, — აუცილებელ საქმეზე ვარ-ამოსული, ზოგი რამ თქვენც უნდა ვი-თხრათ.

— ბრძანეთ! — თქვა მან და სმენალ იქცა.

— თქვენი სოფლსაბჭოს თავშედომა-რეზე საჩივარია, — ვიცირუე მე, — მოხ-სნას უბირებები.

— ვის?... მიტუშას?! — შესძახა ღია-სახლისმა, — მაგ კაცზე ვის უნდა და-წერა საჩივარი, ოქრო ადამიანია.

— რა ვიცი?! — მხრები ავიწურე მე.

— არა, ჩემო ბატონო, ეგ კაცი მოსახ-სნელი არაა, — სახეზე წუხილი დაეტყო-ადგა, გასაჩერებელი ადგილი ვერ ნახა, თანაც ჩემი ერიდებოდა, — მაგის უკე-თესი ვინ გვყავს?! — დასძინა გან.

— კი, მაგრამ რა გააკეთა ასეთი?

— ის მითხარი, რა გააკეთა ცუდი?!

შემდგომ ჩემს კითხებს შედეგი არ მოპყოლია, გაჩერება ვაჭრობინა. ეგრძინ-ბდი, დიასახლისი უკაყოფილ იყო ჩე-მით. მე კი იმას ვფიქრობდი, არ უნდა ამოვსულიყავი-მეთქი აქ. ვისაც არ უნდა ჰქონოთ, უკელა ერთსა და იმავეს აშენბძს, კარგი ადამიანია. მაგრამ დიასახლისს წარბი არ შეუკრავს. სტუმარმა ბიჭმა გვერდით თახში რადიოლა ჩართო, კარ-გა ხანს უკრავდა საქორწილო სიმო-რებს. მერა, ნავამშევს დიასახლაში მე-ორე თახში საწოლი გაშალა. თახი პატარა იყო. როგორც ჩანს, სტუმარის მოსახვენებლად ჰქონდათ. ორი საწოლი ფანგრის მხარეზე იდგა, კედელზე სარკე-ეკიდა, მაგიდა და რამდენიმე სკამი შუა თახში ელაგა. აქაც ფარდები და აბა-ჟური ხელით ნაქარგი იყო. ყოველი ნივ-თი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევ-და. იქნება, იმიტომ, რომ თითოეული მა-თვენი ოჯახის წარსულის უბედურებაზე გამარჯვება იყო, დღევანდელი დღის იერ-სახე. რა იყო და რას მიაღწია გლეხმან



დილით აღრე ავდექი და ტუში  
ბილექს შევყევი. არე-მარე გატრუნუ-  
ლი იყო. ჩამოვჭერი წიფლის ძირს და  
სოფლის სურათით ვერთობოდი. თუმცა  
მთხები ისე გადარეალულიყვნენ, რომ  
ცის დასალერი ხელმიაწვდომზე გეგო-  
ნებოდა. გაღმა ფერდობი ერთგან გა-  
კაფათ და სიმინდი დაეთესათ, უზრო  
ქვემოთ თამბაქოს პლანტაცია მოჩანდა.  
მერე შევნიშნე, აქამიქ წიფლის ხეზე სკა  
იყო. საოცარია, ამ სიმაღლეზე როგორ  
აიტანეს როგო, ან როგორ ხილავენ იქ  
თაფლს... მზემ შემპარავად გაღმოხედა  
სოფელს, თანდათან მოისმა ხმაური, მე-  
რე პირტყვის ფეხის ხმა გავიგონე და  
იქვე, იელის ბუჩქებში მოხუცის თავი  
გამოჩნდა. წალდს ხელჯონით ხმარობ-  
და. უცნობის დანახევისას შეჩერდა, მო-  
მებარემა და გამომელაპარაკა. მერე პი-  
რტყვი ტყეში შეუშვა და ქვას ჩამოეყ-  
რდნო.

იუსუფ ქობულაძე ოთხმოცდათ წელს  
მიღწეული კაცია, კარგი მოსაცბრე გა-  
მოდგა. სამი წელი მუჟავირად ყოფილა.  
ხელი პირდაპირ მოებისაკენ გაიშვირა და  
თქვა, მშევრ-მწყურვალი ეს მთები ფე-  
ხით ვადამიელიაო. მაგრამ უცხოეთში  
ცხოვრება ვამორებებია და ისევ თვისის  
მიწას დაბრუნებია. ბევრი რამ უნახავს  
ამვეყნად და უველავერზე თავისი შე-  
ხელულება აქვს. ცოტა ახალგაზრდებზეა  
უკმაყოფილო, შწავლას მოეკიდნენ და  
სოფელში გული არ უჩერდებათო. მე-  
რე სიტყვა კეთილ აღამიანებზე ჩამოა-  
დო.

— თქვენს სოფელში ბევრი კარგი ადა-  
მიანია? — ვუთხარი შეპარვით მე.

მოხუცმა მომხედა.

— არიან კეთილიცა და ბოროტიც, ასე  
უოფილა თვიდან და ასე იქნება მუდა!..  
ავი ავი ავი სიტყვითა ცხოვრობს!

ეტყობა, ვიღაცაზე გულნატკენი იყო,  
ვისხე ეს კი არ თქვა. ცოტა ხნის შემ-  
დევ სიტყვა ისევ კეთილ აღამიანებზე

ჩამოაგდო და ვუთხარი: ერთობლივ  
— თქვენი ხელმძღვანელი კარგი კაცია?

— ვინ?  
— სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, მიხე-  
ილი.

— მიტრება?.. — მშვიდად თქვა მან,  
— კარგი აღამიანია.  
— ავბობენ, ნიჭიერი ხელმძღვანელი-  
ცააო.

იუსუფმა ისევ ამომხედა.  
— ხელმძღვანელისათვის მარტი თავი  
არ კმარა, დიდი მუცელიცა საჭირო.  
გამეცინა.

— ვერ გავიგე, მუცელი აქ რა შუა-  
შია?

— იცი რა, გიძია? ხელმძღვანელს დი-  
დი მუცელი თუ არ აქეს, კაპიერა მისი  
ფასი... ზოგჯერ გლეხი აღელვებული შე-  
მოვა, უხააგს გეტყვის. ხელმძღვანელი  
ხომ ხარ, უნდა მოუსმინო. მარტი თავი  
არ კმარა, — გამეორა მან და ხელი  
მუცელზე დაიღო. — მუცელიცა საჭი-  
რო; ზოგი რამ უნდა გადაყლაპო. მიხე-  
ილს თავთან ერთად მუცელიცა აქეს და  
ხალს იმიტომ უყვარს.

მოხუც გაწორდა და წალდს დაეყრ-  
დნო. თვალი გამარჯვებულის იერათ  
უციმციმებდა. ალბათ, შემატყო, პასუ-  
ხით კმაყოფილი ვიყავი. ხელი ერთმანეთს  
მაგრად ჩამოვართვით და ჩქარი ნაბიჯით  
ბილიკს დავყევი. უკან არ მომიხედაეს,  
რაღან ვიცოდი, მოხუცი მიუსრებდა  
თვისი ჭკვიანი, ლრმააზრიანი თვალებით.

მაშინვე მახუნცეთში დავბრუნდი. მი-  
ხეილი ალარ მინახავს. არც ვინზესთვის  
მიკითხავს რამე. უკან მოვიტოვე მთები  
და ვფიქრობდა კეთილ აღამიანებზე,  
მათ შრომაზე, მათ სიხარულზე. ვფიქ-  
რობდი იმ აღამიანზე, რომელიც მათ  
ასე უყვართ. რა თქმა უნდა, მეტი მინ-  
დოდა მცოდნობა მასზე, მაგრამ ძნელია  
თქვა, რატომ გიყვარს იგი. ხალსის აზრი  
ჭეშმარიტია, თქვა თვით მიხეილმა და  
დე მუდამ აკე ყოფილიყოს — მათი სი-  
ყვარული ჭეშმარიტი.



# კრისტიან ჭავჭავაძის პატიოცისახის

ავტორი ნაზალიშვილი

## სოციალისტური გარემონდის ასახვა აჭარის ღიზეგამიშვილი

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, საქართველოში საბჭოთა ხელის-უფლების დამყარებამ გრანდიოზული ძვრები მოახდინა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. კლასობრივი შუღლისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობამ, შრომის გართვებისუფლებამ კაპიტალის ხუნდებისაგან ნათელი პერსპექტივები გადაუშალა მშრომელებს, რომლებიც არახული ენთუზიაზმით აშენებდნენ ახალ საზოგადოებრივ წყობოლებას — სოციალიზმს. მისი შედეგად უმოკლეს ისტორიულ ვადაში წინათ ჩამორჩნილი აგრარული ქვეყნიდან საქართველო მძლავრ ინდუსტრიულ - საკოლმეურნეო ქვეყნად გადიაქცა. აშენდა ანალი ფაბრიკა-ქარხნები, ამოშრობილ იქნა ჭარბები, იყვავდა საკოლმეურნეო ველმინდორი.

ხალხის გმირულ ლაშქრობაში სოციალიზმის ასაშენებლად გატაცებით ჩაეძნენ საბჭოთა მწერლებიც. გ. ტაბიძის, ღ. ქაჩიშვილის, კ. ლორთქიფანიძის, კ. გამსახურდიას, ალ. მირცხულავას და სხვათა

შემოქმედებაში წარსულისა და აშშმოს შებირისპირებით მეაფიოდ აისახა ის დაადი გარდაქმნები, რომლებიც ჩვენში ხორციელდებოდა პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამის შესაბამისად. ამ საქმეში თავისი წელილი შეიტანეს აქარაში მომუშავე მწერლებმაც, უმთავრესად პროზაიკოსებმა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პ. ლორია, ა. შერვაშიძე, კ. რუსიძე, ფ. ხალვაში, ალ. ჩხიაძე, მ. გორგილაძე, ჯ. ჭავჭავაძე, ალ. სამსონია და სხვ.

ცნობილია, რომ პარმენ ლორიამ მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება ძირითადად აქარას, მის ისტორიულ წირსულსა და აშშმოს დაუკავშირა. ძნელია დაასახელო მწერალი, რომელსაც ისე ორგანულად განეცალოს საქართველოს ამ უმშენეოერესი კუთხის ცხოვრების სურათები, როგორც ეს პ. ლორიამ შეძლო. რაზიც არ უნდა წერდეს იგი, რევოლუციამდელ თუ რევოლუციის შემდგომდროინდელ ყოფაზე, ეს დიდად პოპულარული ბელეტრისტი ყოველთვის

წარმოგვიდგება როგორც საბჭოთა სინამდევილის ტრუბადური, ახალი ცხოვრების მომღერალი, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლი მწერალი. მისი უკლებლივ ყველა რომანი თანამედროვეობს სულითაა გაუღენთილი, მარტინს ტული იდეგბითაა გამსჭვალული.

სოცალისტური გარდაქმნების დიადი სურათები პ. ლორიამ გაშაუთრებით თვალსაჩინოდ დახატა რომანებში „ჩაი“, „განთიადი ხევში“, „შვილები“ და სხვ.

რომანი „განთიადი ხევში“, რომელიც პირველად 1939 წელს „დელი მურადის“ სახელწოდებით დაიძექდა, მოიცავს აქარაში, კერძოდ, შორეულ სოფელ წყავნარაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებს. მასში ცხოვრების გარეთ ცოდნითა და დიდი უშუალობით არის ასახული ის შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც წარმოებდა ძველსა და ახალს შორის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის.

ბუნებრივია, რომ რომანის დასაწყისში მკითხველი ხელება ძველი ზნე-ჩვეულებების ტყვეობაში მყოფ ადამიანებს, რომელთა შევნებაში ჭერ კიდევ არ შევრილა ახალი, კომუნისტური იდეები. ამ მხრივ ფრიდ სანქტერესოა მურად ოლილის საუბარი პარტიის მცენ სოფელში სპეციალური დავალებით გაგზავნილ ანდრო ბერტაძეთან, რომელსაც მიუვალი ბილიკებით უხდება სოფელში მგზავრობა. უგზონულით შეწუხებული ანდრო ბერტაძე შემთხვევით დამგზავრებულ მურადს ეკითხება: „ნუთუ ამაზე უკეთესი გზა არ გვირდებათ? როგორ უნდა იცხოვროთ ას!“, მურადი კი უბასუხებს: „რა ხეირი მოაქვს გზას? კარგი გზით მთავრობა უფრო ხშირად ივლის. მთავრობას კი კარგი არაფერი მოაქვს ხალხისათვის“. როგორც ეს საუბარი ცხადყოფს, მურადი ვერ ერკვევა ახალ ვითარებაში და, როცა ანდრო ბერტაძე ეუბნება, შენს სოფელში ხალხის დასახმარებლად მოვდივარო, ხარხარით მიმართავს მას: „ვის უნდა დაეხმარო ჩვენში? ხეების მოჭრა შეგიძლია, თუ მორების დაცურება?!“.

აქედან ჩანს, თუ რამდენად მძიმე მიუწვდომელი უნდა იყოს ანდრო ბერტაძეს წყავნილაში. მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, სოფელი მაინც საბრძლითა მოცული, ხალხი კვლავ დარიბად ცხოვრობს, ისევ-ისე ძველებურად თარეში ბერტაძეს საზოგადოების ნაძირალები, უსაქმურები, გადაგვარუბული ადამიანები. ამ ფონზე ეცნობა მკითხველი თემსაბჭოს თავმჯდომარე ღურსუნ შვინდაძეს, რომელიც თუმცა კომუნისტის სახელს ატარებს, ნამდვილად ხალხის მოღალატეა, უსუფ-ალას, ხოგა მამულს და დრომოჭმული ადათ-ჩვეულებით დამძიმებულ გლეხობას, რომელთავან თითქმის არავინ იცოდა წერა-კითხვა. სოფელს არ მოსდიოდა გაშეითი, უურნალი და წიგნი, არ ჰქონდა გზა.

ი ასეთ მივარდნილ სოფელში მიავლინა პარტიამ კომუნისტი ანდრო ბერტაძე, რათა დახმარებოდა მშრომელებს ახლებურად მოწყოთ ცხოვრება. და მან პირნათლად შეასრულა მძიმე დავალება, გამოიჩინა არა მარტო მტკიცე ნებისყოფა და უშიშრარობა მტერთან ბრძოლაში, არამედ დიდი ორგანიზატორული უნარი და მასების ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნაც. იგი არ ცდილობდა ხელის ერთი დაკვრით შეცვალა უცველაფერი, ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად იბრძოდა უმეცრების წინააღმდეგ. წწორედ ამ გზით შექლონ ანდრო ბერტაძემ ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის სურვილით განემსჭვალი სოფლის ახალგაზრდობა. წყავნიარები თანდათან მომრავლდნენ ახლის, პროგრესულის დამკიდრებისათვის თავდადებული მებრძოლნი. ამიტომ ბუნებრივია, რომ ანდრო ბერტაძე გულწრფელად შეიყვარა სოფელში და, როცა მაგნე ელემენტებმა გაავრცელეს ხმა, ბერტაძე ქალაქში დაუპატიმრებით, მოხუცი ასმან ვერულიდე გადაჭრით აცხადებს: „წავალ, ფეხით წავალ ბათუმში და მთავრობაში წარვდგები, თუნდაც დამხვრიტონ, მაინც ვიტყვი, რომ ბერტაძე პატიოსანი და კეთილი კაცია, რომ მან ჩვენს სოფელში ბედნიერება და იმედი შემოიტანა“. ასმანმა მართლაც აიყოლია მოცული ალი მშვი-



დობაძე, რამდენიმე ახალგაზრდა და გაე-შურა ბათუმისაკენ, მაგრამ მათ გზაზე შემოეჭარათ ანდრო ბერტაძე და გამარჯვებული დაბრუნდნენ სოფელში. თუ კი რომანის დასაწყისში ბერტაძეს თითქმის მთელი სოფელი ებრძოდა, ბოლოს წყავნარელები სიხარულითა და ენთუზიაზმით ხდიდებიან მას და ერთად იღწიან ახალი სოფლის მშენებლობისა და აყვავებისა-თვის.

სოციალისტური გარდაქმნებისა და სოციალისტური მშენებლობის ფართო სურათი არის მოცემული რომანში „ჩია“, რომელიც 1937-1938 წლებში დაბეჭდა. მასში საინტერესოდ და მიმზიდველადაა ასახული საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბება და აქარის მშრომელთა ბრძოლა „მწვანე ოქროს“ უხვი მოსავლისათვის. მაგრამ ამგერად ჩვენ გვაინტერესებს მეორე მხარე — როგორ იცვალა სახე ბელმა სოფელმა, როგორ ახალლდა ადამიანთა შეგნება და როგორ ჩაენდნენ ისინი სოციალისტური მშენებლობის ფერ-ხულში.

3. ლორია ტრაგიული ამბებით იწყებს რომანს. მკითხველის წინაშეა აქარის მაღალმთიანი სოფლის გოგონა ქევსერ ბარატე, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა გადაწყვეტა გამხდარიყო კომკავშირელი და ესწავლა წერა-კითხვა. სამწუხაოდ, ქევსერის მამა ჯერ კიდევ ძველი ადამიერების ტყვეობაში იყო და ვერ წარმოედგინა ქალის სწავლა, მამაკაცებთან ერთად კრებებზე სიარული, რამაც მარ საკუთარი ქალიშვილის მოსაკლავად დანა ააღდინა. კომკავშირული უზრულის მდივნის ღურუსუნ ნაგერგაძის დახმარებით, ქევსერი სოფლიდან გაიპარა და გაუჩინარდა. ასპარეზზე გამოვიდნენ წყეული წარსულის შეგნებით გამსჭვალული ადამიანები: მათ ადამ-წესების დალატი, უჩალროდ სიარული გამოსუსტორებელ დანაშაულად მიიჩნიეს და მამა თავის პირმშობს ძებნაზე ხელი ააღდინეს.

ბურუსით იყო მოცული ქევსერის ასავალ-დასავალი თორმეტი წლის განმავლობაში. ამ წნის მანძილზე კი ბევრი ცვლილება მოხდა აქარაში, გარდაქმნა

ცხოვრება, ქევსერის მამა კოლმეურნებლივ გახდა, მისმა უფროსმა ქალიშვილმა სა-შუალო სკოლა დამთავრა, ვაჟი უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა. ბელი-ერად გრძნობდა თავს თვით მოედინი მეულლითურო, მაგრამ მათ ცხოვრებას თან დღევადა ჩრდილი, ყრუ ტკივილი, გამწვაული ქალიშვილის გადაქარგვით, მაგრამ ქევსერი გზას არ ასცდენია. იგი მარტოდმარტო მივიდა ჩაქვის მეურნეობაში, ერთ მოხუც ქალს შეეკედლა, სახელი გამოიცვალა, ფერიდე ძირკვაძე დაირჩვა და ჩაის მკრეფავად დაიწყო მუშაობა.

მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო ე. წ. შემოვლით გზით დაწახვებინა მკითხელისათვის, თუ როგორ გაიზარდა აქარა, როგორ დაფიცაცდა იგი, როგორ გარდაქმნენ აქარელი გლეხები და დაღნენ სოციალისტური მშენებლობის გზას. რომანი მთავრებება ქევსერის, იგვენ ფერიდეს დაბრუნებით ოჯახში, მშობლებთან. აქ იგი დიდი ენთუზიაზმით განაგრძობს შრომას საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

აქარაში პირველი კოლმეურნეობების ჩამოყალიბებისა და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობას ასახავს პ. ლორიას მეორე დილოგია „შვილები“. ამ რომანის ძირითადი ტენდენციები თითქმის იგვენა, რაც მწერლის სხვა რომანებისა, მაგრამ იგი ყურადღებას იძყობს როგორც ინდუსტრიული მშენებლობის თემაზე შექმნილი ერთ-ერთი პიპლარული ნაწარმოები. ავტორი ხას უსვამს წინაღმდეგობას, რომელსაც საბჭოთა სპეციალსტები წააწერენ ამ ინდუსტრიული გიგანტის მშენებლობისას, მაგრამ ამივე ღროს დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ როგორ ერთსულოვნად დაირაზნენ აქარის მშრომელები ყოველგვარი დაბრუნლების გადასალახვად და როგორ ბრწყინვალედ გაიმარჯვეს.

ანალიზებს რა პ. ლორიას რომანს „განთიადი ხევში“, ერთი კრიტიკოსი სამართლანად აღნიშნავს: „მწერალმა მთელი სისრულით ვერ გვჩერენა თვით ადამიანთა გარდაქმნის, სულიერი გადა-

ხალისებისა და აღორძინების პროცესი. ამის შესახებ იგი უფრო მოვითხობს, ვიდრე გვიჩვენებს მათი ცოცხალი შემოქმედებითი საქმიანობით". ჩვენი მხრივ დაუმატებთ, რომ ასეთივე ნაკლი დამასიათებელია მწერლის სხვა რომანებისთვისაც. ბელეტრისტი ყოველთვის ვერ ახერხებს რჩმად ჩასწერის პერსონაჟთა ფიქტოლოგიურ თავისებურებებს, მათ სულიერ სამყაროს, მაგრამ როდესაც სოციალისტური გარდაჭენების შესახებ ლაპარაკობს, იმდენად გულწრფელია, აჯერებს და იტაცებს მეთხელს.

სოციალისტური გარდაჭენები აისახა აჭარაში მომეუვე მწერლის კაპიტონ რუსიძის შემოქმედებაშიც, თუმცა ეს თემა სისხლხორცეული არ არის ბელეტრისტისათვის. იგი უმთავრესად გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის სურათებს ხატავს. ასევე შეიძლება ითქვას ზოგიერთი სხვა პროზაიკის შესახებაც, რომელთა ნაწერებში იდეალი მოცემულია უარყოფითის, მათინაცის წევაციის გზით.

საბჭოთა ხალხის ახალ, სისხლსავსე ცხოვრებას ასახავს მ. გორგილაძის, ა. შერევაშვილის, ფრ. ხალვაშის, ალ. ჩხაიძის, ჭ. ჭავჭავაძის, ალ. სამსონიასა და სხვათა რომანები და მოთხოვნები, აქ ფრიად საგულისხმოა ერთი მომენტი: თუ კითხველი ცრ. ხალვაშის რომანი „საყველური“ შეადარებს პ. ლორიას აღრინდელ რომანებს, უმაღლ იგრძნობს თვალსაჩინო განსხვავებას, სიმაყის კინონიერ გრძნობას აჭარული სოფლის ზრდითა და წინმავლელობით. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში აქარის მაღალმთანი რიონების სოფლებს სრულებით არ გააჩნდა საცუთარი, ადგილობრივი ინტელიგენცია, ახლა ასე როდის. ფრ. ხალვაშის „საყველური“, რომელიც შევდებარჯვებული სოციალიზმის კონკის სოფელს ასახავს, ცხადად გვიჩვენებს, რომ წინათ მიუვალ სოფლებშიც კანამოზარდნენ დიადი მომავლით შთაგონებული და განათლებული ახალგაზრდები. ისინი სათავეში ჩაუდგნენ და წინ

ეზიდებიან მამა-პაპათა სისხლით და მუშაობით დამკეთრებულ ახალ ცხოვრებას.

ამავე რომანში ჩანს, რომ აქა-იქ ჯერ კიდევ ბოგონობს თურქ დამპყრობთა სამარტლოვანი ბატონობის კუალი, მაგრამ იგი იმდენად უსუსური და უილაგა, რომ გჯრა, ახლო მომავალში სასესმით გაქრება.

სოციალისტური გარდაჭენების ჩვენება უმთავრესად ეპიკურ ნაწარმოებშია შესაძლებელი, სადაც მწერალს საშუალება აქვთ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დახატოს აღამინის ცხოვრება. მაგრამ ახალი საზოგადოებრივი წყობილების — სოციალიზმის შენებლის განცდები, მისი ფიქრები, ბრძოლა კაპიტალისტურ გადმონაშთებთან ლირიკულ თხზულებებშიც წარმოისახა, რამდენადაც პოეზია მკიდროდ დაუკავშირდა ხალხს, საზოგადოებას.

ჯერ კიდევ იმ დროს, როცა საქართველოში სხვადასხვა ანტირეალისტურ-დეკადიზტური ლიტერატურული დაჯგუფებანი გააფთოებით ებრძოდნენ ახალ, პროლეტარულ ლიტერატურას, მუშა-პოეტი პარმენ რურუა ლექსში „ჩვენ აღმართეთ დროშა“ ამბობდა:

„ჩვენ აღვმართეთ დროშა,

დროშა ალისფერი,

და მუშური ხელით

დავამარცხეთ მტერი!“

პოეტი გამოთქვამდა მტეიცე რწმენას, რომ საბჭოთა ხალხი დაწვავდა სიმნილეს, განაღვეულებდა ხელშემშლელ ნისლს და იზეიმებდა გამარჯვებას:

„შრომით ავაყვავებთ

ჩვენ სამშობლო კერას!

მას შეეწირავთ ჩვენს ძალს

და ჩერენს გულის ბერებს!

ლექსში „ბათუმიდან ომფარეთამდე“

პ. რურუა სიმაყის გრძნობით აცხადებდა:

„მთები მთებს ცვლიან

და ველნი — ველებს,

ახლა ჩვენს სულში

აღარც ბურია.“

შემდეგ იგი წარმტაცი ფერებით ხა-

ტავს ახალი, ინდუსტრიული საქართველოს პერიოდის:

„პა, ომაზრეთის ჭაბურლილები,  
ცა მტრედისფერი, მყუდრო სოფელი,  
ექ ყველაფერი გასაგებია,  
შესაგრძნობი და შესაცნობელი,  
ამ მწვანე ბალებს, მწვანე ბალახებს  
და მობიბინე სიმინდის ყანას  
ნიავის ნაცვლად ქარხნის საყვირი  
ეტყვის ცხოვრების სხვა იავანას!“

1929 წელს დაწერილ ლექსში „კოლექტივისაკენ!“ პარმენ რურუას ლირიკული გმირი პირდაპირ მოუწოდებდა საბჭოთა აღამინანებს და ენგრიათ ძველი ზოულები, კერძო მეურნეობა და გაერთონანებულიცვენ კოლექტიურ მეურნეობებში:

„ვისაც გსურს ქვეყნიდ დათრგუნოთ  
ძველი  
წესწყობილება და პპოვოთ შველა,  
კოლექტივისაკენ, კოლექტივისაკენ,  
კოლექტივებში შეერთდით ყველა!“

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი გეზი მისცა ხალხის კულტურულ განვითარებას. დაიწყო ბრძოლა აღამინათა შეგნებაში კაპიტალისტურ-რელიგიური გაღმონაშობის წინააღმდეგ. ამ მიმართებთ პარტია წაწყდა კოლოსალურ წინააღმდეგობას. აქანაში განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა აღმოფხერა მუსლიმანური აღათ-წესებისა, რომლებსაც საქმაოდ ღრმად პქონდა გადგმული ფესვი; მაგრამ კველა სიძნელე დაძლეულ იქნა და ქალებიც მასობრივად ჩაებნენ ახალი ცხოვრების ფერხულში. ეს იყო მართლაც დაიდი გარდაქმნა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და ამ საქმეში გარკვეული როლი შესარულებს ჩვენა პოეტებმა. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა შთამაგნებელი ძალა ექ-

ნებოდა 6. მაღაზონიას ლექსს „აჭარებული ქალს“ (1927 წ.), რომელშიც ნათქვაში იყო:

„აღვდექით და სინათლე ვიზილეთ,  
ეს ქვეყანა დღეიდან  
აღარ დაძაბუნდება!  
აჭარელო ქალებო,  
ზეიში, ილხინეთ,  
მოკვდა ძველი, ბნელი დრო  
და აღარ დაბრუნდება!“

აჭარელი ქალის ამ სიტყვებით აღუროვანებული პოეტი უერთდება საყოველთა სიხარულს და დიდი სიყვარულით, სითბოთი და მეგობრულად წარმოთქვამს!

„მართლაც: გრძელი იყო გზა  
და სიძნელე მრავალი,  
მაგრამ მანც გმირულად,  
განვლე, ჩემო დაო, და  
დღეს არა აქვს ამ მხარეს  
ეკლანი ხავალი.  
ჩვენი მხარე ჯერ ასე  
არასოდეს ყვაოდა!“

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლონ განთავისუფლებულმა, ჩადრანებილმა აჭარელმა დედამ დაზარდა ვაჟკაცები და ქალიშილები, რომლებმაც თავისი გმირული საქმიანობით ასახელეს დედა-სამშობლო, წინ წასწიეს შშობლიური კულტურა. ამ აყვავებულ და ბაღნარად ქცეულ საქართველოს, ქართველ ხალხს, კომუნიზმის მეცნებელ ხალხს ახლა გულწრფელად უმღერიან პოეტები: ნანა ვაკარიშვილი და მამია ვარშანიძე, ურიდონ აბშებილი და მამია ვარშანიძე, ურიდონ სალვაზი და გიორგი სალუქევაძე. შოთა როსვა და ჭემალ ჭაყელი, ლადო სეიდი-შვილი და ზურაბ გორგილიძე და ბევრი სხვა.



## სოლომონ ჩხაიძე

### გიორგი მცირის „გორება გიორგი მთაწმინდება“

„გოდება გიორგი მთაწმინდების“ ძველი ქართული მწერლობის მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია. იგი დაუშერია და წარმოუთქვამს გიორგი მთაწმინდელის მოწაფეს გიორგი მცირეს, რომელიც წარმოგვიდგება ლიდი შემოქმედებითი პოტენციის პოტად. „გოდება“ ძლიერ გულწრფელად და ადამიანური სითბოთი გადმოგვცემს მძაფრ სულიერ ტკივილებსა და მწუხარებას. სავსებით მართლი იყო პროფ. ქ. კეჩელიძე, როცა წერდა: „ეს ნაწარმოები არ ჩამოუვარდება არცერთს საშუალო საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურის ანალოგიური უანრის ნაწარმოებს“.

გიორგი მცირის „გოდება“ ფრიად საგულისხმოა როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ. მასში მკაფიოდ ჩანს ძველი ქართული ბელეტრისტიკისათვის დამახა-

სიათებელი მხატვრული აზროვნების ნიშან-თვისებანი.

თავისი სახელოვანი მოძღვრის — გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალების მხატვრული ასახვის წინ გიორგი მცირე „დუმილის ნავსადგურში“ გარინდებას ამჯობინებს განსაცდელით სავსე მწუხარების გადმოცემას. „შეძრწუნებულ ვარ და შეშინებულ, — მოგვითხრობს იგი, — რამეთუ აქამომდე გზა სიტყუისა ჩუენისა წრფელ იყო და ადვილ სავალად, ხოლო აწ იწრო და საჭირო და უღონო ჩუენგან სლვისა, რამეთუ ნავსადგურსა დუმილისასა მეგულების შესვლა, რამეთუ ხელი ჩემი ძრწის და სული შეიწრდების, ხოლო გონებაი განცვიდების“. შემოქმედებით ალფროთოვანებას, რომლითაც იქმნებოდა გიორგი მცირის თხზულება — მთაწმინდელის ცხოვრება და მოღვაწეობა (აქა-

მომდე გზაი სიტყუისა ჩუენისა  
წრფელ იყო...) აქ ცვლის მინო-  
რული ტონი. „არავინ არს, — შე-  
ნიშნავს მწერალი, — რომელმანცა  
მიიღო ნაწელი ერთი წყლისაი და  
განაგრილა ენაი ჩემი სალმობიე-  
რი და შემწუარი ცეცხლითა მწუ-  
ხარებათათა. წახდა შუენირე-  
ბაი იგი საწადელი“.

ლაკონიური შტრიხებით გაღმო-  
გვცემს გიორგი მცირე ტევად  
აზრს: „დაიფარა მიწასა შინა გუა-  
მი წმინდაი მოლუაწებისა შრომითა  
განლეული“. ან: „დაყუდნა (დადუ-  
მდა— ხ. ჩ.) გონებაი იგი მხილველი  
და სიღრმეთა სულისათა გამომე-  
ძიებელი“.

გიორგი მცირე თვითონ  
გრძნობს, რომ უზომო ცრემლის  
ღვრით სცილდება საქრისტიანო  
ლიტერატურაში შემუშავებულ წე-  
სა და ნორმებს და დასძენს:  
„მოველით ამიერითგან და განუ-  
სუენოთ სასმენელთა თქუენთა  
გლოვისაგან... ჯერ არს რათა მოვა-  
ქციო აფრა სიტყუისა ჩემისა და სა-  
ეკლესიონი სიტყუანი“ წარმოვთ-  
ქვაო. გოდების მეორე ნაწილი.  
რომელსაც აგტორი „ნუგუშინის-  
ცემის სიტყუას“ უწოდებს, დინჯი  
ტონითაა დაწერილი და შინაარს-  
ობრივად არსებითად განსხვავდე-  
ბა პირველისაგან, პოეტური ცრემ-  
ლიანი მოთქმისაგან, რომელიც  
ქმნის „გოდების“ ძირითად ტონს.  
გიორგი მცირეს, გითარცა ქრისტი-  
ანს, სოფლისგან განშორება სუ-  
ლის ხორცისგან განმათვისუფ-  
ლებელ სიჭერედ უნდა მიეჩნა,  
მაგრამ „გოდების“ პირველ ნაწი-

ლში იგი ქედს იხრის ბუნების გამოყენების და მის განვითარების მიზანის წინაშე და ამ შე-  
მთხვევაში მოვლენის შესახებ ისე  
თავისუფალი მსჯელობაა გაშლა-  
ლი, რომ განწყობა ერისკაცისა და  
მონაზონისა ერთგვარი ხდება. მხო-  
ლოდ „გოდების“ ბოლოს, რო-  
გორცე მოსალოდნელი იყო, ლი-  
რიკულ - სუბიექტურ „საერო“  
აზრს დაურთო საეკლესიო - მის-  
ტიკური სიტყვა და კვლავ დაუბ-  
რუნდა ქრისტიანული უკვდავების,  
სუფევის დამკვიდრების იდეას,  
რითაც მსმენელს შეუმსუბუქა გა-  
ნსაცდელის სიმწვავე და სიმძიმე-  
ამგვარია „გოდების“ შედარებით  
მარტივი კომპოზიცია.

ყურადსალებია ბიბლიური გო-  
დების შესანიშნავი ცოდნა, რომე-  
ლსაც გიორგი მცირე ამჟღავნებს.  
„აწ მინდეს ცრემლი იერემიას  
გოდებისანი, — შენიშნავს იგი, —  
და უკეთუ სხუამანცა ვინმე სანა-  
ტრელთა მათ კაცთაგანმან სიღიღე  
განსაცდელისაი სადამე იგლოვა...  
მართლაც, იერემიას გოდების  
ძველქართული ვერსია ცრემლით  
გაყღენთილი თქმებით, უნაპირო  
გლოვით, ძლიერი, პლასტიკურად  
ჩამოსხმული ენით, რელიგიური  
ლირიზმით გოდების კლასიკური  
ნიმუშია მსოფლიო პოეზიაში. მა-  
გრამ იერემიას გოდების ზეღმი-  
წევნით ცოდნა არ ზღუდავს გიორ-  
გის შემოქმედებითს ნიჭს. იგი „სა-  
ტყვათა აფრას“ თავისუფლად იქ-  
ნევს და შესანიშნავი ქართულით  
გაღმოგვცემს მთაწმინდელის ღვა-  
წლას და ამაგს. აქ გვხდება გოდე-  
ბის ბიბლიურ ტექსტთა ტრაფარე-

ტული ლექსიკა: განკაფული (ლონებიძელი — ს. ჩ.), საღმობიერი (სატყივრიანი — ს. ჩ.) და ა. შ. ვაგრამ ძირითადში გიორგი მცირე ამ მხრივ უაღრესად თავისთავადია და ორიგინალური. ამის საილუსტრაციოდ საკმაოა ითქვას: ერთგან რომ განკაფულს (განკაფულნი ღაბის თევათა შინა...) ხმარობს, იქვე მეორეგან მის შესატყვისს განლეულს (...შრომითა განლეული...). გიორგი მცირე ქართული ენის უმდიდრეს ლექსიკურ მარაგში დიდი ყურადღებით არჩევს თითოეულ სიტყვას როგორც გამომსახველობის, მუსიკალობის, ისე აზრობრივ-სემანტიკური თვალსაზრისით. თხრობის ისე აგება, რომ მან მკითხველსა და მსმენელში სათანადო (სიხარულისა თუ მწუხარების) ძლიერი განწყობილება შექმნას, აღვილი როდია, მაგრამ გიორგი მცირე, განსაკუთრებული პოეტური ნიჭით და მშობლიური ენის ღრმა ცოდნით აღჭურვილი, შესანიშნავად ახერხებს ამას.

საჭირო ეფექტს რომ მიაღწიოს, გიორგი მცირე იყენებს კითხვით წინადადებებს, რაც აძლიერებს ლირიკულ ინტონაციას: „ხედავთა თუ ვითარ არიან საქმენი ჩუენი?“ ან კიდევ: „ანუ თუ მცირე არს ჩუენ ზედა მოწევნილი ასე ბოროტი?“ მოწესრიგებულია ევფონიურ - ბგერწერითი მხარეც. სისტემურია თანხმოვან და ხმოვან ბეგრათა განლაგება, აღიტერაცია-ასონანსი, რაც სტრიქონის კეთილი უღერადობის საშუალებაა. „ვითარ ვაძულო ენასა მსახურებად სიტ-

ყვისა, რაითა იგი განსაცდელისა მის მიერ, ვითარცა მძიმითა რაითამე სკრეველითა რკინისაითა შეკრულ არს“. გარკვეული ეფონიური შთაბეჭდილებით მწერალი ყურადღებას ამახვილებინებს მკითხველსა და მსმენელს, რომ მას არძალუძს ენის ამოღება. ამ აზრს კარგად გადმოსცემს, სიმტკიცისა და სიმკერივის გრძნობას აძლიერებს „კ“ ბგერის განმეორება. ზოგჯერ განმეორებულია სიტყვათა ალიტერაციულ - ასონანსური დაბოლოება: „განსაცდელთა და მწუხარებათა მიერ შეპყრობილისა და აღვებულისა გულისა“... ხოლო სტრიქონთა დასაწყისში განმეორებული ერთი და იგივე სიტყვა (ანაფორული წყობა) მეტყველების სათანადო ტონს ქმნის, რაც შესაბამისი განცდის წარმოშობას ემსახურებოდა: „ვითარ აღვალო პირი უტყუებითა შეპყრობილი, ვითარ აღუტეო ხმაი, ვითარ აღვიხილნე თუალნი სულისანი განსაცდელისა ამის აღმურითა დაბნელებულნი“. მოტანილ ნაწყვეტებში განმეორებული „ვითარ“ აძლიერებს უნუგეშმობის გრძნობას. სევდიანი განწყობილების გამომხატველია მყარი ფრაზეოლოგიური ერთეული „განსაცდელის აღმური“, ხოლო „და“ კავშირის თავისებური განლაგება ყურადღებას მიმართავს ამა თუ იმ მომენტის მიმართ და ერთი და იგივე ამბის განმეორებით ქმნის მკვეთრ შთაბეჭდილებას. „ვითარმე ვითხრა თუ რაბანი ამბობი და შფოთი იქმნა და ტყებაი

და ყივილი უწესოი“. შთოთსა და ამბოხს კიდევ უფრო ამძაფრებს „და“ კავშირის მრავალგზისი გამოყენება.

სინონიმთა გაეგმაზომიერი გაშოყენება აგრეთვე აძლიერებს აზრს: „ვინცა განმიბნია უკუნი და წყუდიადი მწუხარებისა ბნელი...“ სინონიმებია „უკუნი“ და „წყუდიადი“, მაგრამ მარტო ამ სიტყვათა გამოყენება გააუფერულებდა ფრაზას. ამის გამო მწერალი მიმართავს ამ სინონიმთა შესატყვისს „ბნელი“, რითაც მეტი გამჭვირვალება შეაქვს სტრიქონში. სხვა შემთხვევაში „წყუდიადის“, „უკუნის“, „ბნელის“ სინონიმად ხმარობს სიტყვას „შავი“, რაც კონტრასტულ პარალელიზმს ქმნის: „წიაღვლო არა თუ ზღვაი ესე მეწამული, არამედ შავი ესე და წყუდიადი ზღვაი საწუთროისა“. კურადსალებია შემდეგი ნაწყვერიც — „ყოველი იგი ერი უცხოი ამის განსაცდელისათვის უცხოსა შინა ქუეყანასა ოცდაათ დღე და ოცდაათ ღამე იგლოვდა მას ზედა, მწარედ გოდებდა და ტიროდა“. სამი სინონიმური სიტყვა ურთიერთმიდევნებით ერთ ტაქტშია წარმოდგენილი (იგლოვდა, გოდებდა, ტიროდა). სხვა შემთხვევაში, როდესაც კვლავ გოდების აღმნიშვნელ სიტყვას უნდა მიმართოს, მწერალი იტყვის — მწუხარებაის (გლოვაცა ესე და მწუხარებაი...). მწერლის ენობრივი სტილის თავისებურებანი დამოკიდებულია არა მარტო სიტყვათა თავისებურ შერჩევაზე, არა

მედ ლექსიკური მარაგის სიუზვეზე ზეც. ამ მხრივ „გოდების“ პიეტური მეტყველება თავისებურია და მრავალფეროვანი.

არანაკლებ საგულისხმოა მხატვრული განმეორება, რაც პოეტური ინვერსიას მოგვაგონებს, როცა მეორე სტრიქონი სიტყვათა შეცვლილი რიგით პირველის სინონიმს წარმოადგენს: „ვინ მოგუფინოს ჩუენ შარავანდედი, ვინაითგან დაპხდა მნათობი (ვარსკვლავი — ს. ჩ.) ჩუენი! ეპა ბოროტი ესე სიბნელე, რამეთუ მზე, მნათობი ჩუენი დაპხდა“ (ჩაესვენა — ს. ჩ.). მზისა და ვარსკვლავთა ჩასვლა და სიბნელით გარემოცვა მიღდამოსი აქ მეტაფორულადაა ნაჩვენები და ქრისტიანული კოსმოლოგის ელფერით აღბეჭდილი.

გიორგი მცირე მარჯვედ იყენებს მხატვრული დაპირისპირების ხერხს. როცა უნდა გიორგი მთაწმინდელის მიერ საქართველოდან წამოყვანილი ბავშვების მდგომარეობა გვიჩვენოს, იგი ერთიმეორის საპირისპირო ცნებებს (აყვავებული, დამჭკნარი, განათებული, დაბნელებული) მიმართავს: „მცირედ აღყვავებულნო ხოლო აწ მსწრაფლ დაჭკნობილნო ბრწყინვალედ განათებულნო, და ბოროტად დაბნელებულნო“. ძველ ქართულ ძეგლებში იშვიათად გვხვდება მახვილის აღნიშვნა და, თუ არის, რამე კანონზომიერების დადგენა შეუძლებელი ხდება. აქ მხოლოდ შეიძლება ვიკარაუდოთ, რომ ე. წ. ლოგიკური მახვილი საპირისპირო აზრის გა-



მომხატველ სიტყვებზე მოდის,  
რაც გამოჰყოფს მათ სხვებისაგან.

გრძელი რიტმული პერიოდები-  
საგან იმგვარი შთაბეჭდილება  
გვრჩება, თითქოს გიორგი მცი-  
რის „გოდება“ ერთი ამოსუნთ-  
ქვით იყოს დაწერილი, მაგ-  
რამ ზოგჯერ იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტ  
გაღმოგვცემს გოდებას: „ვაი ჩუე-  
ნდა! ვაი ჩუენდა! პოი წმინდა!“  
რამეთუ ვიდრე შენ ჩუენთანა იყ-  
ავ! ღამენიცა დღენი იყვნეს! ხო-  
ლო აშ! რა განგუეშორე! დღენი-  
ცა ღამე არიან“. ამ ნაწყვეტის ში-  
ნაგანი რიტმულობა გვაგრძნობი-  
ნებს ავტორის მღელვარებას.

„გოდების“ პოეტურობის მანი-  
შენებლია ისიც, რომ მწერალი ემ-  
იჯნება ზოგადს, გაზიადებას, ენა-  
წყლიანობას. იგი ცდილობს სევდა  
მოვაროს მსმენელს და ამას  
ბრწყინვალედ ახერხებს.

სულიერი მღელვარება „გოდე-  
ბაში“ რიტმულად ლაგდება და მი-  
მდინარეობს. გოდების რიტმულო-  
ბა შემჩნეულია სამეცნიერო ლი-  
ტერატურაში.<sup>1</sup> პოეტურია თვი-  
თონ ბაბილონის გოდება და გო-  
დება იერუსალიმის აოხრებისათ-  
ვის. სტილის ოდნავი მოდერნიზა-  
ცია საქმაოა იმისათვის, რომ ისი-  
ნი გარკვეული კანონზომიერების  
პოეტურ მეტყველებად ვცნოთ.  
ყურადსალებია, რომ ებრაული პო-  
ეზიის უძველეს ნიმუშებში, იერე-  
მიას გოდებასა და ბიბლიის სხვა  
პოეტურ ნაწყვეტებში ცნობილ

მხატვრულ ხერხს, რაც ერთი მეტყველე  
ძისეული სიტყვების ორი. სხვადა-  
სხვა ფორმით გამოთქმაში მდგო-  
მარეობს (განმამწარებელმან გან-  
ვავწარე, დამდაბლებელი დამდა-  
ბლა, მომნადირებელთა მომინადი-  
რეს) იყენებს გიორგი მცირეც:  
„სიხარული მოხარულთა თანა მო-  
გუეცით ჩუენ, ტირილი მტირალ-  
თა თანა მომიზლეთ ჩუენ“.

ძველი ქართული ენისა და მეტ-  
ყველების დინამიკური თავისებუ-  
რებანი „გოდების“ დინამიკის პი-  
რველწყაროა. აქ მხედველობაში  
გვაქვს გოდების რიტმული მხა-  
რეც, რომელიც ისეა გამოხატული,  
რომ ზოგჯერ ჩვეულებრივი ძველი  
ქართული პროზა თავისებური რი-  
ტმული ელფერის პოეზიად გვივ-  
ლინება.

რიტმული ჯგუფები გოდებაში  
ერთომეორისაგან გაყოფილია და  
თითოეული მათგანი მთლიან, დას-  
რულებულ აზრს გამოხატავს, მიუ-  
ხედავად რითმის აშკარა უკმარო-  
ბისა და სიღარიბისა. აი ერთი ნაწ-  
ყვეტი:

წარვიდა გონებისა განზრახვა!||

ჰეშმარიტად ლმრთისა მიერ

ალტული.||

დაწუხნა თუალნი იგი!||

მათლიად მხედველნი და!||

განმრჩეველნი კეთილისა

ბოროტისაგან.||

და უმჯობესისა უდარესთაგან.||

დადუმდეს ბაგენი იგი.||

მცველნი სჯულისა უფლისანი.||

შეირა ენა იგი ოქროსიტუა.||

და ბრწყინვალედ მთარგმნელი.||

ლმრთივ სულიერთა წიგნთა.||

ამგვარი მეტრმწკრივი შემთხ-

3. ინკოროგვა, გიორგი მერჩულე,  
1954 წ., გ. 558, 887.

ვეგითი არაა. სინტაქსური წყობა, სიტყვათა თავისებური განლაგება, ტონურ პაუზათა, რიტ-მულ შეჩერებათა, შიგნისტრიქონულ ა ნ უ ა ბ ე შ ა ნ თ ა (გადატანა) როლი ამ ნ ა წ ყ ვ ე ტ შ ი ნათლად ჩანს. რიტმული შეჩერება სტრიქონის ბოლოს სიტყვათა გარკვეულ ჭგუფებს მკვეთრად გამოჰყოფს და ჰყრავს მას „შინაარსობრივ-ტაუპობრივი რიტმიკით. „დაწუხნა (დახუჭა—ხ. ჩ.) თუალნი იგის მართლად მხედველნი. რიტ-მული შეჩერება „იგის“ შემდეგ არ გამომდინარეობს მოთხრობისეული ინტონაციის ა გ ა ნ. მისი ინტონაციური თავისებურება განსაზღვრულია ტექსტის იდეური შინაარსით. ამის მიხედვით „გოდებაში“ რიტმული დინება ხან მშვიდია, ხან მღელვარე და ეს (ტონალობის გამოცვლა) ხდება იმის მიხედვით, თუ რა შინაარსს გადმოსცემს ავტორი. დინჭი ტრნით მიმღინარეობს გოდება: „მწუ-

ხარე იქმნებს ოდესმე ისრაელნიცა, რაუამს იგი ალიტაცა ზეცად ელია, არამედ ზუგეშინის სცემდა განშორებასა მისსა ელის, ჴალენითა მოძლურისათა შემჯობილი“. რიტმულად მღელვარე ტემპით თხრობის მაგალითია დადებითი პარალელიზმის მსგავსი შემდეგი სტრიქონები: „სადა არიან თუალნი ზეცისა საიდუმლოთა მხედველნი? სადა არიან ყურნი იგი საღმრთოისა მის ხმისა მსმენელნი? სადა არს ენაი იგი წმინდაი?... სადა არს ტებილი იგი მყულროება თუალთა მისთაი? სადა არს წესიცრი იგი დუმილი ბაგეთა მისთაი? სადა არს საწადელი იგი მარჯვენა მისი...“

გიორგი მცირის „გოდება გიორგი მთაწმინდელისა“ იშვიათი პოეტური ოსტატობის ნაყოფია. იგი დღესაც გვხიბლავს რიტმულობით, განცდის გაღმოცემის სიმძაფრით. იგი მღიდარია სინთესით, ალიტერაციით, ასონარ-სით, მეტაფორებით და სხვ.



# კარხელის ნარცისფრთხოები

ნესტორ ინიციატივი

## ქარხელის დაგადაგა

საქართველოში საბჭოთა ხელი-  
სუფლების დამყარებისთანავე ძი-  
რეული გარდატეხა მოხდა რო-  
გორც კულტურის, ისე ეკონომი-  
კის, მრეწველობის დარღვი.

1921 წლის მარტში ვ. ი. ლე-  
ნინმა პარტიის მეათე ყრილო-  
ბის ტრიბუნიდან დელეგატებს აც-  
ნობა: „წაიყითხეთ თუ არა გაზეთ-  
ში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის  
ნავთსადენი? თქვენ მალე წაიყით-  
ხავთ, რომ ახეთივე ნავთსადენი  
გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას  
გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისა-  
კენ“...

დამთავრდა უკანასკნელი სამუ-  
შაოები და 1922 წლის ივლისში  
საქ. კპ (ბ) აჭარის პირველ საოლ-  
ქო კონფერენციაზე წაიკითხულ  
იქნა დეპეშა: „ბაქოს პროლეტა-  
რიატი ულოცავს ბათუმის პრო-  
ლეტარიატს ბაქო-ბათუმის ნავთ-  
სადენის გახსნას“, რასაც დელეგა-  
ტები მეუხარე ტაშით შეხვდნენ.

ვ. ი. ლენინი ითვალისწინებდა.

რომ ნავთობის ექსპორტს მნიშვ-  
ნელოვანი წვლილი უნდა შეეტანა  
ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათ-  
ვის დანადგარ - მოწყობილობათა  
იმპორტირების საქმეში. ამიტომ  
შრომისა და თავდაცვის საბჭომ,  
რომლის მუდმივი თავმჯდომარე  
იყო ვ. ი. ლენინი, დაადგინა; გა-  
მოეყოთ სახსრები ახლი ნავთობ-  
მილსადენის გასაყვანად და ბათუმ-  
ში უახლესი სისტემის მძლავრი  
ნავთობგადასამუშავებელი დანად-  
გარების ასაგებად.

სახსრების უქონლობის გამო  
მხოლოდ 1926 წელს დაიწყო სა-  
მუშაოთა დაპროექტება. სადაც  
იქცა საკითხი ბაქოდან შავი ზღვის  
საქართველოს სანაპიროს რომელ  
ნავსადგურამდე გაეყვანათ მილ-  
სადენი და სად აეგოთ ქარხანა.  
ძირითადად ნაგულისხმევი იყო  
ბათუმი ან ფოთი. როცა საქმე ბა-  
თუმის სასარგებლოდ გადაწყდა,  
აჭარის ადგილობრივ ხელისუფ-  
ლებასა და „აზნავთმშენის“ სამმა-

რთველოს შორის ხანგრძლივი და-  
ვა გაჩაღდა ნავთობგადასამუშა-  
ვებელი ქარხნისათვის აღგილის  
გამოყოფის თაობაზე. აღგილობ-  
რივ ხელისუფლებას სურდა ქარ-  
ხანა აშენებულიყო კახაბერში:  
ბათუმის ჩრდილოეთი სანაპიროე-  
ბი და თვით ბათუმი საკურორტო  
ზონაა, ქარხანა კი გააფუჭებს ჰა-  
ერსა და ზოვის სანაპიროებს, ჩიო-  
სა და ციტრუსების პლანტაციებ-  
ზეც იმოქმედებსო. უნდა აღინიშ-  
ნოს, რომ ამ უკანასკნელს გარდა,  
ეს მოტივები სამართლიანი იყო.  
„აზნავთმშენის“ მიაჩნდა, რკინიგ-  
ზისა და მილგავყანილობის ბათუ-  
მის სამხრეთით გაგრძელება მი-  
ლიონობით მანეთ დამატებით სა-  
ხსრებს მოითხოვსო. ბოლოს გა-  
დაწყდა, ქარხანა აშენებულიყო  
სოფელ თამარას, ყარადერესა და  
ბარქანის უბნის ტერიტორიაზე.

1927 წლის პირველი მაისი „აზ-  
ნავთმშენის“ ბათუმის კანტორის  
ორგანიზების დღეა.

ქარხნის მშენებლობის აღგილ-  
ზე გამოცხადდა რამდენიმე ათეუ-  
ლი მუშა ბარით, ნიჩბით და წერა-  
ქვით, ღურგლება. მებეტონე-  
ები და სხვა პროფესიის მუშები.  
ამ დროს მშენებლობაზე იყო  
ერთადერთი მანქანა — ტრაქტო-  
რი, რომელიც გუგუნით მიუძლო-  
და წინ მუშებს.

ბათუმის ნავთობგადასამუშავე-  
ბელი ქარხნის მშენებლობას აწა-  
რმოებდა სსრ კავშირის სახალხო  
მეურნეობის უმაღლესი საბჭოს  
აზერბაიჯანის ნავთობის მრეწვე-

ლობის სახელმწიფო გაერთიანებული  
„აზნავთის“ სამმართველო.

„აზნავთმშენის“ მმართველის,  
ქველი რევოლუციონერის მ. ბარა-  
ნოვის ბრძანებით, „აზნავთმშე-  
ნის“ მთავარი ინჟინერი, შემდგომ  
აკადემიკოსი ა. ბულგაკოვი „აზ-  
ნავთბათუმშენის“ ბათუმის კანტ-  
ორის ხელმძღვანელად ინიშნება,  
მის მთავარი აღმდეგები — ბაქოელი ინჟი-  
ნერი ს. კიმიშვილიცევი, ხოლო თანა-  
შემწედ სამეურნეო ნაწილში —  
ა. აკობოვი.

ა. ბულგაკოვმა და ს. კიმიშვილ-  
ცევმა ჩამოსვლისთანავე დაიწყეს  
ზრუნვა იმ მიწის გამოსყიდვისათ-  
ვის, რომელზეც დაგვეგმილი იყო  
ქარხნის მშენებლობა. მიწის გა-  
მოსყიდვა მიმღინარეობდა თანდა-  
თანობით, მშენებლობის წინსვ-  
ლისდაკვალად. შეფასებულ იქნა  
მოსახლეობის მიწებზე არსებული  
ნაგებობები და ნარგავები. თანხის  
გადახდა იყიდებოდა „აზნავთმშენია.“  
გასხვისებული მიწის სანაცვლოდ  
გლეხებს ბათუმის გარეუბანში გა-  
მოეყოთ თავისუფალი მიწები. ამ-  
ის შესახებ აჭარის ასსრ ცენტრა-  
ლურმა აღმასრულებელმა კომი-  
ტეტმა გაზეთ „ფუხარაში“ 1927  
წლის 13 ივნისს გამოაქვეყნა სპე-  
ციალური დადგენილება.

სამშენებლო სამუშაოებიდან  
პირველ რიგში უნდა გადაწყვე-  
ტილიყო ნავთობგადასამუშავებე-  
ლი დანაღვარებისათვის საჭირო  
მტკნარი წყლის მარაგის შექმნის  
საკითხი. წყალი დანაღვარში უნ-  
და შესულიყო დიდი წნევით. გა-  
დაწყდა გამოეყენებინათ მდინარე

ყოროლისწყალი, რომლის შესაგუბებელი უჭისათვის ყარადერეს მთაზე დაიწყო კაშხალის მშენებლობა. ამის პარალელურად მიმღინარეობდა ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ნაგებობათა შეკეთება, რათა გამოეყენებინათ ისინი კანტორისა, საწყობებისა, მუშათა საცხოვრებლებისათვის და ა. შ.

მომავალი ქარხნის ტერიტორიაზე სწრაფად გაიყვანეს გზები, დაიწყეს შემოსასვლელი სავტომობილო გზატკეცილისა და ღროვებითი ფართოლიანდაგიანი რკინიგზის (ჩიხით) მშენებლობა, ცენტრალური საწყობის აგება სამშენებლო მასალებისა და დანადგარმოწყობილობათა შესანახად, მოაწყვეს მექანიკური სახელოსნო და სხვ.

გაზაფხულზე გაჩაღდა უმნიშვნელოვანესი სამუშაოები — დიდი მოცულობის ნავთობსახედელი კუბური ბატარეისა და მიმღები როფებისათვის ქვაბულების თხრა, აგრეთვე რკინის რეზერვუარების მოედნის მომზადება. ეს რეზერვუარ-ნავთობსაცავები სულ ექვსი მილიონი ტონა ტევადობისა უნდა ყოფილიყო.

ბევრი მშენებელი-სპეციალისტი და კვალიციური მუშა, რომელთაც გამოცდილება მიღებული ჰქონდათ ბაქოს საწარმოთა მშენებლობაზე, გადმოყვანილ იქნა ბათუმში მივლინებით. მათი ნაწილი შემდეგ ჩვენს ქალაქში დარჩა საცხოვრებლად და ქარხნაში სამუშაოდ. ესენი იყვნენ უმთავრესად

რუსი, აზერბაიჯანელი და სომები სპეციალისტები. მაგრამ მშენებლობას არ ყოფნიდა კვალიციური მუშები, სამუშაო იარაღები (განსაკუთრებით მექანიზებული). ამიტომ სამუშაოთა ნაწილი იჯარით გადასცეს უცხოეთის სამშენებლო ფირმებსა და საზოგადოებებს. ასე, მაგალითად, ქარხნის კანტორის მშენებლობა მიენდო ფრანგულ ფირმას „ინეინერ რ. ფ. იაკობის“ და კერძო ფირმას „მუხამედ აღას“. უფრო გვიან კაპიტალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას შეუდგა გერმანული ფირმა, ხოლო ბაქო-ბათუმის ნავთობმილსადენის მშენებლობის დიდ ნაწილს აწარმოებდა მოსკოვის საიგარო-სამშენებლო ორგანიზაცია „რაიგაზი“ და სხვ.

პირველი რიგის ამოცანა იყო ადგილობრივი მცხოვრებლებისა და შემდეგ მოსაზღვრე მაზრათა მოსახლეობის ჩაბმა მშენებლობაში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ — წარმოებაში. მათი დიდი უმრავლესობა ერთსა და იმავე ღროს კიდევ მუშაობდა და კიდეც სწავლობდა.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებელთა კოლექტივს მტკიცედ ედგა სათავეში „აზნავთბათუმშენის“ პარტიული ორგანიზაციი (პარტიული უჯრედი), რომელსაც სამუშაოთა ორგანიზაციისა და ქარხნის მშენებლობის პირველ პერიოდში უაღრესად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. საქართველოს კა აჭარის საოლქო კომიტეტის პარტიულ

არქივში შემონახულია „აზნავთ-ბშენის“ პარტიული უჯრედის პირველი ოქმი, დათარიღებული 1927 წლის 2 აგვისტოთი. პარტუჭრედის მდიგანი აღ. მირიძი აღნიშნავს: „ორგანიზაციული მუშაობის პერიოდი უაღრესად ძნელ პირობებში გვიხდება, არ გაგვაჩნია შენობაც კი, სადაც პარტორგანიზაციას მუშაობის სათანადოდ გაშლა შეეძლოს“. ამ დროისათვის უკვე არსებობდა მუშათა კომიტეტი, ჩატარებული იყო კავშირის ორი სექტორ კრება და კომიტეტის რამდენიმე სხდომა. პარტუჭრედმა „აზნავთის“ წინაშე დააყენა მუშათა ხელფასის მომატებისა და მისი მოწესრიგების საკითხი.

1927 წლის ბოლოსათვის აშენდა მუშათა დროებითი ბარაკები, საწყობები, მუშათა სასაღილო, კომპერაციული სავაჭრო, გაყვანილ იქნა გზები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეათე წლისთვეზე გამოცხადდა მუშების მასობრივი გაწვევა პარტიაში. „აზნავთბათუმშენის“ პარტიულმა უჯრედმა ლენინურ პარტიას შემატა 30 კომუნისტი. ახლად მიღებულნი სიტყვას იძლეოდნენ, რომ მთელთავის ენერგიას მოახმარდნენ სოციალისტურ მშენებლობას.

რევოლუციის ათი წლისთვთან დაკავშირებით ქარხნის მუშებს და ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებს გადაეცათ კლუბის შენობა. მალე ამ კლუბში ჩატარდა სახალხო მსაჯულთა არჩევნები. ისეთ მოწინავე მუშათან ერთად,

როგორიც ხუსეინ სარჯველი იყო, სახალხო მსაჯულებად პირველი ტექნიკოსი ბიუნეტი თაბუკაშვილი, ადგილობრივ გლეხთა წარმომადგენელი ოსმან ბოლქვაძე, დიასახლისი სეფერა ხაბაზი და სხვები.

მუშათა კომიტეტმა შეიქმნა საკლუბო კომისია, რომელშიც შევიდა 39 მუშა-მოსამსახურე და მახლობელი სოფლის რამდენიმე გლეხი. კლუბთან ჩამოყალიბდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო რუსულ-ქართული სკოლა. მასში სწავლობდა ორმოცდაათი კაცი. შეიქმნა ორი დრამატული წრე, რომლებმაც შვიდი პიესა წარმოადგინეს. კლუბთან მოეწყო წითელი კუთხე და პატარა ბიბლიოთეკა. გამოღიობდა კედლის გაზეთი. მუშაობაში ახალგაზრდული სიხალისე შეჰქონდა ახლად ჩამოყალიბებულ კომქავშირულ უჯრედს. გაჩაღდა ქალთა შორის მუშაობა. ჩატარდა ქალთა კრებები, რომლებზეც დაუღალავი და ფრთხილი მუშაობის შედეგად მიიზიდეს აჭარელი ქალებიც.

„აზნავთბათუმშენის“ პარტიული ორგანიზაცია ყოველნაირად ცდილობდა აღეზარდა მშენებლობის მუშები პოლიტიკურ-შრომითი აქტივობის სულისკვეთებით, აემაღლებინა მათი შეგნებულობა, გაეთავისუფლებინა ისინი ძველის გადმონაშთებისაგან.

პარტიული უჯრედი სისტემატურად ისმენდა კულტურულ-მასობრივი მუშაობის საკითხებს და მის გასაუმჯობესებლად იღებდა პრაქტიკულ ღონისძიებებს. განსა-

კუთრებული ყურადღების ცენტ-  
რში იყო ქარხნის კლუბი. პარტუჭ-  
რედის კულტურულ - მასობრივი  
მუშაობის სექტორის ხელმძღვანე-  
ლი კომუნისტი ხარიტონვა 1928

წლის დეკემბერში პარტიულ კრე-  
ბაზე ონიშნავდა, რომ პარტიის  
ლოზუნგი კულტურული რევო-  
ლუციის შესახებ უნდა განვახორ-  
ციელოთ გრანდიოზულ მშენებ-  
ლობასთან ერთად; ჩვენთან კულ-  
ტურული საქმიანობის ცენტრს  
უნდა წარმოადგენდეს მუშათა  
კლუბი; მასებს რომ მოვიზიდავთ,  
მათთან მუშაობის შედეგად აღმო-  
ვფხვრით უსაქმობას და მასთან და-  
კავშირებულ ხულიგნობას, ლო-  
თობას, აზარტულ თამაშობებს,  
სხვა ამორალურ ქცევებს.

ასე ყალიბდებოდა ქარხნის შე-  
მდგომ ცნობილი მუშათა კოლექ-  
ტივი, იქმნებოდა „მუშათა კლასის  
მოწინავე რევოლუციური მორა-  
ლი“.

1928 წლის დამდეგიდან ფარ-  
თოდ გაიშალა ქარხნის პირველი  
რიგის ნავთის კუბური ბატარეის,  
დიდი მოცულობის დანაღვარის,  
მის დამხმარე მოწყობილობათა  
და ნავთობსაცავთა ქვაბულების  
თხრა.

ხშირ წვიმებს მოჰყვა ყორო-  
ლისწყლის არაჩვეულებრივი აღი-  
დება, რის შედეგადაც მოხდა სტი-  
ქიური უბედურება. აღიდებულმა  
მთის მდინარემ 1927 წლის 6 სექ-  
ტემბერს კლდეებს ლოდები მოგ-  
ლივა და თან გაიყოლია. დაქანე-  
ბული წყლის ვეებერთელა ძალაშ  
და ლოდების დაჯახებამ მთლია-

ნად გაიტანა მშენებლობის პროექტი  
ცესში მყოფი კაშხალი. დაიღუპა  
სამი თვის (მშენებლობა დაწყო  
ივნისში) დაძაბული შრომის შე-  
დეგი.

სტიქიურ უბედურებას აღამია-  
ნის მსხვერპლიც მოჰყვა. როცა  
წყალმა აღიდება იწყო, რაც კაშ-  
ხალის სამუშაოებს წალეკვას უქა-  
დდა, ათისთავმა პლატონ ცინცა-  
ძემ და რამდენიმე მუშამ სცადეს  
გადაერჩინათ მშენებლობა. პლ.  
ცინცაძე ბეტონის კედელზე შედ-  
გა და ცდილობდა ხეებით გადაე-  
ხერგა ის აღილი, სადაც წყალმა  
იწყო გადასვლა, მაგრამ კედელს  
მიწა გამოეცალა და დაინგრა, თან  
გაიყოლა მასზე მდგომი ცინცაძეც.  
მუშათა კომიტეტმა ფულადი და-  
ხმარება აღმოუჩინა დაღუპულის  
ოჯახს. დაკრძალვა მოხდა ლანჩხეუ-  
თში. იგი გადაიქცა მშენებლობი-  
სათვის თავდადებული ადამია-  
ნის საყოველთაო პატივისცემის  
მძლავრ დემონსტრაციად.

პარტუჭრედის საერთო კრებამ  
1928 წლის აპრილში მოისმინა კა-  
შხალის სამუშაოთა მწარმოებლის  
პეტროვის ანგარიში. კაშხალი და-  
იდგა ახლა პროექტით და ძირი-  
თადად მზად იყო მაისში. ეს კაშ-  
ხალი ახლაც მოქმედებს და შესა-  
ნიშნავ ნაგებობას წარმოადგენს.

შემდეგ მშენებლებმა მთელი  
ყურადღება გადაიტანეს უშუა-  
ლოდ ნავთობგადასამუშავებელი  
ქარხნის პირველი რიგის სამუშაო-  
თა დამთავრებისაკენ. საქმე ის  
იყო, რომ ნავთობპროდუქტების  
ექსპორტი ვალუტის მიღების

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენდა და ამდენად ბათუმის ქარხნის მშენებლობის დაჩქარებას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა.

ინგლისური აქციონური საზოგადოება „მედვეიი“ სესხს იძლეოდა ბათუმში ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ასაშენებლად, რომლის გამოშვებული პროდუქციით შეგვეძლო გადაგვეხადა ვალი. საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო უარი ეთქვა ასეთ სესხზე. ჯერ კიდევ 1921 წელს, პარტიის X ყრილობაზე, პანიკორებს რომ უპასუხებდა, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „უკონცესიებოდ ჩვენ არ შეგვიძლია კარგად მოწყობილი თანამედროვე კაპიტალისტური ტექნიკის დახმარების იმედი გვქონდეს. ამ ტექნიკის გამოუყენებლად ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქვს ჯეროვანი საფუძველი შევუქმნით ჩვენს მსხვილ წარმოებას. ისეთ დარგებში, როგორიცაა ნავთის მოპოვება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოელი მსოფლიო მეურნეობისათვის“ (თხ. ტ. 32, გვ. 329).

ახლა „აზნავთს“ საშუალება ეძლეოდა უმაღლეს სამეურნეო ორგანოებთან შეთანხმებით 1928 წლის აგვისტოში გადაეწყვიტა ნავთის კუბური ბატარეის სწრაფად აგების საკითხი (ბატარეის პროექტი უკვე მზად იყო), რათა თავის დროზე უზრუნველგვეყო ადგილის დაჭერა მსოფლიო ბაზარზე,

განსაკუთრებით ზეთის ექსპორტისათვის. ამავე დროს არ შეცვერებული დაკვეთის მიცემა უახლესი მარკის მილოვან დანაღვარზე, რომლის აშენების შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა კუბური ბატარეიის სხვა მიზნით გამოყენება. კუბური ბატარეიის ძირითადი ნაწილები გერმანულმა ფირმებმა „გეკმანი“ და „ვინკერსი“ დაამზადა. პროექტი შეადგინეს საბჭოთა სპეციალისტებმა სურაბექოვმა, აბულგაუვმა, გ. ემინოვმა და პლუკინმა.

მოუგვარებელი იყო მშენებლობის ელექტროენერგიით მომარაგება. მართალია, ჯერ კიდევ 1927 წლის აგვისტოში აიგო თბოელექტროსადგური, რომელიც ორთქლის ძალას აქცევდა ელექტროენერგიად, მაგრამ მცირე ძალისა იყო და ვერ დააქმაყოფილებდა კუბური ბატარეიის მოთხოვნილებას. ეს საკითხი დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვდა.

დიდი როლი ეკისრებოდა ქარხნის მშენებლობაში მექანიკურ სახელოსნოს, განსაკუთრებით კუბური ბატარეიის მშენებლობასთან დაკავშირებით. სახელოსნო დამოუკიდებლად ამზადებდა საქმიად რთულ დეტალებს. 1928 წლის 11 ოქტომბერს პარტიული უწრედის საერთო კრებამ მოისმინა ნაგებობათა მშენებლობის მთავარი მექანიკოსის ბიუენტი თაბუკაშვილის ანგარიში მექანიკური დანაღვარების მშენებლობისა და მექანიკური სახელოსნოს მუშაობის თაობაზე. კრებამ საჭიროდ მიიჩნია ალარ

მისცემოდა იჯარით სამშენებლო სამუშაოები ფრანგულ ფირმას „იკონის“, რომელიც სამუშაოს უხარისხოდ ასრულებდა. რაკი მექანიკური სახელოსნი აშენდა, ხის სამუშაოები სხვა ფირმას აღარ მოეცა.

ნავთის კუბური ბატარეისათვის ქვაბულის გათხრა დაიწყო 1927 წლის 11 ნოემბერს, ხოლო 1928 წლის იანვარში დაიწყო ფუნდამენტის მშენებლობა. სამუშაოთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ქარხნის ვეტერანი ინუინერი გრაფ-სკი. „აზნავთბათუმშენის“ პარტუჯრედის მდივანი დ. მელაძე საერთო კრებაზე აღნიშნავდა, რომ ბატარეის მშენებლობისას ზამთარში მუშები უხელთაომანოდ მუშაობდნენ და ზოგს ყინვისაგან ხელები უსცდებოდა, ხოლო ზოგჯერ სისხლი სდიოდა. როცა ვუჩჩი მუშაობისათვის თავი დაენებებინათ და საექიმო პუნქტში მისულიყვნენ, მიპასუხეს: მუშაობას რომ თავი დავანებოთ, ქარხანას დროზე ვერ ავაგებთო. ასეთი იყო მუშათა ენთუზიაზმი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ორმოცდათი მეტრი სიმაღლის საკვამლე მილის მშენებლობა, რაც დაიწყო კუბური ბატარეის ბეტონის ფუნდამენტის მშენებლობასთან დაკავშირებით 1928 წლის ივლისში. ბაქოდან მოიწვიეს აგურის მილების აგების განთქმული ოსტატი აბნოსოვი, რომელსაც მასალების მიწოდებაში ესმარებოდა ბატარებოდა ბატარების მშენებლობაზე იყენებლენენ ელექტროჯალამბარს. ამღლიანი აგებს უხარახოებოდ. მასალა აპეკონდათ მილის შიგნიდან ამწევების დაზმარებით. აგურს აცემენტებდა ოსტატი აბნოსოვი, რომელიც მილს შიგნით მუშაობდა. მშენებლობის დამთავრებისას აბნოსოვმა მილის თავზე წითელი დროშა აღმართა და იქიდან მშენებლობა ქართული ყანწით დალოცა.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობა იყო ამიერკავკასიის, საქართველოსა და აჭარის პარტიული და სახელმწიფო ფორმის კრებების ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი. პარტუჯრედის კრებებისა და მუშათა კომიტეტის სხდომების დღის წესრიგიდან არ ისსნებოდა მუშათა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლების საკითხი. მუშათა კომიტეტთან ჩამოყალიბდა მუშგლებინი. აღმინისტრიასა და მუშებს შორის მოწევსრიგდა დამოკიდებულება.

1928 წლის ნოემბერში მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშათა ხელფასი, რამაც შექმნა მშენებელი ოსტატების ფართოდ მიზიდვის შესაძლებლობა ამ უდიდესი სახელმწიფო ფორმის კრებების მშენებლობაზე.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პირველი რიგი ამუშავდა 1929 წლის აპრილის ბოლოს, ხოლო მისი საეჭსპლოატაციოდ გადაცემა დაიწყო 1929 წლის 6 მაისს.

1929 წლის 7 მაისს გაზეთი „ზა-

რია ვოსტოკა“ იუწყებოდა: „საბოლოოდ დამთავრდა ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. ნავთობის გადამუშავების პირველმა ცდამ ნაყოფი გაშოიღო, ნავთსინდიკატმა მიიღო გადამუშავებული ნავთობის პირველი პარტია. მალე შედგება ქარხნის გახსნა“.

1929 წლის 25 მაისს „ზარია ვოსტოკამ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ „აზნავთმშენის“ თავმჯდომარის მოვალეობის ღრმებით შემსრულებელ ამ. ნესტოროვთან (ამ ღრმის „აზნავთმშენის“ წარმომადგენლები მმართველის ამს. ბარინოვის მეთაურობით ამერიკაში იმყოფებოდნენ ბათუმის ქარხნისათვის უახლესი ტიპის დანადგარების შესაძენად): „ამჟამად წარმოებაში გავუშვით ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პირველი რიგი, რომელიც გაანგარიშებულია წლის განმავლობაში ორმოცდაათი მილიონი ფუთი ნედლი ნავთობის გადასამუშავებლად. ეს სადლესასწაულო მოვლენა უნდა აღინიშნოს როგორც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი. იგი საგრძნობლად გაადიდებს ამიერკავკასიის მრეწველობას. ბათუმის ქარხნის გაშვება საბჭოთა ნავთობის საზღვარგარეთელ მთხოვნელებს მიუახლოებს ნავთობპროდუქტებს.“

ახალი ნავთობსადენი ხაშურ-ბათუმის უბანზე უკვე მოქმე-

დებს. სულ მალე მთლიანად მუშავებები ბაქო-ბათუმის ხაზი, რაც გააითვებს ბათუმის ნავთობპროდუქტებს.“

1929 წლის 25 მაისი ბათუმის მენავთობეთა და მთელი ქალაქის მშრომელთა დღესასწაულად იქცა. ამ დღეს საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა მუშებისა და ინუინერ-ტექნიკური პერსონალის ხელით აგებული და აწყობილი ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პირველი რიგი — ნავთის კუბური ბატარეა.

1929 წლის 26 მაისს გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ გამოაქვეყნა საკმაოდ მოზრდილი ცნობა სათაურით „ბათუმში გაიხსნა ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა“. მასში ნათევამი იყო: „25 მაისს დღის 4 საათზე შედგება ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის საზეიმო გაშვება... დღელამეში იგი 2.500 ტონა ნავთობს გადაამუშავებს. პროდუქტების პირველი ნიმუშები რამდენიმე დღის წინათ იქნა მიღებული“.

ზეიმზე ჩამოვიდნენ ამიერკავკასიის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობის წევრები. მიტინგი გახსნა აჭარის პროფესიონელის თავმჯდომარემ ამს. კუნძულიამ. სიტყვით გამოვიდა „აზნავთის“ სამმართველოს წევრი აპარინი. მან აღნიშნა: „ჩვენ გვისაჟვედურებენ, რომ ვცხოვრობთ ძველი დანაზოგებით და ახლის შექმნა არ ძალგვის. ქარხნის წარმატებითმა მშენებლობამ დაამტკიცა,

რომ ჩვენ თვით შეგვიძლია ვაშე-  
ნოთ ახალი“.

ნავთობგადასამუშავებელი კუ-  
ბური ბატარეის პირველ სამუშაო  
ვახტე იდგნენ მორიგე ინუინრე-  
ბი გრანც სტეფანიანი და ნაუმ  
ჩერტკოვი, ნავთობგამომხდელები  
სერგო ლოლიძე, შალვა ცერცვაძე,  
სანდრო გეგუჩაძე, შერიფ ქიქავა,  
პირველი ცეცხლფარეშები ხუსეინ  
სარჯველაძე, მემედ ფალავა, ნიკო-  
ლოზ პრიხოდკო, აქვსენტი ქური-  
ძე და სხვ.

25 მაისი აჭარაში სოციალის-  
ტური ინდუსტრიალიზაციის დაბა-  
დების დღეა. ბათუმის ნავთობგა-  
დასამუშავებელი ქარხნის პირვე-  
ლი რიგი მწყობრში ჩადგა რეკონ-  
სტრუქციის პერიოდის წინ, როცა  
პირველი ინდუსტრიული გიგან-  
ტები საბჭოთა ქვეყანაში თითზე  
ჩამოსათვლელი იყო. იგი აშენდა  
ზაჰესის შემდეგ და, მაშასადამე,  
პირველი ხუთწლედის პირმშო სა-  
ქართველოში არის ბათუმის ნავ-  
თობგადასამუშავებელი ქარხანა.



ნუბაზ  
თარი

I

## ივანე გოგართველის თხზულებათა გამოცემის გამო

შისასალმებელი ინიციატივა გამოიჩინა „ლიტერატურა და ხელოვნებაში“, როცა ითავა გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსის ივანე გოგართველის რჩეულ თხზულებათა ორტომეულის გამოშევა.

ი. გოგართველი „ქვალის“, ე. ი. „მესამე დასელთა“ წმიდანი ლიტერატურული კრიტიკოსი იყო, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ უურნალის კრიტიკის განცყოფილებას და ამდენად მისი მოღვაწეობა წარმოადგენს გარკვეულ საფეხურს ქართველი ლიტერატურული კრიტიკისა და ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში. ჩვენი აზრით, სწორედ ეს გარემოება არის მთავარი და სწორედ ეს ანიჭებს გოგართველის თხზულებებს, ლიტერატურული პროცესების მთეულ შეფასებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

არის კიდევ ერთი გარემოება, რასაც გვერდს ვერ ავულით. წლების მანძილზე შეგნებულად უგლებელყოფნენ ი. გოგართველის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, კიდევ მეტი — არც კი ასენებდნენ მას, თითქოს არც ეცხოვოს ამჭვევნად. ახლა მდგომარეობა სწორდება და ი. გო-

გართველი თანდათან იკავებს კუთვნილ აღგილს ჩვენი აზროვნების ისტორიაში. ვინ არ მიესალმება ამ ფაქტს — უსამართლოდ და დაუმსახურებლად გამოვალ მოღვაწეთა დაბრუნებას ქართული მწერლობის ოჯახში!

მაგრამ... ვაი, რომ სიხარულს შევნიც და სინაზულიც თან დაჲყვა...

თითქოს ანბანური ჰეშმარიტებაა, რომ წარსულის ამა თუ იმ მოღვაწის თხზულებანი უნდა გამოქვეყნდეს ისე და იმნარიად, როგორც თავის დროზე ისინი შეუქმნია ავტორს. ტექსტოლოგს ამ უემთხვევაში მხოლოდ ერთი რამ მოეთხოვება: დაადგინოს ჰეშმარიტად ავტორისეული ტექსტი, რამდენიმე ვარიანტიდან (თუ ისინი არსებობენ) შეარჩიოს უეტესი, ე. ი. ავტორის მსოფლმხედველობის ყველაზე ზუსტად გამომხატველი. ეს არის საბჭოთა ტექსტოლოგიის ძირითადი პრინციპი. კოლექტორ ნაშრომში საფუძვლებით „ტექსტოლოგის საფუძვლები“, რომელიც რუსულ ენაზე გამოვიდა მოსკოვში 1962 წელს, ამის თაობაზე ნათქვამია: „ავტორის ნამდვილი ტექსტის დაღვენა — ეს არის მთავარი მიზანი; რისენაც ისწ-

რაფის ტექსტოლოგი, და მთელი მისი მუშაობა ხასიათება უპირველეს ყოვლისა იმით, თუ რაოდ უნ მარალხარისხოვნად შეასრულებს იგი ომას“ (გვ. 281).

ზოგიერთი ქართველი ტექსტოლოგი კი, თურმე, ასე არ ფიქრობს და სრულიად საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას — ასწორებს ყველაფერს, რაც პირადად მას არ მოსწონს ან არ შეესაბამება დღეს გაბატონებულ ლიტერატურულ - ესთეტიკურ შეხელულებებს. სამწუხაორდ, ასეთი მცდარი პრინციპით უსარგებლად ივანე გომართელის თხზულებათა ორტომეულის შემდგენელსაც და ამის გამო მკითხველს მიაწოდა არა აეტორისეული, არამედ შესწორებულ-შელამზებული და არსებითად გადამუშავებული, ფაქტიურად კი შერყვნილ ტექსტი.

აი ზოგიერთი მაგალითი.

სტატიაში „გიორგი წერეთელი, როგორც ბელეტრისტი“ ვკითხულობთ: „ახალ სტუმარს (ე. ი. გლეხს — შ. ქ.) ჩვენმა მწერლობაშ სიყვარულის თვალით შეხედა, მისი ღრუსებანი თვალსაჩინოდ წარმოიდგინა და ამ გარემოებამ გამოიწვია, ერთი მხრით, ის მოწინავე რეალისტური მიმართულება ბელეტრისტიკაში, რომლის წარმომადგენელიც ილ. ჭავჭავაძეა, და, მეორე მხრით, ტეტიათა მოტრიფიალენი“ (ტ. I, გვ. 196-197. ხაზგასმა აქ და შემდეგაც ჩემია — შ. ქ.). ამ დებულებას, ალბათ, ბევრი თანამედროვე მკვლევარი გაიზიარებს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ იგი ეკუთვნის არა ი. გომართელს, არამედ... ტომის შემდგენელს. ეს ადგილი „კალში“ სულ სხვაგვარადაა წარმოდგენილი და კერძოდ, ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად იქ წერია: „გამადიდებელი შუშით, „გაზიადებულად“, „სენტიმენტალურ-ტენდენციური მიმართულება““. როგორც ვხედავთ, ი. გომართელი ერთს ამტკიცებდა, მიაწერეს კი მეორე, სულ სხვა შეხედულება, რომელსაც იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიზიარებდა.

XIX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების გზებს რომ იკვლევდა, ი.

გომართელი ჩვენი ლიტერატურის უმნიშვნელოვანების მოვლენად თვლილა მასში ასალ გმირის — გლეხჭაფის გამოჩენას და თვითებული მწერლის ღვაწლს იმის შიხედვით აფასებდა, თუ რა ასაკეტში ასახვდა იგი გლეხობის ცხოვრებას და თვით გლეხს როგორც პიროვნებას. ამ თვალსაზრისით კრიტიკოსი გამოჰყოფდა სამ უმთავრეს ლიტერატურულ ვიმართულებას: ილ. ჭავჭავაძის, „ტეტიათა მოტრიფიალენისა“ და გ. წერეთლის ლიტერატურულ სკოლას თუ ჯუფს. მათგან, ი. გომართელის მტკიცებით, ილია ჭავჭავაძე, რომელიც მხოლოდ ერთი კლასის — თვალაზნაურობის ინტერესებით ხელმძღვანელობდა, გლეხს ხატავდა იდეალურად, ე. ი. ხელვადა მხოლოდ მას ღირსებას, ნაკლ კი ჩემალავდა. ასევე იქცეოდნენ „ტეტიათა მოტრიფიალენიც“, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისინი მეორე კლასის — გლეხობის ინტერესებს იცავდნენ. სულ სხვა გზით წავიდა, კრიტიკისას აზრით, გომართი წერეთელი. იგი მთელი ერთს (და არა ერთი რომელი მე კლასის!) სახელით გამოდიოდა და ამიტომ გლეხს ხატავდა შეულეურა-შეულამასზებულად, მისი ღირსებითა და ნაკლით, უფრო კი ნაკლით. ეს არის ი. გომართელის უმთავრესი, ამოსავალი დებულება, რომელიც საფუძვლად უდევს მთელ მის კონცეციას ქართული მწერლობის განვითარების ისტორიულ საფეხურებსა და გზებზე.

ბუნებრივია, ტექსტოლოგი არ იზიარებს ი. გომართელის ამ კონცეციას და ყველან, მთელი წიგნის მანძილზე, თითქოს საკუთარი ნაშრომია, ცვლის, კველას ტექსტს, ასწორებს და ათანამედროვებს კრიტიკის დებულებებს. უკვე დასახელებულ სტატიაში, მაგალითად, გომართელი წერდა, რომ გ. წერეთელმა და მისმა მიმდევრებმა სამოცდათიან წლებში დაარსეს „პატარა ლიტერატურული ჯგუფი, რომელიც დადგა ნამდვილ რეალურ რეალისტურ — შ. ქ.). გზას“... ტექსტოლოგს, ცხადია, არ მოეწონა ეს დებულება, ხაზგასმული სიტყვა შეცვა-

ლა სიტყვით „ახევე“ და, ამრიგად, სულ გადასხვაეურა კრიტიკოსის აზრი. მსგავსი „რეკონსტრუქცია“ განიცადა ი. კომართელის მომღერენო დებულება- მაც. კრიტიკოსი შენიშვნავდა, რომ ზოგიე- რთი მწერალი „ტენდენციის გულისათ- ვის“ ჩქმალავს პერსონაჟებს ნაკლოვანე- ბებს, ხოლო ღირსებას ასვიადებს, და წერდა: „გ. წერეთელს კი პირიქით, ის საყველური უფრო კეუთვნის, რომ ის ცდილობს არაითარი ნაელოვანება არ დამალოს იმ პირებშიაც კი, რომლებიც სხვა მის მოქმედ პირებზე როგორც გონე- ბით, ისე ზნეობით გაცილებით მაღლა დგანან“. აქ ტექსტოლოგს გამოუ- ტოვებია ნაცვალსახელი „ის“, კავშირი „რომ“ შეცვლია კავშირით „რად- გან“ და მსჯელობა „მისალები“ გაუჩდია.

სიტყვების შეცვლასთან ერთად ტექს- ტოლოგი ფართოდ მიმართავს აგრეთ- ვი პერიორს — კეცუას ცალკეულ წი- ნადადებებს, პარტშინდად აგდებს ტექ- სტიდან მთელ აბზაცებსაც კი. სტატია- ში „ქელოვნება“ და მისი მიზანი“ მთლიანად ამოღებულია ის აღგილი, სადაც ი. გომართელი იზიარებდა კან- ტის გრისელლოგიურ შეხედულებებს და აცხალებდა, მწერალი სინმღვილეს კი არა, სინამღვილეზე თავის წარმოდ- გენას ხატაქს, ხოლო „წარმოდგენა“ რომ გარეშე ბუნების ნამდვილი კო- ნიო არ არს, ამას ღლევანდელი ბუნე- ბისმეტყველება ცხადათ ამტკიცება გრძნობათა თრგინობის კრიტიკული შესწავლითონ“. ამავე სტატიაში იგი არ ეთანხმებოდა ბელინსკია და დობრი- ლუპოვის: მოთხოვნას ლიტერატურა- ში ტენდენციურობის გამოვლინების თაობაზე და მეცარად აკრიტიკებდა მათ მიმღერებს როგორც ცნობილი თეორიის „ხელოვნება ხელოვნებასთ- ვის“ მქადაგებლებს. „თუ ღაუჩერებთ ბელინსკია, დობრილიუბოვს და სხვა- თა, — წერდა ი. გომართელი, — მშინ ყველა ასეთი თხშულებანი (გოგოლის „მეცდირი სულები“ — ვ. ქ.) ხელოვ- ნების სამთავროდან უნდა გამოვდან- თოთ“. რა თქმა უნდა, ფრთხილ ტექ-

სტოლოგს სტატიიდან მთელი ეს ტრაქტაცია ლობაც ამოუღია. და ასე თოთქმის ყველგან, მთელი ორი ტომის განძილ- ზე.

ტექსტოლოგის ხელი შეხებია არა მარტო ზოგად-თეორიულ დებულებებს. იგი თავვამოიდებით იცავს ცალკეულ მწერლებისაც კრიტიკოსის სულ მცირე საკველურიავაგნ. უზირველს ყოვ- ლისა კი ალ. ჭავჭავაძეს. ი. გომართელს ეს პოეტი „ეროტიული მიმართულე- ბის“ წარმომადგენლად მიაჩნდა და ამის გმირ ბევრ სტატიაში მწვავედ აკ- რიტიკებდა მას, მაგრამ ვერც ერთ ტო- მში ვერ იძოვით ამ კრიტიკის რაიმე კვალს — ტექსტოლოგს იგი ყველგან პირწმინდად ამოუღია, გაშინაც კი, რო- ცა ამით ზარალდებოდა სხვა პოეტი. სტატიაში „ქართული საერო პოეზია“ კრიტიკოსი წერდა: „თუ ასეთი ცხოვ- რების კარნიიერ შვილს ალ. ჭავჭავაძეს ლოყებისა და წარბ-წამტამების მეტი არა აგრძელებოდარა, სამაგიეროდ ისე- თი ნიჭის პატრონს, არყორიც ნ. პარა- თაშვილი იყო, რა თქმა უნდა, ასეთი ცხოვრება ვერ დააქმაყოფილებდა, სევ- დისა და გულგატეხილობის მეტს ვერას შეძენდა“... და ა. შ. საქმაოლ რთული წინადადებაა, ძნელად გასათიშვი და ი — ალ. ჭავჭავაძის ძაგება არი არ გაპარვოდა, ტექსტოლოგმა სულ გამო- ტოვა იგი. ნუთუ ესლოდენ დიდი დან- შაულია, კრიტიკოსს უარყოფითი შე- ხედულება რომ პერნდეს რომელიმე მწერალზე, თუნდაც ალ. ჭავჭავაძეზე?

კუპიურის მსხვერპლი გამხდარა ი. გომართელის ბევრი სხვა დებულება, ილია ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგისა და სხვ. შემოქმედებისა თუ ცალკეულ ზა- წარმოება შეფასებანი. ტექსტოლოგი ისეთი მონღომებით იცავს ჩვენი კლა- სიკონსების ლირსებას, რომ ყველა გა- მოტოვებული (ამოღებული) ადგილის უბრალო მითითებაც კი შეუძლებელია. კიდევ მეტი — ზოგ შემთხვევაში იგი არ ერიდება ავტორს, ტექსტში საკუ- თარი სიტყვების ჩამატებასაც. ი. გომა- რთელის პირველ ტომში ვკითხულობთ:

„მესამოცე წლებიდან პოეზიის მეთაური განვითარებ იყავი წერეთელი და ილ. ჰევევაძე. სხვა ცვლილებათა შორის, ამ პოეტებმა ერთი შესაჩინევი ცვლილება შემოატანეს: მათ შექმნეს ნამდვილი მარტივი ლიტერატურული ენა... ახალი ენის შექმნაში ცველაშე მეტი სამსახური მიუძღვით ი. ჰავევავაძესა და ა. წერეთელს“ (გვ. 227). საიდან გაჩნდა ეს ტავტოლოგია, ერთხელ ხომ თქვა კრიტიკოსმა, ახალი სალიტერატურო ენა ილიამ და აკაკიმ შექმნესო, რაღა საჭირო იყო ბოლო წინადაღებაში ამავე აზრის გამეორება? ჩაიხსელოთ ახლა ყოველყვირეულ „კვალში“. იქ ბოლო წინადაღება ასე იკითხება: „ახალი ენის შექმნაში ცველაშე მეტი სამსახური მიუძღვის ა. წერეთელს“. მაშასადამე, ტავტოლოგიაში გომართელს ბრალი არა აქვს, „ი. ჰავევავაძეს“ — ავტორის ტექსტში ჩატარებია ტექსტოლოგის აღბათ, ისტორიული იმპარტლის აღდგენისათვის.

კითხვა ისმის: აქვს კი ტექსტოლოგს უფლება ასე ლაღად მოპყრის ავტორის ტექსტს, შეუსწოროს დებულებები, შეუცალოს სიტყვები, გამოთქმები, მიმართოს სუბიექტურ კუთხიერებს და ა. შ. სხვანაირად რომ ვთქვათ, დაარღვიოს მისი ნება? ჩვენი აზრით, არა. საბორთო ტექსტოლოგია მხარს ვერ დაუჭერს პრინციპს, რომლითაც გომართელის თხზულებათა გამომცემლებს უსარგებლიათ. მკითხველს აინტერესებს კრიტიკოსის ნამდვილ სახე, მისი ნამდვილი შეხედულებები და არა გასწორებულ-გათანამდებროვებული, მას სურს გაეცნოს ნამდვილ და არა „შეკრეპილ-გალაბაზებულ“ და ორსებითად „გადამუშავებულ“ გომართელს. გომართელის ლიტერატურულ-კრიტიკულ და ესთეტიკურ შეხედულებებში აისახა გარკვეული ეპოქა, გარკვეული კლასობრივ-პარტიული პოზიცია და, თუ ეს შეხედულებანი ჩვენი გემოვნებით შევასწორეთ, თანამედროვეობას „შევუფარდეთ“, მშინ

ხომ წინაშალა ზღვარი ძეველსა და კულტურული შორის, ხომ ვეღარ გავაღევნებით თვალს ლიტერატურულ-ესთეტიკური იღვებას განვითარებას და ვერც წარსულის მოღვაწებს მივუჩინთ კუთვნილ აღგილს ქართული აზროვნების ისტორიაში?

ეს პრინციპული საკითხია და ჩვენ სწორედ ამ გარემოებამ აგვაღებინა კალამი. ახლა ზედიზედ გამოიდის ძეველ ქართველ კრიტიკოსთა და მათზერვნეთა თხზულებანი და ვაი, თუ ტექსტოლოგები ასევე ლაღად ეპურობიან ავტორის ტექსტი? ასეთი საფრთხე კი, როგორც ჩანს, არის. სულ ცოტა ხნის წინათ დ. ჯანელიძისა და მ. ღუდუჩიავას რედაქტორით გამოვიდა აღ. ღუდუჩიავას „რჩეული წერილები“. წნასიტყვაბაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ აღგილმა, სადაც რედაქტორები შენიშვნავენ: აღ. ღუდუჩიავას სტატიებში „გარკვევითა არეკლილი იმ ღრიონდელი სულისკვეთება და ცდომილებანიც. ცხადია, ეს უკანასკნელი აშკარად მოძველებულია და უდავოდ ეცცხოება ახლანდელ მკითხველს. მაგრამ წერილები ჩვენ ამ მხრივ მაინც არ გავისწორებია, რაღაც მათი ასეთი ხასიათი ეპოქის გამოხატულებაა. მაშაბადამე, მათ გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა და გამართლება აქვთ“. პატივ-ცემული მეცნიერები საგანგით სწორად მოქცეულან, რომ „ამ მხრივ“ არ გაუსწორებით ავტორის ტექსტი, მაგრამ საკითხავია: რატომ გამხდარან ისინი იძულებული დაესაბუთებინათ და გაემართლებინათ თავისი აბსოლუტურად სწორი პოზიცია? იმიტომ ხომ არა, რომ ანგარიშს უწევენ სხვა ტექსტოლოგ-რედაქტორთა პრაქტიკას და საერთო მდგომარეობას ქართულ ტექსტოლოგიაში?

არის სხვა პრინციპული საღავო საკითხებიც. ი. გომართელის თხზულებებში, მაგალითად, გასწორებულია ავტორის ორთოვრაფია და პუნქტუაცია, თუმცა გვხდება პარალელური ფორმებიც (სიმ-

პატია — სიმპათია, ხელოვნური — მწატერული, რეალური — ჩერალისტური და ა.შ.). რა თქმა უნდა, თუ მწერლის ორთოგრაფიას შეცვლით, პარალელური ფორმები აღარ უნდა დაკროვოთ, მაგრამ ეს უყურადღებობის შედეგია. ჩვენ გვანტერესებს საკითხის პრინციპული მხარე: უნდა გავმართოთ თუ არა დეტორის ტექსტი თანამედროვე ორთოგრაფიის შესაბამისად? ხომ არ დაირღვევა ამით მწერლის სტილი, მისი მართლწერის, ენის თავისებურებანი, მისი ნება? ხომ არ მოუტანს ეს ზიანს ენის სტრონისა? სიტყვამ მოიტანა და მიუღებლად უნდა მიეჩინოთ ავტორის სტილის ყოველგვარი შესწორება სიტყვების შენაცვლებას გზით, რადგან ეს ამანიჯებს აზრს, შინაარსს. რაშიდის მხატვრული სახის განხილვისას ი. გომართელი წერდა, მ. გურიელს სურდა დაეხანა „ქარაფშუტა, გამულის სიყვარულშე შეშლილი კაცი“, ტექსტოლოგს კი საზგანსმული სიტყვები შეუცვლია სიტყვებით — „ამათ ოცნებებზე“. სხვაგან ი. გომართელს ნათქვამი აქვს: „გვარიანი იდეალია ორშაურიანი სიყვარულისა“. ტომში კი კითხულობთ: „გვარიანი იდეალია სუბუქი სიყვარულისა“ (გვ. 235). საღავო არ შეიძლება იყოს, რომ ორივე შემთხვევაში სტილთან ერთად შეცვლილია აზრიც.

კიდევ ერთი პრინციპული საკითხი: როგორც ცნობილია, გომართელმა დაგვიატოვა მდიდარი ლიტერატურული შემკვიდრეობა — კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკევები, ყოველწლიური ლიტერატურული მიმოხილვანი, კრიტიკულ-ესთეტიკური სტატიები, რეცენზიები, თეატრალური შენიშვნები და სხვ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გომართელი წერდა არა მარტო ქართველ, არამედ რუს და საზღვარგარეთელ მწერლებზე, განიხილავდა როგორც ქართული, ისე რუსული და საზღვარგარეთელული ლიტერატურის ცალკეულ პრობლემებს. ბოლოს, კრიტიკოსის შემოქმედებაში ორი მკვეთრად გაყოფილი პერიოდია: რევოლუციონდელი და რევოლუციის შემდეგ-დროინდელი. და აი კითხება ისმის: რო-

გორ დავალავოთ ეს თხზულებანი წიგნისა — ქრონოლოგის, თემატიკის, კანტისა თუ სხვა რომელიმე ნიშნის მიხედვით. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამა რაიმე მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ასე როდია. თუ თხზულებებს ქრონოლოგიურად დავალავებთ, უფრო ადვილად გავადევნებთ თვალს ავტორის მსოფლმხედველობის, მისი ინტერესების განვითარებას; თუ თემატიკურ-კანტორივ პრინციპს მოვიმარჯვებთ, დიდად გაგვიაღვილდება წიგნით სარგებლობა და ა.შ. სამწუხაოროდ, ჩვენ გავგიჭირდა შეცვეცნო, რა პრინციპით არის შედგენილი გომართელის თხზულებათა ორტომეული. ქრონოლოგია დარღვეულია, პირველი ტომი მთავრდება 1925 წელს დაწერილი ნაწარმოებით, მეორე ტომი კი იწყება 1900 წელს გამოქვეყნებული თხზულებით. არ დაუცავო არც თემატიკური ან ჟანრობრივი პრინციპი. ჩვენი აზრით, ისეთ გამოცემაში, როგორიც გომართელის ორტომეულია, თხზულებანი უნდა დალაგდეს თემატიკურ-კანტორივი პრინციპით, მაგრამ ქრონოლოგიურად თითოეული რეალის შიგნით.

არც ის არის კარგი, რომ ორტომეულს არა აქვს სახელთა და საგანთა საძირებელი, შენიშვნები და, საერთოდ, მეცნიერული აპარატურა. ეს დიდად აძნელებს წიგნით სარგებლობას. გომართელის (და მსგავსი მწერლების) თხზულებათა ორტომეული თავისი ხასიათით უნდა განეუთვებოდეს მასობრივ-მეცნიერულ გამოცემათა ტიპს.

დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ წიგნში უარიავი კორექტურული შეცდომაა — გარდა იმისა, რომ ერთი სიტყვის მაგივრად დაბეჭდილია მეორე, ბევრგან გამოტოვებულია აულკეული სიტყვები და წინადაღებებიც კი. ჩვენ მხოლოდ ორიოდე შაგალით დავასხელებთ:

დაბეჭდილია: „ყოველი პროფესიული მოძრაობა“ (ტ. I. გვ. 27), „მრავალ სხვადასხვა პირობებში“ (გვ. 127), „ნინოშვილის მოთხოვნებში კი ნამდვილი გლეხია, ცხოვრებიდან ამოღებული, მთელი

მისი ღირსება—ნაკლოვანებით და არა იდეურითი“ (გვ. 143), „მაგრამ ამის მიუხედავად თუ ყველა პესიმისტად მოვნათ ლეთ...“ (გვ. 213), „საშუალო ნაწილს სურდა, რომ ჩვენი ცხოვრება ყოფილიყო იდეური“ (გვ. 257) და ა. შ. ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად უნდა იყოს: პროგრესული, პირებში, იდეალური, ამის მიხედვით, იდეალური.

გამოტოვებულია ხაზგასმული სიტყვები: „პატარა პოეტის ქალამი კი დაბალ ნიჭი კიდევ უფრო დაბალია“ (გვ. 36), „საუკეთესო და ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენელის“ (გვ. 41), „აი მხოლოდ ამგვარი ტენდენცია არის პოეზიაში გასაკიცხი“ (გვ. 210), „მაშინ არა თუ დაცულია აჭრთა წყობილება და დედანის ყოველგვარი სიტყვა, არამედ დაცულია კრილოვის პოეზიის მუსიკალური მრავალფრობაც“ (გვ. 238), „მას არ ძალუს მსოფლიო ტიპების ხატვა“ (გვ. 240), „მათი ზეგავლენით ხელი ჩასჭიდა ჩვენს ცხოვრებას და ყოველგვარი ცვლილება მავნებლად აღიარა“ (გვ. 257), „ამიტომ ნიშნების მიხედვით მთელი ტიპის დახატვა ფრიად ძნელია...“ (გვ. 271), „სხვა ყოველივე, რაც დედაბზეს პირდაპირ არ შეეხება,

უყურადღებოდ რჩება“ (ტ. I.L. გვ. 6), „ასეთია კლდია შვილის მიხედვით გლეხი სამაღაძე“ (გვ. 18), მაშინ სულიერი სიამოვნების მოთხოვნილება ერთი და ორი ადამიანის კი არა...“ (გვ. 22), „ასეთი ერისათვის საჭირო ხდება სხვადასხვა დაწესებულება, სხვადასხვა საშუალება“... (გვ. 23) და ა. შ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გომართელის თხზულებათა ორივე ტომი არ შეგვიდარება პირველწყაროსათვის, ასეთი ამოცანა მიზნად არ დაგვისახევს, მაგრამ რა შეცდომებიც შევნიშნეთ, მოსალოდნელზე გაცილებით მეტია. ეს კი გვაფიქრებინებს: ხომ არ აჯობებდა ისეთი წიგნების გამოსაცემად მომზადება, რომლებიც პირველად იძეჭდება და მთელი თაობის ნიაღაგსახმარი უნდა იყოს, რადგან ოცი — ოცდაათი წლის განმავლობაში აღარ დაბეჭდება, მიგვენდო არა ცალკეული პირებისათვის, არამედ მეცნიერ-ტექნიკოლოგთა კოლექტივისათვის?

შველა ეს საკითხი ყურადღებას, დაკვირვებით განხილვას და მოგვარებას მოითხოვს. ქართული ტექსტოლოგია თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილებათა დონეზე უნდა იღვეს.

**შ. კურიძე.**



ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VI, 1967 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბაზა;  
შეკვეთის № 4616, ემ 00635. ქაღალდის ზომა 60×90. ტირაჟი 1800.

\* \* \*

საქართველოს სსრ გინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის  
მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

041436340  
303-4470105

6 33/120

3060 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ  
*„Литературули Аджара“*  
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76118